ISSN 0132 – 6007

140
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა



53

# ნაკადული

7
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დავუბრუნდეთ საკუთარ თავს"

გვესაუბრება საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი, კრიტიკოსი კობა იმედაშვილი

**ბატონო კობა! თქვენ შემოქმედებითი მუშაობა გაკავშირებთ სკოლასთან, მის პრობლემებსაც, ვფიქრობთ, საკმაოდ კარგად იცნობთ.**

**აშკარაა, დღეს, ამდენი აშლილი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური საფიქრალის ფონზე, სკოლის ძველ პრობლემებს ახალიც დაემატა—ეს ე. წ. სკოლის დეიდოლოგიზების საკითხია. რა აზრის ბრძანდებით კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების დღევანდელ მდგომარეობაზე, როგორ გესახებათ მოზარდთა მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებში?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ ტერმინზე — „დეიდეოლოგიზება". იგი დღეს ძალზე პოპულარული გახდა, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, ყოველთვის სწორად არ ხმარობენ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ალბათ აჯობებდა ტერმინი „დეპოლიტიზება", რადგან არ შეიძლება ილაპარაკო დეიდეოლოგიზებაზე იქ, სადაც ლიტერატურასა და ისტორიას ასწავლი; მწერლობა და, გარკვეულწილად, ისტორიაც ხომ ეროვნული იდეოლოგიის გამომხატველია. მე მიმაჩნია, რომ დღეს არა მარტო ცალკეული სასწავლო და სხვა ტიპის დაწესებულებების, არამედ მთელი სისტემის დეპოლიტიზებაა საჭირო. რაც შეეხება ბავშვთა ორგანიზაციებს, მათ პოლიტიზება არაფრად სჭირდებათ, უნდა შევძლოთ მოზარდთა გაერთიანება კონკრეტულ ინტერესთა მიხედვით, უნდა შეიქმნას, ალბათ, ევროპული სკაუტებისა და კვაკერების მსგავსი ორგანიზაციები. ბავშვის ინტერესთა ნიველირება არ უნდა დავუშვათ, ბავშვს ბავშვობა არ უნდა დავუკარგოთ. არავის სჭირდება პოლიტიკოსი ბავშვები, არც ისეთი დაკომპლექსებული პოლიტიკოსი გვინდა, რომელსაც ბავშვობა არ ჰქონია...

**— მიმდინარე ეროვნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ეროვნული თვითშეგნება. დღევანდელ მოსწავლეს გუშინდელს ვეღარც შეადარებ... დღევანდელ მოზარდთა შეფასების კრიტერიუმი მთლიანად ეროვნულია. ჩვენი ეროვნული მოძრაობაც, ვფიქრობ, შევიდა ახალ ფაზაში. მიუხედავად ამისა, არ ქრება შთაბეჭდილება, რომ ყველას ვერ აქვს გათვითცნობიერებული, ქვეყნის სამსახური, უპირველეს ყოვლისა, შენი პატარა საქმის სამსახურიდან რომ იწყება... მაინც, უხვად ხომ არ გვყვანან აკაკის „პატრიოტები?"**

— უთუოდ. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ერთზე — ნებისმიერი ერთეულება ნებისმიერი ქვეყნისთვის თუ საქმისთვის ნგრევას ნაკლებად ნიშნავს. მთავარზე უმთავრესი შენებაა.

ჩემთვის ძირითადია ის, რასაც ბრძანებდა დიდი ილია: ეროვნული ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობისათვის საჭიროა შრომა და საჭიროა ცოდნა! მიმაჩნია, რომ ქუჩაში გამოსვლისა და მიტინგებში სტიქიურად მონაწილეობის ეტაპი ჩვენი მოსწავლეებისთვის უკვე დამთავრდა. დაიწყო მეორე — მშენებლობისა. შენებისათვის კი ცოდნა, დიდი მეცადინეობა, დიდი განათლებაა საჭირო. მე მიხარია, რომ სტიქიური მომიტინგეების გვერდით შესანიშნავად მოაზროვნე, ერუდირებული ყმაწვილკაცობაც გვყავს, მათ შორის ბევრია სტუდენტი, მოსწავლე...

ყველაზე დიდი პატრიოტობა დღეს ცოდნის შეძენაა. ახლა, როგორც ილიას დროს, და უფრო მეტადაც, ცოდნისა და გარჯის დრო გვიდგას. თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ ინტელექტი თუ გაიმარჯვებს. საბჭოთა კავშირს ინტელექტის მხრივ ხომ ძალზე ცუდად აქვს საქმე, ჩვენ — მით უფრო. ამიტომ დღესვე უნდა ვიფიქროთ არა მარტო საქართველოს გათავისუფლებაზე, არამედ იმაზეც, თუ ვინ უპატრონებს მას ხვალ. იმიტომ, რომ თავისუფლების მოპოვებაზე ძნელი ხშირად მისი შენარჩუნებაა. ამის მწარე გაკვეთილი საქართველოს უკვე ჰქონდა 20-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ქარ-

თველობა ინტელექტითაც ჩვენზე მაღლა იდგა და ზნეობითაც.

**— იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს დავიმოწმებ: „საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ხალხის განათლება პირველ საჭიროებას შეადგენს და სადაც მას შეუძლიან უდიდესი სიკეთის მოტანა“.**

**საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ ჯერ „საყოველთაო“ არასრული და შემდეგ სრული საშუალო განათლებაც მოგვიტანა. დღეს ლამის „საყოველთაო“ უმაღლესი განათლება გვაქვს. მაგრამ განა უფრო დიდი თავსატეხი არ გაგვიჩინა განათლების გამასობრივებამ? ცოდნა გაუფასურდა, მცოდნე კაცი არაფრად გვიღირს... რა გამოგვიყვანს ამ ჩიხიდან?**

— ერთ მაგალითს მოვიყვან: შარშან მისვლა მომიხდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატში მოსამზადებელ განყოფილებაზე შექმნილ კონფლიქტთან დაკავშირებით. ეს პრობლემა დღემდე გრძელდება... რა შეიძლება უწოდო ყველაფერ ამას? ალბათ, პირადი ინტერესების შენიღბვა საქვეყნო ინტერესებით. ეს აღმაშფოთებელია. მე თუ მკითხავთ, არაფრით არ შეიძლება პატრიოტი იყოს უცოდინარი ადამიანი, რომელიც ცდილობს, ფონს ძალით გავიდეს. მცოდნე და ნიჭიერი არ უნდა დაიჩაგროს, მაგრამ ცოდნისა და ნიჭის ლოზუნგებით შეცვლა ბოლშევიზმია და მეტი არაფერი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ ზნეობრივ სიმაღლეს, რომ ერთმანეთს აღარ ვაპატიოთ საერთო და საქვეყნო საქმისადმი გულგრილობა და უდარდელობა, უცოდინარობა. ერის წინსვლა მხოლოდ შრომითა და ღრმა ცოდნით შეიძლება.

**— და ალბათ, იმითაც, რომ ჩვენს პირად სურვილებსა და მიდრეკილებებს საქვეყნო საზომით მივუდგეთ, პროფესიის არჩევისას გავითვალისწინოთ, რა ხელობის კაცი უფრო სჭირდება დღეს ჩვენს საქართველოს, რა უნდა შევიმეცნოთ და რაგვარად, რომ მის მომავალს უკეთ გამოვადგეთ; გავიხსენოთ თუნდაც დიდ მეცნიერთა ცხოვრების მაგალითები...**

— იცით, მახსენდება ერთი წერილი, რომელიც ივანე ბერიტაშვილმა გამოუგზავნა პაპაჩემს — იოსებ იმედაშვილს. ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამდე. ბატონი ივანე ადრესატს აცნობს მომავალი უნივერსიტეტის წესდებას, სთხოვს მის გამოქვეყნებას და, რაც მთავარია, საკუთარ თავს ამგვარად ახსენებს: მე ის სემინარიელი ივანე ბერიტაშვილი ვარ, თქვენ სოციალ-დემოკრატთა პარტიაში რომ შეიყვანეთ, ახლა კი ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გახლავართო. საკითხავია, ბერიტაშვილი რევოლუციურ საქმიანობას რომ გაჰყოლოდა, გვექნებოდა თუ არა დღეს მთელ მსოფლიოში განთქმული ქართული ფიზიოლოგიური სკოლა?.. ისიც სათქმელია — ივანე ბერიტაშვილიც და სხვა ქართველი მოღვაწენიც სამშობლოში პირველი საჭიროებისთანავე დაბრუნდნენ, რომ ევროპასა და რუსეთში განათლებულებს ეროვნული მეცნიერების განვითარებისთვის ეღვაწათ. აქ ეს მომენტია გადამწყვეტი. საქვეყნო ფიქრი ყველაფერში უნდა იყოს და, მით უფრო, მოზარდის ნიჭისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და სწორად წარმართვაში. ეს გამოვლენა დროულად უნდა მოხდეს. ამისათვის სკოლას, მასწავლებელთან ერთად, დასჭირდება ფსიქოლოგების, ოჯახის გვერდში ამოდგომაც. ყველა შემთხვევაში ბავშვთა ინტერესები და მონაცემები უნდა გავითვალისწინოთ. ბავშვს დაბადებიდანვე უნდა შევხედოთ, როგორც დამოუკიდებელ ადამიანს, ავტონომიურ პიროვნებას. რაც უფრო ადრე მიხვდება ამას მშობელიცა და მასწავლებელიც, მით უკეთესია. ჩვენ კი გვეშლება — მოზარდის ბედს თითქმის ყოველთვის მშობლები ვწყვეტთ.

ამიტომაა, რომ დღეს ჩვენში გამწვავებულ ათასგვარ კრიზისს ესეც დაერთო — დიპლომის გაუფასურება, ცოდნისა და მცოდნე კაცის არად ჩაგდება. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ დიპლომმა არ დაკარგოს პრესტიჟულობა, რომ იგი ცოდნის გარეშე არად ღირდეს. მხოლოდ ეს იქნება გამოსავალი.

**— თქვენ წელან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი ვითარება გაიხსენეთ. ალბათ მოგეხსენებათ, რა კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა მოსწავლეებსა და ხელმძღვანელობას შორის თბილისის რამდენიმე სკოლაშიც. ვგულისხმობ 161-ე და 147-ე სკოლებში მომხდარ ფაქტებს. როგორ შეაფასებთ მათ — როგორც დემოკრატიზების პროცესის არასწორ გაგებას?**

— იცით, მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელთათვისაც ბავშვი არასდროს არ არის დამნაშავე. ბოროტმოქმედად და მოძალადედ არავინ იბადება. ბავშვები კონფლიქტებამდე არ უნდა მიიყვანო, არ უნდა დაივიწყო, რომ ისინი სკოლაში ხალხია, მაშინ, როცა მასწავლებელი მხოლოდ ხალხის წარმომადგენელია... ეს დიდი თემა, დიდი პრობლემაა. ჩემი აზრით, უბრალოდ, მეტი გულისყურია საჭირო, მეტი სიყვარული, მეტი თანაგრძნობა... სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ. არ უნდა დავივიწყოთ: ბავშვს აქვს უდიდესი

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№ 7 ივლისი 1990

19.397
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირატესობა ჩვენს წინაშე — იგი მოდის, ჩვენ მივდივართ...

**— დღეს ბევრი რამ გვჭირს... ღირებულებათა გადაფასების პროცესის მტკივნეულობის გამოც. ეს პროცესი არანაკლები მტკივნეულობით აისახება სასკოლო პროგრამაში. ვიცით, რომ დღეს შეუძლებელი გახდა ზოგიერთი საგნის სწავლება... პრინციპულ შესწორებებს საჭიროებს ისტორიისა და ლიტერატურის პროგრამებიც... რა ჰქნას თაობამ, რომელიც დღეს სასკოლო მერხს უზის, უცადოს, სანამ ეს მღვრიე წყალი დაიწმინდება? რა გზით შეივსოს ცოდნაში გაჩენილი ხარვეზები?**

— საკითხის ამგვარი დასმისას სასწრაფო გამოსავალზე ფიქრია საჭირო. აუცილებელია ოპერატიული ღონისძიება. ისევ მასწავლებელმა უნდა იმარჯვოს. შეიძლება შეიკრიბოს ყველაფერი, რაც დღეს პრესაში იბეჭდება ქართულ ემიგრანტულ მწერლობაზე ან საქართველოს ისტორიის 20-იანი წლების დღემდე „უცნობ" მომენტებზე; გამორჩევით შეიკრას ერთ წიგნად და ქსეროკოპირების წესით მასწავლებლებისთვის დამრავლდეს. საქართველოს განათლების სამინისტროში უკვე მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაფერი ორ დღეში ვერ მოესწრება... ერთიც უნდა გავითვალისწინოთ: ეს პროცესი მარტო ჩვენს სკოლას არ აწუხებს. მთელმა შარშანდელმა წელმა შემოქმედებითი კალაპოტიდან ამოაგდო ქართული ინტელიგენციაც. მე, პირადად, ქართული საბავშვო ენციკლოპედიისთვის დასაწერი მაქვს სტატია XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე. ჯერაც ძიების ეტაპზე ვარ, ვწონი და ვწონი — რით დავიწყო, ვისზე როგორ ვილაპარაკო. არ ვიცი... ეტყობა, დრო არის ასეთი... ჭირს კაბინეტში მუშაობა.

**— დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მეცნიერი ინტერესდება სკოლით. ბევრგან მოხდა სკოლის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი არჩევაც. სკოლისადმი მათი დამოკიდებულება, ჩემი პირადი დაკვირვებით, წმინდა შემოქმედებითია. ერთი გამოსავალი იქნებ ესეცაა...**

— მე ის კაცი ვარ, რომელიც სწორედ ამ აზრით და ამ სულისკვეთებით მივედი სკოლაში და განათლების სამინისტროსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელობებს შორის ბევრი დამარწმუნებელი არგუმენტით ვიარე. ეს იყო 1973 წელს.

მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა წრეში სკოლის პოპულარობა. ისინი წარმატებით მუშაობენ თბილისის რამდენიმე სკოლაში. ვფიქრობთ, ეს პროცესი აღმავლობის გზაზეა. მეცნიერები სულ უფრო ინტერესდებიან სასკოლო პრობლემებით, ბავშვებთან შემოქმედებითი მუშაობით. თანაც ახლა უფრო გაძნელდა აკადემიურ მეცნიერებაში დამკვიდრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლას ხვალ კიდევ უფრო მეტი ნიჭიერი მეცნიერი პედაგოგი ეყოლება. სკოლისადმი ამგვარი დამოკიდებულება ეროვნული სკოლის კონცეფციის ხერხემალია. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ბავშვმა კარგად შეიმეცნოს, გაიაზროს მეცნიერების ცალკეულ დარგთა განვითარების არა მარტო მსოფლიო მასშტაბები, არამედ გაიაზროს ამ დარგში მომუშავე ქართველ მეცნიერთა ნამოღვაწარიც თუნდაც იმიტომ, რომ იცოდეს — მსოფლიო სამეცნიერო ასპარეზი მისთვისაც არის გახსნილი.

**— დასასრულ... ბატონო კობა! როგორ მიგაჩნიათ, დღეს რა უნდა გავაკეთოთ მომავალი თავისუფალი საქართველოს მაღალი ინტელექტის უზრუნველსაყოფად?**

— შორიდან დავიწყებ... ახლა ყველამ იცის — საქართველოს მოსახლეობის გენოციდი გეგმაზომიერად ხდებოდა 1921 წლიდან. გაწყვიტეს ძველი, განათლებული ქართველი ოფიცრობა, გაწყვიტეს სამღვდელოება, თავადაზნაურობა, ინტელიგენცია, გლეხობა. ბუნებრივია, ერში შიში ჩაითესა. ნებისმიერი თვისება კი სამ თაობაში, მოგეხსენებათ, უკვე გენეტიკურად მყარდება. ჩვენთან დიდხანს სულ თავის გადარჩენა იყო საფიქრებელი. თავის გადარჩენისთვის ბრძოლაში კი ჩლუნგდება ბევრგვარი სიკეთე, მძლავრობს ადამიანის ხასიათისა და ფსიქიკის მახინჯი მხარეები. საქართველომ გადაიტანა ორგვარი გენოციდი — ფიზიკური და სულიერი. ამას უნდა დავაბრალოთ ყველა ის გადახრაც, რაც გვაქვს დღეს ეროვნულ მოძრაობაში. მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართველში მთავარი მაინც გადარჩა!.. ამიტომ არის დღეს ასე მნიშვნელოვანი, რომ დავუბრუნდეთ რელიგიას, შრომისა და ცოდნის სიყვარულს. გავიხსენოთ დრო, როცა ჩვენს სოფელში ყველაზე პატივსადები ადამიანები იყვნენ მასწავლებელი და მღვდელი. დღეს კი, სამწუხაროდ, იმას თვლიან პატივცემულად, ვინც ყველაზე მეტს იპარავს...

ეს კრიტერიუმები უნდა შეიცვალოს. ამ შეცვლას ცხოვრება მოიტანს. მაგრამ ჩვენ უნდა ვიწამოთ, რომ გვჭირდება დაბრუნება ჩვენსავე თავთან, ჩვენი ცხოვრების წესთან, ჩვენს ენასთან, ჩვენს ზნეობასთან, საბოლოოდ — ღმერთთან... იქ, სადაც მეფობს შეუბრალებლობა და შეურიგებლობა, სადაც ტყვია ითვლება ყველაზე მეტყველ არგუმენტად, სადაც გაუაზრებლად სხვის აზრს აბატონებენ, სადაც საზოგადოებრივს პირადული სჯობს, იმ ერს სხვა არჩევანი არ აქვს: იგი აუცილებლად უნდა გამოეყოს თავის დამპყრობელს და, ამასთანავე, საკუთარ დღევანდელობასაც. საქართველოსათვის სხვა გზას მე ვერ ვხედავ, რადგან ის ზნეობრივი, რასაც ჩვენ დღეს ვამჩნევთ, დამოუკიდებელ არსებობაში იქნებ უარესიც იყოს. დიახ, მხოლოდ ცოდნა და განათლება, მხოლოდ შრომა და ერთად დადგომა, მხოლოდ წმინდა ზნეობა და მაღალი რწმენა გადაგვარჩენს, მეტი არაფერი.

ესაუბრა **ნინო ხარაზიშვილი**

# გასტოლა ნაკრძალში

**დიმიტრი ლომჯანიძე**

მხატვარი **თემურ ფხიკიძე**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

დათვის ბელის შეპყრობისას გამოჩენილი მონდომებისა და სიყოჩაღისთვის შამშე და გურამი უფროსებისა და მეგობრებისაგან შექებას მოელოდნენ. ამიტომ ნაკრძალის მცველის ნათქვამი ეწყინათ და შეცბნენ.

— ცოტნე ბიძია, რატომ უნდა გავუშვათ ეს ბელი ტყეში? დახრჩობას ჩვენ გადავარჩინეთ და ჩვენთან, სოფელში იყოს. სკოლაში, ზოოკუთხეში ბინას მივუჩენთ, სასმელ-საჭმელს არ მოვაკლებთ და ამასაც სხვა მეტი რა უნდა?! — თავისი მოქმედების გამართლება სცადა შამშემ და მეგობრებს გადახედა, თქვენ რას იტყვითო.

„ეჰ, სხვა მეტი რა უნდაო. ერთი მას ჰკითხეთ და გაიგებთ, რაც უნდა“, — ნაღვლიანად გაიფიქრა კვირიკემ.

— შამშე მართალია, — გამოესარჩლა მეგობარს გურამი. — ტყეში საჭმლისთვის მშიერ-მწყურვალ წანწალს არ ურჩევნია, ჩვენთან იყოს და უზრუნველად იცხოვროს?

— დამიჯერეთ, ყმაწვილებო, რომ არ ურჩევნია! მე ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი ტყეში გამიტარებია და თქვენზე უკეთ ვიცი, ნადირ-ფრინველს რას რა ურჩევნია! — არ დაეთანხმა შამშესა და გურამს მცველი.

— აბა, მაშ, როგორ მოვიქცეთ, რა ვუყოთ? — იკითხა ბოლოს ბეჟიამ და ისე მიმოიხედა, აშკარა იყო, ამ კითხვაზე პასუხს ყველა იქ მყოფისაგან მოელოდა.

— კვირიკეს ვკითხოთ და როგორც ის იტყვის, ისე მოვიქცეთ. მის ბედზე ზრუნვის ყველაზე მეტი უფლება სწორედ მას აქვს, ბოლოს და ბოლოს, დახრჩობას ხომ მან გადაარჩინა! — მოულოდნელად ჩაერია საუბარში სკოლის დირექტორი.

ყველა კვირიკეს მიაჩერდა. გაკოჭილი ბელიც კი აცმუკდა, თითქოს მიხვდა, რომ მისი ბედი ახლა წყდებოდა.

— ნადირი, ბელი იქნება თუ სხვა, ტყეში უნდა იყოს. გავუშვათ და მის ნებაზე ინავარდოს, — მოკლედ მოჭრა კვირიკემ.

ცოტნეს მოეწონა ეს გადაწყვეტილება, უზომოდ გაუხარდა კვირიკეს გამოტანილი განაჩენი და წარბი გაეხსნა.

— რაკი კვირიკეს სურს, დე, ასე იყოს! — თქვა შამშემ, ბელი ძირს დასვა და მერე დაუტატანა: — აბა, ახლა კი იმ შენს ტყეში მოუსვი და აქ მეტად შენი ფეხი არ ვნახო, თორემ ვაი შენი ტყავის ბრალი!

დათვის ბელი, რაკი თავისუფლად იგრძნო თავი, ტყისკენ უკანმოუხედავად წაძუნძულდა, მაგრამ მგონი გუნებაში ბოლომდე არ სჯეროდა, ტყვეობას და ამდენ გაწამაწიას ნამდვილად თუ გადაურჩა.

კვირიკე ცივ წყალში ყოფნისაგან ერთიანად აეტანა კანკალს, კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ დათვის ბელის გადარჩენით იმდენად კმაყოფილი იყო, ყურადღებას არაფერს აქცევდა.

ცოტნემ შალის სვიტერი გაიხადა და კვირიკეს ჩააცვა. მას გულში უზომოდ უხაროდა, რომ მისი მეგობრის შვილი ასეთი კეთილი და გაბედული ყმაწვილი გამოდგა.

კვირიკეს საქციელითა და ნამოქმედარით მისი ამხანაგებიც აღტაცებულნი იყვნენ, რადგან გამბედაობას და ალალი გულით გაწეულ სიკეთეს მოზარდის თვალში უდიდესი ფასი აქვს.

„ბიჭი რომ ნადირის გულისათვის თავს ასეთ საფრთხეში ჩაიგდებს, მეგობარს რომ მისი დახმარება დასჭირდეს, ალბათ სულს არ დაიშურებსო“, — კმაყოფილებით ფიქრობდა ბეჟია. ალბათ ამასვე ფიქრობდნენ სხვებიც და კვირიკეს განსაკუთრებული სიყვარულით დასტრიალებდნენ თავს.

ცოტა არ იყოს, თავიდან შამშეს ოდნავ შეშურდა კიდეც კვირიკეს ამგვარი წარმატება. გული იმაზედაც დასწყდა, მის მიერ დათვის ბელის დაჭერა რომ თითქმის არავინ არაფრად ჩააგდო და ბოლოს ყველა ისე მოიქცა, როგორც სოფელში ორი დღის წინ მოსულმა კვირიკემ მოისურვა. მაგრამ იგი ბუნებით არ იყო გულბოროტი და ავმეხსიერა. თანატოლის მიმართ უმიზეზო წყენა რომ გულში არ ჩარჩენოდა, თავს უცხოსავით მკაცრად შეუტია: „სოფელში ჩვენს სამეგობროს ერთი კარგი ბიჭი კიდევ შემოემატა და იმის მაგივრად, რომ მისმა კაიკაცობამ გულით გაგახაროს, გეწყინა და ცხვირი ჩამოგიშვია. კიდევ კარგი, რომ ამ წუთში ყველა მისი გამარჯვებით არის გართული, თორემ ბიჭებმა რომ სხვისი სიკეთის გამო რაიმე წყენა შეგამჩნიონ, უმალ ზურგს შეგაქცევენ და სამეგობროდან გაგთიშავენ. ხომ იცი, რომ ციხვარგულელ ბიჭებს შურიანი ვინმე არ უყვართ“...

კვირიკემ ტანსაცმელი ჩაიცვა და ცოტნემ თითქმის ძალად წაიყვანა შინ.

●

ის იყო, მზემ სოფელი მოიარა, რომ ნაკრძალის მცველმა კვირიკეს ეზოს ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. თოკზე გამობმული ბოჩოლა მორჩილად მოჰყვებოდა უკან.

კვირიკეს მეზობლის მოსვლა არ გაჰკვირვებია. ისინი გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე მიმოდიოდნენ ერთმანეთთან, მაგრამ ახლა იმას ნამდვილად ვერ მიხვდა, ხბოსთან ერთად რატომ მოსულიყო მასთან ნაკრძალის მცველი.



გაგრძელება. იხ. „ნაკადული“ № 8.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ იფიქრა, ალბათ ნახირში გაშვება დააგვიწყდა, ჩემს ეზოში მშვენიერი მოლია და დღეს აქ თუ უნდა აძოვოსო. მაგრამ გაახსენდა, რომ ცოტნეს კვირიკესაზე არანაკლები მობიბინე ეზო ჰქონდა და ხბოს ძოვება თუ უნდოდა, იქაც კარგად აძოვებდა. „აბა, მაშ რა?! დღეს არც შაბათია, არც კვირა, რომ ხბო გასაყიდად ბაზარში მიჰყავდეს, ხოლო თუ სხვაგან სადმე მიჰყავს, პირდაპირ იქ წასულიყო, ჩემთან რატომღა შემოიარა? თუმცა, შეიძლება სიტყვა აქვს სათქმელი, მეტყვის და თავის საქმეზე მერეც წავა". — დაასკვნა ბიჭმა გუნებაში.

ბოჩოლას მწვანე მოლი ესიამოვნა და ბალახს მიეტანა.

ბოლოს კვირიკეს ცნობისმოყვარეობამ სძლია და პირდაპირ ჰკითხა მეზობელს:

— ცოტნე ბიძია, ეს ხბო სად მიგყავს?

— არსად, შენთან მოვედით მეც და ეს ხბოც.

— ჩემთან? — გაუკვირდა კვირიკეს.

— სწორედ შენთან მოვედი და აი, ხბოც მოგიყვანე. კაცი რომ სოფელში ცხოვრობ, თუ საქონელი არ იყოლიე, ისე მისი ყოფნა რავა იქნება. ჰოდა, ჩაიბარე ეს ხბო და მოუარე, — აუხსნა მოსვლის მიზეზი.

— ხბო... ცოტნე ბიძია, მე რომ არ მითქვამს, ხბოს ყიდვას ვაპირებ-მეთქი? ჯერ ამისათვის არც ფული მაქვს და... — სულ დაიბნა კვირიკე.

ცოტნემ კეთილად გაიღიმა.

— კი, მართალია, შენ არ გითქვამს, ბიძიკო, ხბოს ყიდვას ვაპირებო, მაგრამ მე შენზე გამოცდილი ვარ და ვიცი, რომ ხბოც უნდა გყავდეს და სხვა საქონელიც.

— შეიძლება, მაგრამ მერე ფული?.. — ისევ სცადა წინააღმდეგობის გაწევა კვირიკემ.

— მოეშვი ამ ფულს, შე კაცო, კი არ უნდა მოგყიდო ეს ხბო!

— აბა?

— აბა და ისე, საჩუქრად მოგიყვანე.

კვირიკემ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნაკრძალის მცველმა არ აცალა:

— შენ ამ საფურე ბოჩოლას მოუარე. ორ წელიწადში ძროხა გახდება... ხბოს მოიგებს. ამასობაში დრო გავა და... დანარჩენს, რაც სოფელში მცხოვრებ გლეხკაცს სჭირდება, თვითონ მიხვდები და თანდათან შეიძენ კიდეც.

— ზამთარში ამ ხბოს თივა დასჭირდება... — წამოიწყო კვირიკემ.

— ზამთარში რომ ამ ხბოს თივა დასჭირდება, იმას ზაფხულში მე და შენ ერთად მოვთიბავთ. მანამდე კი საწიორე მთაში აიყვანე, იქაა ახლა ჩვენი ნახირი, საზაფხულო საძოვრებზე. კი იცი შენ, სადაც არის ის საძოვრები, მე და შენ იმ ხეობაში ნამყოფი ვართ. იქამდე შორი არ არის და გზაც მშვენიერი მიდის. შუადღისას რომ წახვიდე, მზის ჩასვლამდე სოფელში დაბრუნებას მოასწრებ. იქ სიმონა მენახირესთან მიდი და უთხარი, ცოტნე ბიძიამ გთხოვა, ამ ხბოს კარგად მოუარე-თქო. დანარჩენი მე ვიცი. წავედი ახლა მე. მეტი არ მცალია, ოთია თავმჯდომარე უნდა ვნახო.

დაბნეულმა კვირიკემ მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრო, ცოტნე ეზოდან გადავიდა.

„ესეც ასე, ერთი სული საქონელი უკვე მყავს. ახლა, როგორც ცოტნე ბიძია ამბობს, უკვე ნამდვილი ოჯახი მქვია", — გაიფიქრა გახარებულმა კვირიკემ და ხბოს მიუალერსა.

•

ციხვარგულას კლუბში კინოფილმის ჩვენება გვიან ღამით დამთავრდა. ასე იყო ყოველთვის, სოფელში კინოფილმი გვიან იწყებოდა და, ცხადია, დამთავრებითაც გვიან მთავრდებოდა... კვირიკე და მისი მეგობრები კლუბიდან რომ გამოვიდნენ, პირველის ნახევარი იყო.



ერთხანს კლუბის ეზოში, შინმოუსვლელთა ობელისკის წინ, სკვერში გაჩერდნენ. ნანახ ფილმზე საუბრობდნენ და შინ წასვლას ჯერ არ აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად მთელ სოფელში შუქი გამოირთო და ისედაც ბნელი, უმთვარო ღამე უსაშველოდ ჩაბნელდა. ხალხმა სახლებს მიაშურა და ირგვლივ უმალ ყველაფერი ჩაწყნარდა. მხოლოდ მდინარე ემუსაიფებოდა სიბნელეში ლანდებად გადმომდგარ მწვერვალებს.

ბიჭებიც დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ. სოფლის ოღროჩოღრო გზაზე სიბნელეში შინისკენ რომ მიდიოდა, კვირიკემ ერთგან ფეხი რაღაცას ისე მაგრად წამოჰკრა, ფეხსაცმლის ლანჩა ქუსლამდე აძვრა და ზონარიც შეაწყდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე კი იძულებული გახდა გზისპირა ქვაზე ჩამომჯდარიყო, რათა რამე ეშველა ფეხსაცმლისათვის.

ჩაკუნაპეტებულ სოფელში უჩვეულო სიმყუდროვე გამეფებულიყო. სიბნელეში სახლები უფორმო ლანდებივით მოჩანდნენ. მოულოდნელად თავისი საქმით გართულ კვირიკეს მახლობელი სახლის კუთხიდან ლაპარაკი შემოესმა.

— შინ რომ მივედი, მეზობელმა მითხრა, შენთან ვიღაც კაცი იყო მოსული და დაიბარა, სამჟედლოსთან დაველოდებიო. დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილხარ და არ მეგონა, შენ თუ იქნებოდი. მომილოცნია, ახალი მანქანა გიყიდია, თანაც შავი ფერის ოცდაოთხი!.. ყოჩაღ, ძმაო, შენზე უნდა თქვას კაცმა, მარიფათიანი ბიჭიაო! რამდენი დაგიჯდა? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— არაფერიც არ დამჯდომია. სიდედრმა ლატარიის ბილეთი მაჩუქა და იმით მოვიგე.

— მოეშვი, თუ კაცი ხარ, უკულმა ლაპარაკს! მე შენ, ბიჭო, ვინ გგონივარ, პროკურორი, გამომძიებელი, თუ მოსამართლე? იყიდე და ღმერთმა მოგახმაროს!

— აკი გითხარი, არ მიყიდია, ლატარიაში მოვიგე-მეთქი.

— შენ ერთი წლის წინ რომ „ჟიგული“ შეიძინე, იმაზედაც ასე თქვი, ლატარიით მოვიგეო.

— მოვიგე და აბა არ მეთქვა? — სიბნელეში ჩუმი სიცილი გაისმა.

— კი მაგრამ, ის დალოცვილი ღმერთი შენს მეტს ვერავის ხედავს, ან ისეთი რა ასიამოვნე, რომ სულ შენზე და შენს სიდედრზე იბერტყავს წელიწადში ორჯერ წყალობის კალთას? თქვენს მეტი ქვეყანაზე არავინ ცხოვრობს?

— იბერტყავს და რა ჩემი ბრალია! აბა მე თვეში ასოცმანეთიანი ხელფასით ოცდაოთხის მყიდველი ვიყავი?!

— კი ვიცი, ხელფასით რომ არ ცხოვრობ.

— მე თუ არ ვცხოვრობ, არც ბევრი სხვა ვინმე ცხოვრობს ხელფასით. ჩვენ რომ გვაქვს, იმ ხელფასით ცხოვრება ნამდვილად არ შეიძლება და ამიტომაც, ვინც ახერხებს, რომ ხელფასით არ იცხოვროს, არც ცხოვრობს.

— მოვეშვათ ამას, — მცირე ხნის შემდეგ უთხრა ერთმა მეორეს. — ეს საკითხი ჩემი და შენი გადასაწყვეტი არ არის. შენ ჩემთან არც ამაზე საკამათოდ და არც სიდედრის ნაჩუქარი ლატარიით მოგებული ოცდაოთხის საჩვენებლად, არ იქნები მოსული.

— არა, ამისთვის ნამდვილად არ მოვსულვარ. შენთან სხვა საქმე მაქვს.

— მერე, აქ რას ვდგავართ, ჩემთან წავიდეთ სახლში.

კვირიკემ უხერხულობა იგრძნო, უნებურად სხვისი საუბრის მოწმე რომ გახდა. აღარ იცოდა, რა ექნა, და როცა ერთმა მეორეს შინ წასვლა შესთავაზა, გაუხარდა, იფიქრა, მეც მეშველებაო, მაგრამ იმ მეორემ იუარა.

— არა, ყუყლუპა, შენთან სახლში წასვლა აუცილებელი არ არის. აქ სიმყუდროვეა და აქვე გეტყვი სათქმელს.

— შინ მარტო ვარ, ხელს არავინ შეგვიშლის. სათქმელიც იქ ვთქვათ, თითო ჭიქაც დავლიოთ და ძველი მეგობრობაც გავიხსენოთ.

— დალევა და ქეიფი სხვა დროისთვის გადავდოთ. ხომ ხედავ, რომ მანქანით ვარ. მეგობრობის გახსენებად კი ის ჩავთვალოთ, რასაც ახლა მე გთხოვ და შენ შემისრულებ.

— თქვი, შე კაცო, რა თხოვნაა მასეთი?

— თევზი მინდა.

— რა თევზი, სათალი?

— არა კაცო, სათალის გულისთვის აქ მოვიდოდი? სათალი და ხიზილალა იმდენი მაქვს, კოვზით რომ ჭამონ სტუმრებმა, ერთ კვირას არ გამომელევა. ერთიც და მეორეც მახაჩყალიდან ჩამომიტანეს. ახლა მარტო კალმახი მაქვს საშოვნელი. კვირას ბავშვის დაბადების დღეს ვიხდი, ქალაქიდან საპატიო სტუმრები ჩამომივლენ... ტრესტის მმართველი იქნება მეგობრებით და სუფრაზე ცივზარგულას ცოცხალი რომ არ მქონდეს, მირჩევნია, თვითონ არ ვიყო ცოცხალი. კალმახზე კი შენი იმედი მაქვს.

— ჩემი იმედი ტყუილად გაქვს. მე ვერაფრით დაგეხმარები!

— რატომ, კაცო, ერთხელ და ორჯერ გიშოვნია თუ რა?

— რომ მიშოვნია, ის დრო წავიდა. ახლა, ძმაო, თევზი ქვირითს ჰყრის და კალმახს არავინ დამაჭერინებს.

— კარგი, კარგი, ვიცი, რა ქვირითობაც გაქვს! ქვირითობა, თორემ სხვა დროს სულ ნორმებში დაგიცავს თევზის ჭერისა და ნადირობის ვადები!

— დამიცავს თუ არა, გეუბნები, ადრე სხვა იყო-მეთქი. ახლა მე არც ჯარიმის გადახდის თავი მაქვს და არც ციხეში წასვლის სურვილი.

— ნუ გეშინია, არავინ დაგიჭერს. რა ღირს კილოგრამი კალმახი? ათი მანეთი ხომ? ოცს გადაგიხდი. ხომ იცი, ფულზე არასოდეს უკან არ ვიხევ.

— ვიცი, მაგრამ იმ უპატრონო ნაკრძალის მცველს დღე და ღამე არ სძინავს, სანამ ეგ აქ არის, ცივზარგულაში კალმახს კი არა, ლიფსიტას ვერავინ დაიჭერს, — ეტყობა ფულმა გასჭრა და კილოში დათმობა დაეტყო მეთევზეს.

— ვთქვათ, ნაკრძალის მცველი არ იყოს ადგილზე...

— მაშინ, ცხადია, ყველაფერი უფრო ადვილად მოგვარდება.

— აბა, ჩემო ყუყლუპა, დარდი ნურაფრისა გექნება. ნაკრძალის მცველი ამ სამ დღეში სოფელში არ იქნება — სატყეო მეურნეობის მუშაკთა ზონალურ შეკრებაზეა გამოძახებული. ორი საათის წინ რაიონში მე ჩავიყვანე და გზაში საუბრისას თვითონ მითხრა ეს.

— ჰოო, ეს უკვე სხვა საქმეა! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა იმან, რომელსაც ყუყლუპა უწოდეს. — ოღონდ, იცოდე, ფული წინასწარ უნდა მომცე!

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს! ჩვენ მაგის ხალხი ვართ?! აჰა, აქ ექვსასი მანეთია. კვირა დილით ჩემი კაცი მოვა. იცის იმან, სადაც უნდა შეგვხვდეს, და ოცდაათ კილოგრამ კალმახს გამოატან.

— ყველაფერი იქნება!

„ვოლგის“ პატრონი მანქანაში ჩაჯდა.

კვირიკემ თვალი გააყოლა ორღობეში ნელა მიმავალ მანქანას. ნომერი აინტერესებდა, მაგრამ კუნაპეტ სიბნელეში რას დაინახავდა.

„ახლა ისეთი დროა, კალმახი ქვირითს ყრის, ეს იმ მეთევზემაც მშვენივრად იცის, მაგრამ ამათ, ეტყობა, შენი კალმახიც და მისი ქვირითობაც ფეხებზე ჰკიდიათ. თუ ფხიზლად არ იქნა ცოტნე ბიძია, ოცდაათი კილოგრამის კი არა, ათჯერ მეტის დაჭერასაც არ მოერიდებიან. თუმცა, თუ სამი დღე სოფელში არ იქნება, რა უნდა გააწყოს?! მაშასადამე, რაკი ცოტნე ბიძია არ არის სოფელში, მე უნდა შევუშალო ხელი!“ — გადაწყვიტა კვირიკემ, თუმცა ჯერ კარგად არ იცოდა, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს.

„როგორ უთხრა მანქანიანმა მეორეს, „ყუყლუპაო?“ ვინ არის, ნეტა, ეს ყუყლუპა?! ალბათ აქაური მეთევზებრაკონიერია, მაგრამ მე რომ არ ვიცნობ?... მე არ ვიცნობ, მაგრამ ცოტნე ბიძიას ხომ ეცოდინება, „ყუყლუპა“ ვინ არის სოფელში? ცოტნე ბიძია რომ ახლა აქ არ არის?!, ახლა არ არის, მაგრამ ხომ დაბრუნდება?.. ორი დღის შემდეგ დაბრუნდება, მაშინ კი ყველაფერი გვიან იქნება, ორი დღის შემდეგ მაგ ყუყლუპას კალმახი დაჭერილიც ეყოლება და გაყიდულიც, ხოლო ამისთანა უნამუსო ფაქტზე თუ არ დაიჭირე, ისე ვერაფერს გახდები. ეს ყუყლუპა კი ისეთი გაიძვერა ჩანს, თავს ფაქტზე არ დაგაჭერინებს. ხვალ ხბოს საზაფხულო საძოვარზე წავიყვან და, როგორც ცოტნე ბიძიამ მითხრა, სიმონა მენა-

ხირეს ჩავაბარებ. იქიდან რომ დავბრუნდები, მდინარეს დავუწყებ თვალთვალს. თუ წამსვლელია ის მეთევზე, სწორედ ხვალ წავა სათევზაოდ. ზეგ კვირაა და, შეთანხმებისამებრ, ზეგ დილით ყუყლუპამ კალმახი მანქანიანის გამოგზავნილ კაცს უნდა ჩააბაროს. ალბათ ხვალ ღამით წავა სათევზაოდ. თუმცა, რაკი ცოტნე ბიძია აქ არ არის. შეიძლება დღისითაც წავიდეს“...

●

დილით, საძოვრებზე წასვლის წინ, კვირიკემ ბესოს შეუარა. იფიქრა, რაც უნდა იყოს, მე აქაურობის ბევრი რამ არ ვიცი, განსაკუთრებით საწიორე მთისა, ბესო კი აქ, სოფელშია გაზრდილი, მთისაც მეტი იცის და ბარისაც; ესეც არ იყოს, ორნი ხბოს უფრო ადვილად წავიყვანთ და გზაში ლაპარაკით გავერთობით; თან წუხანდელ ამბავს ვეტყვი და, უკან მობრუნებულები, მეთევზეებს ორივენი დავუდარაჯდებითო. მაგრამ ბესო შინ არ დაუხვდა. დედასთან ერთად შიხორას წასულიყო.

კვირიკემ ერთი კი დააპირა, ახლა სხვა ბიჭებს ვნახავო, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ ვერც სხვები ვნახო, ამასობაში დრო დავკარგო და საქმეც წავახდინოო. რაც მალე წავალ მთაში, ისა სჯობია, უკანაც დროულად დავბრუნდები, მეთევზეს დავუდარაჯდები და კალმახის დაჭერაში ხელს შევუშლიო.

მთაში ავიდა, მენახირე ინახულა, ხბო ჩააბარა და უმალ უკან გამობრუნდა. გზის შესამოკლებლად მთიდან პირდაპირ დაეშვა, მაგრამ ერთ ბნელსა და ღრმა ხეობაში ამოჰყო თავი. იქიდან გამოღწევაში უამრავი დრო დაეკარგა და სოფლისკენ მიმავალ გზაზე რომ გავიდა, უკვე სიბნელე იყო ჩამოწოლილი.

ეს რა დამემართა, მთელი დღე ხევ-ხუვებში ხეტიალში დავკარგე, ამასობაში ალბათ იმ მეთევზემ მანქანის პატრონისთვის შეპირებული კალმახი კიდეც გაყიდაო, — ფიქრობდა საკუთარ თავზე გამწყრალი კვირიკე და დაძმარებული მიჰყვებოდა გზას.

მოულოდნელად შორიახლოს ჯერ ხეზე ცულის შემოკვრის ხმა მოესმა, მერე შუქიც დაინახა. შუქი ინთებოდა და ქრებოდა. აშკარა იყო, ტყეში ვიღაც დადიოდა.

„ვინ უნდა იყოს? მეთევზე თუ ხის მოსაჭრელად შემოპარული ვინმე?.. შიხორას ხიდიდან მოყოლებული ყინულიან მწვერვალებამდე მთელი ეს ხეობა ნაკრძალად არის გამოცხადებული და, მაშასადამე, ტყეში ხეც, აქ მობინადრე ნადირ-ფრინველიც და წყალში — თევზიც ხელშეუხებელია. ეს ყველამ იცის, მაგრამ ახლა, რაკი ნაკრძალის მცველი აქ არ არის, ეტყობა, ვიღაცამ დრო იხელთა და ხეს ჭრის. ვინ იცის, იქნებ სწორედ ყუყლუპა მეთევზეა... მაგრამ მეთევზეს ცული რად უნდა? თუმცა, იქნებ ხეზე ცულის შემოკვრის ხმა არ ყოფილა და მომეჩვენა?! რა ვიცი“...

კვირიკე იქით წავიდა, საიდანაც ცულის ხმა გაიგონა, მერე კი შუქი დაინახა. ფრთხილად მიდიოდა, ფეხაკრეფით. უეცრად სიბნელეში კვლავ გაკრთა შუქი და მერე აღარ ჩამქრალა.

კვირიკემ ნაბიჯს აუჩქარა. როცა ათიოდე მეტრზე მიუახლოვდა, დაინახა, რომ წყლის პირას ორი უცნობი კაცი იდგა და რამდენიმე ფაცერს თოკით ერთმანეთზე აბამდა.

„მეთევზეები!“ — გაუელვა ბიჭს. „ერთი უთუოდ ის არის, წუხელ შავეოლგიანს კალმახის დაჭერას რომ დაპირდა, მაგრამ მეორე? ნუთუ თვითონ „ვოლგის“ პატრონია?“

მეთევზეები ფაცერების გადაბმას მორჩნენ და ერთმა ჰკითხა მეორეს:

— ახლა როგორ მოვიქცეთ?

— ახლა ჩავდგათ წყალში ფაცერების ეს ასხმული და დავტოვოთ ასე, ოღონდ დილით უთენია უნდა მოვიდეთ, რომ ნაკრძალის მცველი თავზე არ წამოგვადგეს. თორემ, თუ მოგვისწრო, ფულიც ოხრად დაგვეკარგება და კალმახიც.

— შენ ამ საქმეში გამოცდილი ხარ, როგორ გგონია, ერთ ღამეში ათი ფაცერით ოცდაათ კილოგრამ კალმახს დავიჭერთ? — დაინტერესდა ერთი.

— ოცდაათს კი არა, ორმოცსაც ადვილად დავიჭერთ. ახლა ქვირითს ყრის კალმახი, ქვევიდან ზევით, თავთხელი წყლისკენ მიდის, საქვირითე ადგილს დაეძებს და არ შეიძლება, ფაცერს ისე აუაროს გვერდი, შიგ არ შეძვრეს, იქნებ ქვირითის დასაყრელად გამომადგესო. საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, ერთ ფაცერში სამ კალმახზე ნაკლები მაინც არ შევა. ციხვარგულას თითო კალმახი კი ხშირად ორ კილოგრამს იწონის. ჰოდა, ღმერთი ისე რავა გაწყრება, ამხელა ღამეში ათმა ფაცერმა, თუ მეტი არა, ოცდაათი კილოგრამი არ დაიჭიროს. თუმცა რა დროს წყალში კალმახის დაფასებაა, ჯობია, საქმეს მივხედოთ, პირველმა მეორე ამხანაგს თოკის ერთი ბოლო ფეხებთან მიუგდო: — ერთი, ეს თოკი მაგრად გამობი ხეს! — თვითონ ერთმანეთზე თოკით გადაბმული ფაცერგოდრები წყალში ჩაათრია. ხმელეთზე დარჩენილმა თოკი რომ ხეზე მიამაგრა, ფარანი აიღო და წყალში მყოფს მიუნათა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

## ორივე სივრცეს ამშვენებს

აქეთ მწვანე ხე,
მახლობლად —
დახავსებული ხეხმელი.
გოჩამ თქვა: „ცულით ამ ხეებს
ვერასდროს ვერ შევეხები,
ორივე ამაყადა დგას,
ორივე სივრცეს ამშვენებს,
თითქოს ორივე ზღაპრისკენ
მიმავალ ბილიკს გაჩვენებს...“
წავიდა, ხევში მოძებნა
ხე წაქცეული, გამსკდარი,
თოკით ჩათარა სახლამდე,
თქვა:
„რაღას მიზამს ზამთარი!“

## სიყვარული

ციხეს კედელგაბზარულს,
მაღლობზე რომ დგას,
გიორგი და დიმიტრი
აზორებენ ხავსს.
ხან დაფუსფუსებენ,
ხან უვლიან გარს,
ველარ გრძნობენ სუსხიან
შემოდგომის ქარს.
სახლში აგვიანდებათ, —
ვინც რა უნდა თქვას.
სიჩუმეში ისმენენ
ერთმანეთის ხმას:
„ნეტავ ვინ ააშენა...“
„რა ლამაზად დგას...“

## არც ეგ შეარცხვენს

თორღვა ხევსური ბიჭია,
ბილიკს მიჰყვება მთისასა,
კუნძი თუ ნადირს ამსგავსა,
ხანჯალს უღერებს ხისასა,
სულ მალე დავაჟკაცდება,
მუხლს გამოიბამს მგლისასა,
არც ეგ შეარცხვენს ჯილაგსა
უკვდავი წინაპრისასა,
არც ქართველობას მოიშლის,
არც — ერთგულებას ღვთისასა...
და, თუ სამშობლოს დასჭირდა,
მზეს დააბნელებს მტრისასა!

ხეს ამოფარებული კვირიკე ყველაფერს ხედავდა.

როცა საქმეს მორჩნენ, უფრო გამოცდილმა თოკი შეამოწმა, ხეზე საიმედოდ თუა მიბმულიო.

— ახლა კიდევ რა უნდა გავაკეთოთ? —ჰკითხა ახალბედამ.

— მეტი არაფერი. შინ წავიდეთ, იცოდე, არ ჩაგეძინოს და მოსვლა არ დააგვიანო. ოდნავ ინათებს თუ არა, აქ უნდა ვიყოთ, რომ წყლიდან ფაცერების ამოღება და გადამალვა მოვასწროთ, კალმახიც წავიღოთ და პატრონს ჩავაბაროთ.

ფარანი ჩააქრეს და იქაურობას გასცილდნენ.

მისწყდა თუ არა მათი ფეხის ხმა, კვირიკე სამალავიდან გამოვიდა და ღამეს ყური მიუგდო. იდგა და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო.

„ხვალ დილით ცოტნე ბიძია დაბრუნდება. იქნებ ჯობს, დაბრუნებას დაველოდო, ყველაფერი შევატყობინო და მერე ორივემ ერთად ამოვიღოთ წყლიდან ფაცერები?“ მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ცოტნეს ლოდინის დრო არ იყო. ამასობაში მეთევზეები ბარე ათჯერ მოასწრებენ ფაცერის წყლიდან ამოღებას, კალმახის ამოყვანას და...

იმ ხესთან მივიდა, რომელზედაც წყალში ჩაშვებული ფაცერები თოკით იყო მიბმული. თოკი ახსნა და მთელი ძალით მოქაჩა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მცირე ხანს შეისვენა. ღონე მოიკრიბა და თოკს მძლავრად მოსწია. მოულოდნელად საყრდენგამოცლილივით უკან გადავარდა და გულაღმა გაიშხლართა.

ალბათ თოკი თუ გაწყდაო, ძლივს მოასწრო ამის გაფიქრება, რომ თოკი ლარივით დაიჭიმა.

„არა თოკი არ გაწყვეტილა, წყლიდან ამოგდებული გოდორ-ფაცერების ასხმულას მდინარე გასატაცებლად თავქვე ექაჩება“, — კმაყოფილებით გაიფიქრა კვირიკემ და მდინარის კიდესთან მოტივტივე ფაცერები ხმელეთზე ამოათრია. თითოეული მათგანი შეამოწმა. შიგ მოხვედრილი რამდენიმე კალმახი ამოიყვანა, ისევ მდინარეს დაუბრუნა, მერე ფაცერების ასხმულა ტყის სიღრმეში შეათრია, და კმაყოფილი სოფლისაკენ გაემართა.

●

დილით რაიონიდან ადრიანად დაბრუნებულმა ნაკრძალის მცველმა რამდენიმე წუთით შეიარა შინ, საგარეო ტანსაცმელი გამოიცვალა, ისაუზმა და ციხვარგულას ხეობის დასახედად გაეშურა.

ორი დღე გავიდა, რაც იგი სოფელში არ ყოფილა. ორი დღე რა ისეთი დიდი დრო არის, რომ სოფლიდან გასულ კაცს მშობლიური კუთხე მოენატროს, მაგრამ ცოტნეს ასე ეგონა, თითქოს ორი დღე კი არა, მთელი ორი წელი არ ენახოს იქაურობა. იმ დღეს ასჯერ უფრო მშვენიერი ეჩვენა მშობლიური სოფელი, თოვლიანი მწვერვალები, სათიბებით ამწვანებული მთის ფერდობები, ათასგვარი ყვავილით მოჩითული ველ-მინდვრები, რუები თუ წყაროები.

თათბირზე მინისტრის მოადგილემ განსაკუთრებით აღნიშნა საქმისადმი ცოტნეს დიდი სიყვარული და მონდომება. სულ მცირე რამ უნდა ადამიანის გულს სალხენად და გასახარად. ცოტნესაც ესიამოვნა უფროსის შექება. რაიონიდან წამოსულს აქამდე გამოჰყვა ის განწყობილება და ტყეში შესული ისეთ გუნებაზე იდგა, მზად იყო, ყოველ ხეს, ბუჩქს, ქვას თუ ბალახს მოხვეოდა და მოფერებოდა.

საწისქვილე ჰალაზე გასულმა მდინარის გაღმა ფერდობზე ორი კაცი შენიშნა. შორს იყვნენ და ვერც ერთი ვერ იცნო. გაიფიქრა, ალბათ მთაში მოკლე გზით მიდიანო, და მისალმების ნიშნად ხელი ასწია, კეთილად იყავით და გამარჯვებით გევლოთო.

იმ ორმა კაცმა უმალ შენიშნა ნაკრძალის მცველის მაღლა აწეული ხელი და ერთმა მეორეს უთხრა:

— ეტყობა, მიხვდა, ის ფაცერები ჩვენი ჩადგმული რომ იყო და გვემუქრება. ფაცერები ადგილზე რომ ველარ ვნახე, ვიფიქრე, უთუოდ ნაკრძალის მცველი დაბრუნდა სოფელში და სწორედ მან ამოიღო-მეთქი წყლიდან. ისე ყველაფერი კარგი აგვიხდეს, როგორც ჩემი ფიქრი გამართლდა! გაიხედე ერთი, ახლაც სწორედ იმ ადგილას დგას, სადაც წუხელ ჩვენ ფაცერები დავაგეთ, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა! ხომ ვერ მიხვალ და ვერ ეტყვი, რად აშალეო. მთელი ეს მხარე ნაკრძალია, აქ უნებარ-



თვოდ თევზაობა და ნადირობა აკრძალულია, მით უმეტეს, ცხოველთა მაკეობისა და კალმახის ქვირითობის დროს. მცველს ჯერ შეიძლება ჩვენზე მხოლოდ ეჭვი აქვს, მაგრამ რომ მივიდეთ და ფაცერებზე რაიმე ვუთხრათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენვე ვაღიაროთ დანაშაული. ხოლო თუ დანაშაულს აღიარებ, კანონიც საკადრისს მოგიზღავს.

— მერე და, ახლა ამას რა ეშველება? — ჰკითხა ახალბედამ გამოცდილ მეგობარს.

— ახლა ამას გაჩუმების მეტი რა ეშველება, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ შევარჩინო მაგ გველის გესლს ჩემი შერცხვენა და გაწბილება! — მუქარით თქვა ყუყლუპამ და ამხანაგთან ერთად იქაურობას გაეცალა.

ცხადია, ცოტნეს არც მათი მუქარა გაუგონია და არც ვინმეს დაგებული ფაცერი უნახავს. კვირიკეს კი ჯერ ცოტნე არ ენახა და, ცხადია, არც არაფერი ეთქვა.

ამ ამბის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. მაისი ივნისივლისმა შეცვალა. მზიანი დარები ყელსაბამის მძივებივით ერთმანეთს მიება.

ციხვარგულაში თიბვის სეზონი დაიწყო. მთელი სოფელი სათიბში გავიდა და სხვა რამისთვის დიდხანს არავის ეცალა.

●

...იმ დღეს სათიბიდან ნაადრევად წამოსული ცოტნე და კვირიკე მოდგინარის ბუჩქებთან შეჩერდნენ. ნაკრძალის მცველმა ცალ მუხლზე დაიჩოქა და ბუჩქების ძირები ერთხანს დაკვირვებით ათვალიერა, მერე თავი რაღაცნაირი უკმაყოფილებით გადაიქნია.

— ცოტნე ბიძია, რა იყო? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა კვირიკემ.

— წელს მკაცრი ზამთარი გვექნება, — აუხსნა ნაკრძალის მცველმა.

— რა იცი?

— მოდგინარის ბუჩქის ძირები ნაადრევად არის გაყვითლებული. როცა ხანგრძლივი ზამთარია მოსალოდნელი, ამ მცენარეს ასე სჩვევია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წელს ნადირ-ფრინველს გაუჭირდება, — აუხსნა ცოტნემ და ჩაფიქრდა.

კვირიკემ კი საჯიხვე ჭიუხებს გახედა და ჰკითხა:

— ცოტნე ბიძია, ზამთარში, ვთქვათ, მგელი, დათვი, ტურა და მელა ბარს მიაშურებს საკბილოს საშოვნელად, ფრინველები თბილი ქვეყნებისაკენ გაფრინდებიან, ამსიმაღლე კლდეებსა და შიშველ ჭიუხებს შეხიზნული ჯიხვები კი როგორ უძლებენ ჩვენი მთების გრძელ ზამთარს? აქ, ალბათ, თოვლი ორ-სამ მეტრამდე აღწევს.

ნაკრძალის მცველმა თავი გააქნია.

— ორი-სამი მეტრის სისქე თოვლი ხშირად სოფელში მოდის, კვირიკე, აქ ზამთარში ბევრად უფრო მაღალია თოვლის საფარი.

— მით უმეტეს... ცოტნე ბიძია, მერე ამ თითქმის მიუვალ, შიშველ კლდეებში, ასეთ ღრმა თოვლსა და ყინვა-ზამთარში ჯიხვი როგორ სძლებს?

— სძლებს... რადგანაც ბუნებამ მას ასეთ მთებში ყოფნა არგუნა. მაგრამ როცა ძალიან გაუჭირდება, მწვერვალებს ტოვებს და ისიც, სხვა ცხოველებივით, უფრო ქვემოთ მთებს ეხიზნება, — აუხსნა ნაკრძალის მცველმა.

კვირიკე, ეტყობა, ვერ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა და კვლავ ჰკითხა:

— მთა მაინც მთაა, მით უფრო ზამთარში, როცა მიწა თოვლითაა დაფარული, ტყეს ფოთოლი არ ასხია და ბალახიც არ ჩანს... ამ დროს ჯიხვი რით იკვებება?

— ბალახით.

— ბალახს სად შოულობს ასეთ ღრმა თოვლში?

— ჩვენს მთებში გარეული ინდაურები ბინადრობენ. ადამიანმა თუ სხვა მტერმა რომ არაფერი ავნოს, ეს გარეული ინდაურებიც თავს ჯიხვებივით აქ, მაღალ მთებს აფარებენ. ხედავ, აგერ იქ, მახლობელ კლდეში, გამოქვაბული რომ მოჩანს? აქ ასეთი გამოქვაბული მრავლადაა. შემოდგომაზე ინდაურები ამ გამოქვაბულში ნისკარტით ბალახს ეზიდებიან, ცხადია, თავისთვის, რომ ცივ ზამთარში შიგ ჩათბუნდნენ და ჩაიბუდონ. მაგრამ მარტო ადამიანებს როდი სჩვევიათ გასაჭირში ერთმანეთის თანადგომა, გატანა და დახმარება. ეტყობა, მეტ-ნაკლებად ამ თვისებას არც ნადირ-ფრინველია მოკლებული. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ასეა, რადგან შემოდგომით გამოქვაბულში ინდაურების მიერ შეტანილ-მომარაგებულ ხმელ ბალახს აქაურ გრძელსა და მკაცრ ზამთარში ჯიხვები საკვებად იყენებენ. ჩემო კვირიკე, იცი შენ ალბათ, რომ ჩვენი მთების ციცაბო კლდეებში თოვლი დიდხანს ვერ ჩერდება, სულ მცირე ხმაურზე ადგილიდან წყდება და ზვავებად ზათქით და გრიალით ბარად, ხევ-ხუევებისაკენ მიექანება. თომი და მაჩეჩური — კლდის ბალახები — გაზაფხულამდე დგას ფეხზე. მართალია, ყინვადაკრული, იგი ისეთი მსუყე და წვნიანი ველარ იქნება, როგორიც ზაფხულში, მაგრამ მშიერმა ცხოველმა ოღონდ კი მოსაკორტნი რამე იშოვოს და არ დაგიდევს, ავია თუ კარგი. ცივ ზამთარში ყველაფერი კუჭის ბოძია. აკი ასეც არის ნათქვამი, ზამთარში ქვაც რბილიაო. ჯიხვს კი კლდეში გასვლა არ ეძნელება, მით უფრო, თუ მშიერია და სადმე ბალახს ხედავს.

დასასრული მომდევნო ნომერში

# [illegible] მომავალი მოითხოვს

ჩემი შვილი სკოლის ღონისძიებისათვის ემზადებოდა და ხმამაღლა გულმოდგინედ იმეორებდა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...“

ბავშვობიდან ცნობილმა და საყვარელმა ლექსმა ამჯერად ჩემდა უნებურად მწარე ფიქრებში გამხვია. თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდა, მალე არც ფირუზისფერი ცა და აღარც ზურმუხტისფერი ხმელეთი გვექნება... მაშ, რისთვის ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, რისთვის ვილვწით, რას ვუტოვებთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, იმათ შვილებს?

ოდითგანვე ქართველები შრომისმოყვარე კეთილ ხალხად ითვლებოდა. მათ ზნეობრივ ჩამოყალიბებაში საქართველოს წარმტაც ბუნებასაც მიუძღოდა წილი, აბა როგორ არ გაიხარებდა გული საუკუნოვანი მუხნარის, გაშლილი ველების, მოჩუხჩუხე ნაკადულების, ზვიადი მწვერვალებისა და აბიბინებული მდელოების ხილვით!

ჰოდა, უვლიდა ღვთით ნაბოძებ მიწას გამრჯე ქართველი, თოხნიდა, რწყავდა, მკიდა, თავს ევლებოდა და მის დასაცავად სიცოცხლესაც სწირავდა...

დადგა მეოცე საუკუნე — ტექნიკისა და პროგრესის საუკუნე, რომელმაც ახალი ქალაქების მშენებლობა, გზებისა და არხების გაყვანა, მიწის გულიდან ახალ-ახალი წიაღისეულის მოპოვება მოითხოვა, ამან კი...

— სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა, — ამბობს ჩემი თანამოსაუბრე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მარიკა დარჩია. — ჩვენ იმდენად დავარღვიეთ ბუნების ჰარმონია, ისე უცერემონიოდ ვუფათურეთ ხელები, რომ დღეს უმეცრებისა და დიდგულოვნებისათვის მკაცრად გვსჯის. ეკოლოგიური კრიზისი სწრაფად მიმდინარეობს, ეროზირებულია ნიადაგების 70%, ნადგურდება მთიანეთი, მატულობს სტიქიური უბედურებები. შავ ზღვას კატასტროფა მოელის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაბინძურებულია პესტიციდებით, მავნე ნივთიერებებით, მოწამლულია ჰაერი, წყალი, გადაშენების პირსაა ნადირ-ფრინველი.

— მართლაც მძიმე სიტუაციაა...

— საქმე ისაა, — განაგრძობს ქალბატონი მარიკა, — რომ ეს პროცესი გუშინ არ დაწყებულა, ზომიერების გრძნობის დაკარგვამ იქამდე მიგვიყვანა, რომ უმოწყალოდ ვჩეხეთ ტყე. გვიან მივხვდით, რომ მცენარეული საფარის გარეშე ძლიერდება ეროზია, მატულობს ნიადაგის ჩამორეცხვა, ქანების დაშლა, ღვარცოფები... მაგალითისათვის სვანეთისა და მთიანი აჭარის უბედურებაც კმარა. თუ ჩვენს შვილებს ტყე არ შევუნახეთ, არ მოვუარეთ, ჩვენი წალკოტი უდაბნოდ იქცევა, როგორც ეს ოდესღაც მესოპოტამიასა და მცირე აზიას დაემართა. და მხოლოდ ტყე გაჩანაგდა? რა დღეშია ჩვენი მდინარეები, ჭალები, ტბები, მთები?

— მაინც, ამ სავალალო მდგომარეობის მთავარ მიზეზად რა მიგაჩნიათ?

— უპირველესად სახალხო მეურნეობის განვითარების არასწორი დაგეგმვა, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო გავრცელება, სამრეწველო და სატრანსპორტო ობიექტებით ტერიტორიის გადატვირთვა, ხალხის დაბალი ეკოლოგიური კულტურა — ყველაფერი ეს გარემოს გაჭუჭყიანებას იწვევს, რასაც თავის მხრივ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვება, მატულობს ონკოლოგიური, ზემო სასუნთქი ორგანოების დაავადებანი



ბუნების ნორჩი ქომაგები დოკუმენტურად აღნუსხავენ ყოველ ეკოლოგიურ დანაშაულს



ჯამდება ჩატარებული სამუშაოს შედეგები, დგება მომავლის სამოქმედო გეგმები



დოკუმენტური კინოფირის თუ ფოტოფირის გამჟღავნება საკმაოდ სერიოზული საქმეა

და, რაც ყველაზე საგანგაშოა, იმატა არაჯანსაღ ახალშობილთა რიცხვმა.

— ნუთუ გამოსავალი არ არსებობს?

— გამოსავალი მიზანდასახული ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაა, — მთავრობის შესაბამისი დადგენილების სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარება, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება და გარემოს გაბინძურების საერთო ფონის გაუმჯობესება.

— ეს, ალბათ, ასეა, მაგრამ რა



მამხილებელი კინოფილმი მზად არის. ცოტაც და, ყველა დაინახავს, რა დღეშია დედაბუნება

წვლილი შეაქვს მწვანეთა მოძრაობას ამ საქმიანობაში?

— გიყვარდეს ბუნება, გესმოდეს მისი, ხედავდე და შეიგრძნობდე მის სიმშვენიერეს — ყველაფერი ეს ადამიანური გრძნობების უმაღლესი თვისებაა. არადა, როგორ გვიჭირს ქალაქელებს უბუნებოდ, როგორ გვჭირდება თუნდაც ერთი საათით მტვრიანი ქალაქის მიტოვება და ბუნების წიაღში შვების პოვნა!

ჩვენი მოძრაობა ბუნებაზე შეყვარებულ 6 ათას ადამიანს აერთიანებს. სხვადასხვა პროფესიის მქონენი ერთი მიზანი გვაქვს — დავიცვათ ჩვენი დედაბუნება დაუდევარი და ბოროტი ადამიანებისაგან.

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორი წლის არსებობის განმავლობაში მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება მოვასწარით. შეჩერდა მავნე ობიექტების მშენებლობა, დამონტაჟდა გამწმენდი დანადგარები, დამპროექტებლებიც უკვე ითვალისწინებენ ჩვენს აზრს, განგაშს ვტეხთ ყოველი მოჭრილი ხის გამო, ვამოწმებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატებისა და პესტიციდების რაოდენობას.

— ამჟამად იმდენად დაძაბულია პოლიტიკური ვითარება, რომ ეკოლოგიურმა საკითხმა თითქოს უკან გადაიწია.

— არავითარ შემთხვევაში! ბუნებრივმა კატაკლიზმებმა ნათლად დაგვანახვა, რომ თუ სასწრაფოდ არ მივხედეთ ეკოლოგიურ მდგომარეობას, შედეგი მთელი კაცობრიობისათვის სავალალო აღმოჩნდება. მწვანეთა მოძრაობის კონგრესზე მოვუწოდეთ კავკასიის ხალხებს, მიიღონ მონაწილეობა კავკასიის გადარჩენის ბრძოლაში, რადგან ეს მთელი მისი მოსახლეობის საერთო საქმეა.

— ბავშვები როგორ გეხმარებიან თქვენს მუშაობაში?

— ძალზე რთულია, ბავშვს დირექტივა მისცე, ესა და ეს საქმე გააკეთეო. აქ უმთავრესად აღზრდას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. მოზარდი რომ ლექსს იტყვის — „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა," — ეს ლიტონი სიტყვები არ უნდა იყოს, იგი ჭეშმარიტად უნდა გრძნობდეს მშობლიური მხარის სიდიადეს და კიდევაც უნდა გაისარჯოს მის სასიკეთოდ. ჩვენ გვყავს ასეთი ბავშვები, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეები, გორის რეგიონალური ჯგუფის „მწვანეები", თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ფოტოკინომოყვარულთა წრის წევრები იური ლუკაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც ფირზე აღბეჭდავენ დარღვევებს და, ამრიგად, დოკუმენტური მასალით გვამარაგებენ.

მასწავლებლები ბუნების გაკვეთილებს ბუნებაში რომ უფრო ხშირად ატარებდნენ, მოსწავლეებს ალბათ უფრო გაუღრმავდებოდათ მშობლიური მხარის სიყვარული.

ჩვენ, მწვანეთა მოძრაობის წევრები, მოვმართავთ ყველას, მოსწავლესა და სტუდენტს, ახალგაზრდასა თუ მოხუცს, ქალსა თუ ვაჟს — მივხედოთ ჩვენს დაჭრილ საქართველოს, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მუდამ წარმტაცი იყოს ჩვენი მხარე, ხოლო სიცოცხლე მარადიულად გრძელდებოდეს.

ესაუბრა ნ. ფავლენიშვილი

ფოტო თ. ცაბარელისა

გივი გეგეჭკორის მიერ მოთხრობილი

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

„ბაში-აჩუკი". ჟურნალი „კრებული". ივანე მაჩაბლის დაკარგვა.

1896 წელს აკაკი სასტუმრო „ტილიპუჭურში" ცხოვრობს (ახლანდელი ლომბარდის შენობაში). ამ სასტუმროში უფრო ხელმოკლე ინტელიგენტები ჩერდებიან. სასტუმროს პატრონი ალექსანდრე თოიძეა.

ერთხელ აკაკის ნომერში ნაცნობ-მეგობრები შეიკრიბნენ და აკაკი ახლადდაწერილ მოთხრობას „ბაში-აჩუკს" იმ პირობით წაიკითხავს, რომ ვისაც რამდენი შეუძლია, მისი ხარჯების დასაფარავად ფონდში იმდენი შემოიტანოს. ამ საღამოს იმდენი შეიკრიბება, რომ აკაკი ვალსაც გაისტუმრებს და ცოტა თვითონაც დარჩება.

1897 წლიდან 1900 წლამდე აკაკი სცემს საკუთარ ჟურნალ „კრებულს" და რედაქციის გამგედ თედო კიკვაძეს იწვევს. მისი ნაწერების გარდა ჟურნალში აკაკი ქართულ ზეპირსიტყვიერებასაც ბეჭდავს. ამ ჟურნალის რედაქცია ჯერ თბილისშია, 1899 წლიდან კი — ზესტაფონში. თავდაპირველად „კრებულში" მართლაც მხოლოდ აკაკის ნაწერები და ზეპირსიტყვიერება იბეჭდება, მაგრამ შემდეგ აკაკი პოლემიკური ხასიათის წერილების ბეჭდვასაც იწყებს, ამის უფლება კი მას არა აქვს და „კრებულს" დახურავენ.

1898 წლის 26 ივნისს უგზო-უკვლოდ დაიკარგება ივანე მაჩაბელი. აკაკისა და ივანე მაჩაბლის მეგობრობა 1879 წელს დაიწყება, ივანე მაჩაბელი უცხოეთიდან რომ დაბრუნდება.

აკაკი ივანე მაჩაბელს ასე ახასიათებს: საუცხოოდ იყო გაზრდილი, თავმდაბალი, ზრდილობიანი, ამხანაგისათვის თავდადებული, გაჭირვებაში მტერსაც კი ხელს გაუწვდიდა, თუ აწყენინებდნენ, გულში არ ჩაირჩენდა და თავისას, მცირედიც რომ ყოფილიყო, აღიარებდა და მოინანიებდა. ადამიანის წყენას ერიდებოდა, მაგრამ საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო.

ზედმიწევნით განათლებულმა და შრომისმოყვარე კაცმა ქართული ენაც კარგად იცოდა, უცხო ენებიც, და ბრწყინვალედ თარგმნიდა. მოუსვენარი იყო, უსაქმოდ ვერ დადგებოდა და რა საქმესაც ხელს მოკიდებდა, სულითა და გულით ეძლეოდა, არც ულალატებდა, არც გულს აიცრუებდა და არც გვერდს აუქცევდა, კარგზე კარგს ამბობდა. ავზე ავს და ამის გამო ბევრი მტერი გაიჩინაო...

ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 8-ბ საათზე კარგ ხასიათზე მყოფი მაჩაბელი აკაკის შესთავაზებს, ნარდი ვითამაშოთო და ითამაშებენ კიდეც, მაგრამ აკაკი თავს სუსტად გრძნობს და ხუთი ხელის მეტს არ ითამაშებენ. მერე საქმეზე ილაპარაკებენ და საღამოს ათი საათი არ იქნება, რომ აკაკი შინ წასვლას დააპირებს, მაგრამ ივანე შეეხვეწება, დარჩიო... აკაკი დასაძინებლად სასტუმრო ოთახში წავა, ივანე კი საყვარელ ცოლთან ერთად მაგიდას მიუჯდება და საღამოს თერთმეტ საათზე დასაძინებლად ისიც დაწვება.

დილის ოთხი საათი იქნება, რომ აკაკი ძილში რაღაც ხმაურს გაიგონებს და ცუდი სიზმარი გამოაღვიძებს. რომ წამოდგება, გულის ძგერა აუვარდება. მაჩაბელთან შესვლას დააპირებს, მაგრამ გულის ძგერა მალე გადაუვლის და თავის ოთახში დარჩება. ექვსის ნახევრამდე აღარ დაეძინება და რაიმე ხმაური, ფეხის ხმა ან ლაპარაკი რომ ყოფილიყო, არ გამოეპარებოდა.

ხელმეორედ ჩაძინებულს რვა საათზე გაეღვიძება, მისი ოთახის კარი, რომელიც მის ჩაძინებამდე დაკეტილი იყო, გაღებული დახვდება. აკაკი იფიქრებს, მაჩაბელი ამდგარაო, შედის დარბაზში, სადაც მაჩაბელი წევს, მაგრამ ივანე აღარსადაა, ქვეშაგები კი მიწგრეულ-მოწგრეულია. აკაკი იფიქრებს, ალბათ პირის დასაბანად არის გასულიო, რამდენიმე წამში მაჩაბლის მეუღლის ტასოს ხმას გაიგონებს: ჩაი მზად არის, ვანო, შემოდიო. მერე აკაკის ჰკითხავს: ვანო სად არისო? აკაკი უპასუხებს: მე აქ არ დამხვედრია, ალბათ მანდ არის და პირს იბანსო. ტასო გაბრუნდება, მერე შეშფოთებული ისევ შემობრუნდება, ქვეშაგებს დახედავს და კიდევ უფრო შეშფოთებული იტყვის: ვანოს ჩვეულებად აქვს, ადგება თუ არა, ქვეშაგები თვითონვე უნდა გაასწოროს და ახლა კი რა მიწგრეულ-მოწგრეულიაო. აკაკი ეტყვის: მერე რა მოხდა, საქმეზე წავიდოდა და ალბათ მალე დაბრუნდებაო, ტასო გულს მაინც ვერ დაიმშვიდებს და მაგიდაზე დატოვებულ საათს, ძეწკვსა და პერანგის ოქროს ღილებს რომ დაინახავს, შეიცხადებს.

„გოროდოვოის“ დაუძახებენ და ის იტყვის: ჯერ ოთხი საათი არ იქნებოდა, ბატონმა გვერდი აგვიარა, ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და მე შევეკითხე: თქვენო ბრწყინვალებავ, ასე ადრე სად მიბრძანდებით-მეთქი? მაგრამ მან მხოლოდ თავი დაგვიკრა, ხმა არ გაგვცა, გვერდით ჩაგვიარა და პირდაპირ გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტისკენ წავიდა.

ამის მერე ივანე მაჩაბელს ველარავინ ნახავს.

### აკაკი ცხრაასიან წლებში. „თქვენი ჯირიმე!“ ავადმყოფობა. საზღვარგარეთ პირველად გამგზავრება. „დიდება მაღალთა შინა“.

1900 წლიდან 1905 წლამდე აკაკი უფრო ხშირად თბილისშია. მხოლოდ ზაფხულობით მიდის სხვიტორში. თბილისში ბუკინისტ სოსიკო მერკვილაძესთან ჩერდება ქაშვეთის (ახლანდელ ჯორჯაძის) ქუჩაზე, ალექსანდრეს (ახლანდელ კომუნარების) ბაღის პირდაპირ, არჯევანიძის სახლში. სოსიკოს აკაკისათვის წინა მხარეს ოთახი აქვს გამოყოფილი და ამ ოთახს აკაკის ოთახს ეძახიან.

დილით აკაკი გვიან იღვიძებს და მაშინვე წერას იწყებს, წერა დილით უყვარს.

რას წერს და რით ცხოვრობს ამ დროს აკაკი?

1900 წლის „კრებულის“ იანვრის ნომერში პოემა „ნათელას“ აქვეყნებს. ახალ თაობას იგი 1905 წლის რევოლუციის დღეებში ასე მიესალმება:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარი!...
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!



მოხუცი აკაკი წერეთელი მშობლიურ სხვიტორში, თავისიანებს შორის

150

ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჯირიმე!..

მერე არიგებს: ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გამოსჭერით, ნუ აჩქარდებით, მე ბევრი ვეცადე, მაგრამ ძირმწარეს ძირი ვერ გავუთხარე, ახლა თქვენი ჯერია, თქვენ დაბარეთ, კუბოს კარამდე მისულს თქვენი იმედი მიმყვება, იმედს ნუ გამიმტყუნებთო...

აკაკი ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალსაც“ გადმოაქართულებს და საქართველოს განთავისუფლების მთელ იმედს რევოლუციას უკავშირებს.

ამავე დროს, აკაკი ახალ თაობას აფრთხილებს, ბებრებსაც ყური დაგვიგდეთო. ერთ წერილში ასეთი მაგალითი მოჰყავს: „არც ერთი გლეხი ორ მოზვერს ან ორ ბებერ ხარს ერთ უღელში არ გაუბამს. გასახედნს უთუოდ გახედნილს ამოუყენებს გვერდში. მოზვერი ჯანღონით სავსეა, გულს ერჩის, მაგრამ გამოუცდელია და არ შეიძლება თავში არ გაიწიოსო და იმასთან ერთად, უღლის ცალად რომ მეორე მოზვერი გამოუბა, ურემსაც დაამტვრევენ და თვითონაც სადმე გადაიჩეხებიანო. ბებერი ხარი კი გახედნილია და ამიტომაც არის მასზე ნათქვამი: „ბებერი ხარის რქაც კი ხნავსო“. საჭიროა, რომ სანამ მოზვერი გაიხედნებოდეს, ბებერ ხარს უდგეს გვერდში. ახალგაზრდა ხნიერს აჩქარებს, ხნიერ ახალგაზრდას თავს შეაკავებინებს, ორივე ერთად გასწევენ უღელს და მათი შრომა ფუჭად არ ჩაივლისო...“

რევოლუციამდე ერთი წლით ადრე, ორ ოქტომბერს, აკაკის დამბლა დაეცემა, სამი თვე იავადმყოფებს, დეკემბრის დამლევს გამომჯობინდება, მაგრამ როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ამ დამბლის შემდეგ აკაკის ცალი თვალის ქუთუთოს მოძრაობა დაუმძიმდება, ცალ ფეხსაც ოდნავ უქლასუნებს და ისე აღგამს. მისი ლამაზი სახე თითქოს ახალ გამომეტყველებას შეიძენს. ცალი წარბი ოდნავ აეწევა, თავიც მაღლა უკავია, განსაკუთრებით, როცა ქუჩაში მიდის.

მნახველს ეჩვენება, სადღაც შორს იმზირება, თითქოს სხვა, დღემდე უხილავი ქვეყანა უნდა დაინახოსო, აი, სწორედ ეს მზერა აქვს დიდი ოსტატობით გადმოცემული იაკობ ნიკოლაძეს აკაკის ბიუსტში, რომელიც ოპერის თეატრის ბაღში დგას.

ნაავადმყოფარი აკაკი სამკურნალოდ უცხოეთში მიდის და შვეიცარიასა და საფრანგეთს ინახულებს. ჟენევის ტბაზე გაემგზავრება და ევიენ-ლე-ბენში ცხოვრობს.

უცხოეთში მყოფ აკაკის უფრო გაუმძაფრდება სამშობლოს სიყვარული და მონატრება. სამშობლოში დაბრუნებულს ეს გრძნობა ლექსად აღმოსკდება. ეს ლექსია „დიდება მაღალთა შინა“.

# ბიბლიური ისტორია



იაკობ გოგებაშვილი 150

## დასჯა ცოდვისათვის

(დაბ. 3,8-24)

საღამო ჟამზედ სამოთხეში გამოცხადდა ღმერთი. მან, რასაკვირველია, კარგად იცოდა ადამ და ევას შეცოდება. უწინ, რომ შეიტყობდნენ ხოლმე უფლის მოსვლას სამოთხეში, ადამ და ევა სიხარულით ეგებებოდნენ მას. ახლა კი შიშისგან ძაგძაგი დაიწყეს და არ იცოდნენ, სად დაკარგულიყვნენ. დაივიწყეს, რომ ყოვლისმხილავ ღმერთს კაცი ვერსად დაემალება და შეიმალნენ ხეებს შუა. სახიერ ღმერთს უნდოდა, რომ ადამ და ევას მოენანიებინათ. ამიტომ დაუძახა: ადამ, ადამ, სადა ხარ? ადამმა უპასუხა: გავიგონე შენი ხმა, უფალო, შემეშინდა და დავიმალე, რადგანაც ტიტველი ვარ. საიდან გაიგებდი შენ სიტიტვლესა, რომ არ გეჭამა შენ ნაყოფი იმ ერთადერთი ხისა, რომელიც მე შენ აგიკრძალე? ადამს რომ მაშინვე წრფელი გულით ეღიარებინა თავისი ცოდვა, შეენანებინა იგი და შევედრებოდა ღმერთსა მის მიტევებას, ადვილად გადარჩებოდა. მაგრამ მან სინანულის მაგივრად თავის მართლება დაიწყო და თითქმის ტკით ღმერთს აბრალებდა თავის ცოდვასა: შენგან მოცემულმა ცოლმა მომცა მოწყვეტილი ხილი და მე იგი მიტომ ვჭამე. მაშინ ღმერთი მიუბრუნდა ევასა და ჰკითხა: რად ჰქმენი შენ ესა? ევამაც მონანიების მაგივრად თავის მართლება დაიწყო: შენგან შექმნილმა გველმა შემაცდინა და მაჭამა აკრძალული ხილი. მაშინ უფალმა უთხრა გველსა: რადგანაც შენ ეს ჰქმენი, იყავ წყეული ნადირთა შორის, მუცელზედ ხოხავდე და სჭამდე მიწასა მთელ შენს სიცოცხლეში და ჩამოვაგდებ მტრობასა დედაკაცსა და შენ შუა, შენსა და იმის თესლს შუა; შთამომავალი მისი გაგიჩეჩქავს შენ თავსა, ხოლო შენ უკბენ მას ქუსლში!

ევას კი უბრძანა უფალმა: ვარამსა და დარდში ატარებდე შენს სიცოცხლესა, შვილთა შენთა შობდე წვალებითა და ტანჯვითა; იყო ქმრის მორჩილებაში და იგი უფლობდეს შენზედა. ხოლო ადამს უთხრა: რადგან შენ გაუგონე ცოლსა შენსა და სჭამე ნაყოფი, რომელიც მე აგიკრძალე, იყოს წყეული დედამიწა შენის გულისათვის, ნარი და ეკალი მოჰყავდეს შენთვის მას, ოფლითა შენითა სჭამდე პურსა, მანამ არ ჩახვალ მიწაში, საიდანაც ხარ ამოღებული, ვინაიდან შენ მიწა ხარ და მიწად იქცევი.

ამის შემდეგ მისცა მათ ტყავის ტანისამოსი და გამორეკა სამოთხიდან, რომლის მცველად დააყენა ქერობინი. იგი ელვარე ხმლით იდგა სამოთხის კარებში, რათა ადამ და ევა არ მისულიყვნენ სიცოცხლის ხესთანა, არ ეჭამათ მისი ნაყოფი და არ გამხდარიყვნენ უკვდავნი.

## კაენი და აბელი

(დაბ. 4,1-8)

ადამ და ევა დასახლდნენ სამოთხის ახლოს. მათთვის დაიწყო ის მწარე, ტანჯვით და წვალებით სავსე ცხოვრება, რომელიც მათ ღმერთმა სასჯელად დაუნიშნა. დარდი, ვარამი, ავადმყოფობა, ოფლით შრომა, სიღარიბე, სულ ერთად დაატყდათ თავზედ. მალიმალ იგონებდნენ ისინი თავის უწინდელ ბედნიერ ცხოვრებასა, მწარედ ნანობდნენ თავის შეცდომას და მდუღარე ცრემლსა ღვრიდნენ. ამ უბედურებაში იმათ ჰქონდათ ერთადერთი იმედი: ისინი იგონებდნენ ღვთის აღთქმასა, რომ დედაკაცის შთამომავალი დათრგუნავს ეშმაკსა და გამოიხსნის მათ ცოდვისაგან. ისინი მოელოდნენ გამომხსნელსა, მაცხოვარსა.



ამ დროს ევას ეყოლა ორი ვაჟიშვილი: კაენი და აბელი. კაენი იყო მხვნელ-მთესველი, აბელი — მეცხვარე. ერთხელ მოინდომეს მათ მსხვერპლის შეწირვა. კაენმა შესწირა ღმერთს მიწის ნაყოფი, აბელმა პირველ-შობილი კრავი. უფალმა მიიღო მხოლოდ აბელის შესაწირავი, კაენისა კი უარჰყო იმიტომ, რომ აბელმა წმინდა გულით, სარწმუნოებით და მოწიწებით მიართვა შესაწირავი, კაენის გული კი იყო უწმინდური და ღვარძლით სავსე. ამის გამო კაენი შურით აივსო, მოუვიდა ბრაზი, სახეზედ შეიშალა ბოროტებისაგან. გულთამხილავმა ღმერთმა იცოდა, რა ცუდი განზრახვა იბადებოდა კაენის გულში, უნდოდა გაეფრთხილებინა იგი, ამიტომ გამოეცხადა მას და უთხრა: რადა ხარ, კაენ, გაჯავრებული? და რად შეგშლია და ალგშფოთებია სახე? გაფრთხილდი, თორემ ცოდვა კარებზე მოგადგა, ნუ დაგეუფლება და ეცადე, დასჯაბნო იგი! მაგრამ, საუბედუროდ, კაენს ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი გულში შური, სიძულვილი თავისი ძმისა. მან არა შეისმინა რა ღვთისა, გაიყვანა მოტყუებით მინდორში თავისი ძმა. მივარდა უცებ, დაარტყა თავში კეტი და მოჰკლა.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

# ჯაგარა

მხატვარი ჯემალ ლოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მაშინ, ოცდაჩვიდმეტში გაუგებრად რომ იჭერდნენ ხალხს და სადღაც გადასაკარგავში მიჰყავდათ, თერთმეტი წლისა ვიყავი. ეგ ჯაგარა — ნათლობის სახელი ილო ერქვა, კარგად მახსოვს — თვალწინ ეხლაც ისე ცოცხლად მიდგა, როგორც შენ გიყურებ, სახლი სოფლის ზემოთ, წმიდა გიორგის ეკლესიასთან ჰქონდა. ჩვენც იქვე, მეზობლად ვცხოვრობდით, ქვევით ომის მერე ჩამოვსახლდით.

ჯაგარა კაი შეხედულების, მაღალი, ხშირთმიანი და აქეთ-იქით აპრეხილ შავულვაშიანი ჯეილი ბიჭი იყო, ყოჩაღი და ჯანიანი. ზამთარ-ზაფხულ უქუდოდ დადიოდა. ხარივით ღონე ჰქონდა. წისქვილში წასაღებ სულადს ურემზე რომ უდებდა, გეგონებოდა, ხორბლით სავსე ტომარა კი არა, მუთაქა უჭირავსო, ისე მსუბუქად ატრიალებდა ხელში. ჭიაურში შეშის საჭრელად დამხმარის გარეშე დადიოდა, სახლში იმოდენა მორს მოათრევდა, ხარები წელში სწყდებოდნენ.

ერთხელ მამაჩემმა მითხრა, გადაირბინე ჯაგარასთან, ზედმეტი ურმის ტაბიკი ექნება, გამოართვი და მომიტანეო.

წავედი.

ეზოში დიდი, ავი ქოფაკი ჰყავდა. იმ ძაღლის შიშით ღობიდან გავძახე:

— ჯაგარ ძია, ჯაგარ ძია!

— ჰაი, ჰაიო, — გამომეხმიანა და საბძლიდან გამოვიდა გაცინებული. — შე მამაძაღლო, შენთვისაც ჯაგარა ვარ? კარგი სახელი რატო არ დამიძახე?!

შემრცხვა, ჭარხალივით გავხდი. მე რა ვიცოდი, ჯაგარა ზედმეტი სახელი თუ იქნებოდა, მამაჩემმაც ეგრე რო დამაბარა?!

სახლიდან ჯაგარას ცოლმაც გამოიხედა. უხ, რა ლამაზი ქალი იყო, კაცოო, რომ იტყვიან, ფერი-ფერსა, მადლი — ღმერთსაო — სწორედ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი, ისიც მაღალი, შოლტივით მოქნილი და წარბებგადაკალმული. ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა, ეხლა კოლმეურნეობაში აგრონომად რომ მუშაობს, აბრამა, ისა. გამოიხედა სახლიდან ჯაგარას ცოლმა და იმასაც ეცინება. გაუგონია, რაც დავიძახე. დავიბენი ბრინჯივით, ჩამივარდა ენა მუცელში, ვეღარაფერი მითქვამს.

— რაო, რა გინდა, აღარ იტყვი? — სიცილით მკითხა ჯაგარამ და ღობესთან მოდგა.

როგორც იყო, გავტეხე ნავსი.

— მამამ დამაბარა, ზედმეტი ტაბიკი ექნება, გამოგატანოსო! — ვთქვი დამორცხვებით, თან ძირს ვიყურები, სახეში ვერ შემიხედავს იმ კაცისთვის.

— ვინ გამოგატანოსო, ჯაგარამო? — თქვა და ახარხარდა. იმ ყოფაში რომ მნახა, აღარ ჩამციებია, სიცილითვე გატრიალდა უკან. საბძელს მოეფარა ცოტა ხანს და მთლად ახალი, შვინდის ტოტისაგან გამოთლილი, ცეცხლის ალზე დაჭრელებული ტაბიკით დაბრუნდა. მოდგა ღობეზე და ვატყობ, ტაბიკის გადმოწოდებას აყოვნებს, ულვაშებში ეცინება და ამბობს: — თუ კაცი ხარ, გიორგას ბიჭო, ერთხელ კიდევ დაიძახე ჩემი სახელი!

მე გატვრენილი ვდგავარ. რას დავიძახებ... მარტო იმაზე ვფიქრობ, როგორმე ტაბიკი ხელში ვიგდო და ჩქარა მოვცილდე იქაურობას.

— კარგი, ილო, განა ვერ ხედავ, ბიჭი დარცხვენილი როა? გაუშვი, ნუ გააწვალებ! — გამოსძახა მეუღლემ.

აღარც ჯაგარა ჩამციებია. ტაბიკი ღობეზე გადმომაწოდა. მე ხელი ვტაცე და ჩემი სირცხვილიანი, წითლად ატყარტყარებული სახე რომ დამემალა, პირი სახლისკენ ვიბრუნე, გავიქეცი, შინ მისულმა მამას ვუსაყვედურე, რატო არ გამაფრთხილე, ჯაგარა ზედმეტი სახელი თუ იყო, შევრცხვი, თავს ლაფი დავისხი იმ კაცთან-მეთქი.

მამაჩემმა გაიცინა, დამამშვიდა.

— არა უშავს, ჯაგარა კეთილი ბიჭია, არ ეწყინებოდა.

რაც ეხლა მოგიყევი, ეს კი არ არის მთავარი, მე სხვა ამბავი უნდა გითხრა.

მაშინ პატეფონი იშვიათი რამე იყო სოფელში. პირველად კოლმეურნეობის ბუღალტრის სახლიდან გავიგონე იმისი ხმა, როგორც კი დაუკრავდნენ, დავიხვეტებოდით და იქით გავრბოდით. დავდგებოდით შორიახლო და სულგანაბული ვუსმენდით პატეფონის მღერას.

პატეფონი მალე ჯაგარას სახლშიაც გაჩნდა. როგორც მოწინავე მეურნე და დაუზარელი მშრომელი, კოლმეურნეთა რაიონულ შეკრებაზე დააჯილდოვეს. მაშინ კი ახლოდან ვნახე, რაც იყო პატეფონი. ჯაგარა დაგვინახავდა თუ არა იმის ეზოსთან მოქუჩებულ ყმაწვილებს, დაგვიძახებდა. პატეფონს გარეთ, საჩეხში გამოიტანდა, ტახტზე დადგამდა, ჩამოგვსხამდა ჩვენც სკამებზე და გატაცებით ვუყურებდით პატარა პირახდილ ლურჯ ყუთს, შიგ წისქვილის ბორბალივით მბრუნავ შავ „პლასტინკას“ და იქიდან ამოსულ ხმებს პირუხუმრად, სიამოვნებით ვისმენდით.

თუმცა ეს სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა.

ერთ საღამოს, ჯაგარაანთა რომ ვართ ყმაწვილები თავმოყრილი, ორი უცხო კაცი მოვიდა შავი მანქანით. ორივეს მუხლებამდლა, აქეთ-იქით გიტარის გვერდებივით გაწეული, განიერტოტებიანი შარვლები და შავად გადაპრიალებული ჩექმები ეცვათ. თავზე კი წითელვარსკვლავიანი ტყავის ქუდები ეხურათ.

მაშინ მანქანაც იშვიათი „ხილი“ იყო სოფლად მცხოვრები ბავშვებისათვის და ზოგი ჯაგარას ეზოს ჭიშკართან გაჩერებული მანქანისკენ გა-



იქცა, რომ ახლოდან ენახა. ზოგმა საჩეხიდან დავუწყეთ ცქერა.

მოულოდნელ სტუმრებს ჯაგარა ჭიშკართან გაეგება და მალე იმათთან ერთად საჩეხში დაბრუნდა.

სტუმრებს მკაცრი, მოღუშული სახეები ჰქონდათ. არც მოგვსალმებიან, ისე დადგნენ პატეფონთან. ახედდახედეს, „პლასტინკები“ გადააბრუნ-გადმოაბრუნეს. იქიდან ერთი ამოარჩიეს. თვითონვე დაქოქეს პატეფონი და „პლასტინკა“ დაუდეს. გაისმა ჩვენთვის ნაცნობი ჩონგურზე დაძახილი:

„ცაზე მთვარე ამოსულა.
ნიშანია დარისა,
კოლექტივი გაძლიერდა,
ვენაცვალე სტალინსა“.

სანამ სიმღერა ბოლომდე ჩამოთავდებოდა, ის ორი ტყავისქუდიანი მდუმარედ ისმენდა, დუმდნენ ჯაგარა და მკერდზე ბავშვმიხუტებული, დაბნეული და შემკრთალი მისი მეუღლე.

— შენ ამ სიმღერას როგორ მღერი? — ჰკითხა ერთმა ბოხხმიანმა სტუმართაგანმა ჯაგარას და პატეფონი გააჩერა. „პლასტინკა“ აიღო და ქაღალდის ბუდეში ჩადო.

— არც როგო! — თქვა ჯაგარამ და სტუმრებს შეხედა, ღიმება სცადა.

— არც როგო, არა? — იკითხა ისევ იმან.

— იქ გავარკვევთ! — თქვა მეორემ და თან გამოგვყევიო, უთხრა ჯაგარას.

სახლშიც არ შეუშვიათ, რომ საგარეო ტანსაცმელი მაინც ჩაეცვა. აქეთ-იქით ამოუდგნენ და მანქანისკენ გაუძღვნენ, თან ის „პლასტინკა“ გაიყოლეს.

— ვაიმე, სად მიგყავთ, ხალხო, ეგ კაცი, ილო, რა ამბავია ჩვენს თავსა?! — ავიშვიშდა მიტკალივით გათეთრებული ჯაგარას ცოლი.

— გასარკვევიაო, ანო, გაარკვევენ და მოვალ, კაცო, რა იყო! — სცადა მეუღლის დამშვიდება ჯაგარამ. მერე ეზოში გამოქუჩებულ ყმაწვილებს მოგვიბრუნდა და ხუმრობის კილოზე გვითხრა: — ე, ბალღებო, პატეფონი არ მომიშალოთ, თორენა, ყურებში თავს ამოგაყოფინებთკე!

სამივენი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ის იყო და ის, ჯაგარა არც იმ ღამეს გამოჩნდა, არც მეორე დღეს. წავიდა საწყალი, სად წაიყვანეს, ღმერთმა იცის. საცოდავმა მისმა მეუღლემ სადღა არ წერა განცხადებები, სადღა არ იყო, ჯაგარას ასავალ-დასავალისა მაინც ვერაფერი გაიგო.

იმ დღის მერე დადუმდა ის ლურჯი პატეფონიც. აღარავის მოგვისმენია მისი სიმღერები. აღარც ყმაწვილებს გვაინტერესებდა.

მას შემდეგ, აბა, გამოთვალე, რამდენი წელი გავიდა და ოცდაჩვიდმეტში დაჭერილი „მავნებლების“ საქმეების ხელახალი ძიება და გამართლება რომ დაიწყეს, ჯაგარას საქმეც ამოქექეს. გაირკვა იმ საცოდავის ამბავიც. ვიღაც შურიანსა და ბოროტს დაუღუპავს. არქივში ხელმოუწერელი ქაღალდი აღმოუჩენიათ, სადაც წერებულა, რომა „ჯაგარა არასაიმედო ელემენტია, ჩემი ყურით გავიგონე, პატეფონის ხმას თავის ხმას აყოლებდა და ესე დამღეროდაო:



„ცაზე მთვარე ამოსულა,
ნიშანი დარისა,
კოლექტივი დანგრეულა,
იმან გამახალისა“.

ამას წინეებში ჯაგარას ბიჯა აბრამას შვილიშვილი შევხვდი. ძეობა გადაიხადა. დაპატიჟებული ვიყავი. კაი პურ-მარილი ჰქონდათ. იმ ლურჯ პატეფონს შევასწარი თვალი. კაკლის ხის ძველისძველ მრგვალ მაგიდაზე ვსხდებით. მაგიდის მაღლა კედელზე ჯაგარას და — ღმერთმა აცხონოს, პატიოსნად დაბერდა და პირნათლად წავიდა ამ ქვეყნიდან — იმისი მეუღლის გადიდებული სურათები ჰკიდია. იმათ შემხედავს ის ტიელი ოცდაჩვიდმეტი გამახსენდა, ყმაწვილი ვიყავი და მაშინდელი ნანახი თვალწინ ცოცხლად მიდგა, რომ მომაგონდება, გუნება მიფუჭდება, ღმერთმანი.

# ჩიტის გული

ბოსტნეულის მაღაზიაში თავმოყრილ ხალხს ახალგაზრდა ქალი და თერთმეტ-თორმეტი წლის, სიცივისაგან სახეგაცრეცილი, შავთვალწარბა გოგონა მიემატა. ქალი მუქწაბლისფერ ბეწვის ქურქში იყო გახვეული, გოგონას მწიფე შვინდისფერი ბუკლეს პალტო ეცვა და თავზე ბაწრით ნაქსოვი, იასავით მუქ-ლურჯი სპორტული ქუდი ეხურა. შუბლი, ყურები და თმა მთლად შიგ დაემალა, ორივეს თავსა და მხრებზე თოვლის ფიფქები ეყარათ.

მაღაზიაში კარტოფილი მოეტანათ. რიგი იყო გამართული.

— ბოლო ვინ არის? — იკითხა ქალმა.

— მე გახლავართ, ბატონო! — მიუგო მისკენ შემობრუნებულმა ხნიერმა, სათვალიანმა კაცმა.

ქალი და გოგონა იმ კაცის უკან დადგნენ, გოგონამ პალტოს ჯიბეებში ხელები ღრმად ჩაიწყო და მაღაზიის თითქმის ჭერამდე ამართულ ფანჯრის დაორთქლილ მინებს გახედა. გარეთ ნისლი ჩამდგარიყო და ოდნავ, ლანდებივით მოჩანდნენ ტროტუარზე მიმავალი ადამიანები, ქუჩის შუაგულში მოძრავი ავტომანქანები და უფრო შორს — ნისლში თავშერგული მაღალი შენობები.

შესვენების დრო ახლოვდებოდა. თეთრხალათიანი გამყიდველი კაცი მარდად მუშაობდა, რომ ხალხი მალე გაესტუმრებინა. დახლზე რუმბივით წამოწვენილი ჭუჭყიანი ტომრიდან ალუმინის ქვაბში კარტოფილს სწრაფად ჰყრიდა, ასევე სწრაფად სწონიდა და მყიდველს ჩანთაში ან პირლია ბადურაში უპირქვავებდა. ნავაჭრის ღირებულებას ზეპირად ანგარიშობდა.

კარტოფილი მიწიანი იყო, შავი, და გამყიდველს ხელები მურიანს მიუგავდა. მიწით მოსვრილი თითებით იღებდა ფულს, ჰყრიდა დახლის ნახევრად გამოწეულ უჯრაში და ხურდის მისაცემად შიგვე იქექებოდა, წვრილ ფულს დაეძებდა, აწვდიდა მყიდველს და შემდეგიო, იძახდა.

რიგი წესიერად მიდიოდა. არ ისმოდა ხმამაღალი, უკმაყოფილო ლაპარაკი, ბუზღუნი, როცა ვინმე უბოდიშოდ წინ წაეყუდება და რიგგარეშე ცდილობს ივაჭროს. მყიდველებს არც მაშინ ამოუღიათ ხმა, როცა მაღაზიაში საშუალო სიმაღლის, სიმსუქნისაგან ფქვილის ტომარასავით დამრგვალებული მამაკაცი შემოვიდა. დადგა რიგის თავში დახლთან და განაცხადა, სამამულო ომის მონაწილე ვარო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ურიგოდ ეკუთვნოდა კარტოფილის ყიდვა.

„ტომარა“ აშკარად ტყუოდა, ომის მონაწილეს არაფერი მიუგავდა.

— ომის დროს მგონი მიწას ხეირიანად არ იყო აცილებული, მაშინვე გაეშმაკებული და გამაძაღლებული ლაწირაკი ბიჭი იქნებოდა! — წასჩურჩულა თავის წინ მდგომ ჯოხდაბჯენილ მოხუც დედაკაცს სათვალიანმა კაცმა და ჩუმად ჩაიცინა.

სხვებიც მიხვდნენ, რა ხვითოც იყო „ტომარა“ — უსინდისო და მეტი არაფერი. ის კი სრულებითაც ვერ ამჩნევდა რიგში მდგომთა გამკილავ გამოხედვას, ან, იქნებ, გრძნობდა კიდეც, მაგრამ მისთვის სულ ერთი იყო, ვინ რას ფიქრობდა მის ბრიყვულ საქციელზე.

ჯოხიანმა დედაკაცმა თავისთვის თუ სხვების გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ურიგოდ ეკუთვნის, აბა რა, მაგას უნდა ვუმადლოდეთ ქვეყნის გადარჩენას.

„ტომარამ“ კარტოფილი აიწონა, დიდი ტყავის ჩანთა გაავსო და ცალ მხარეს გადაღრეცილი (ეტყობოდა, მძიმე ტვირთის ზიდვას არ იყო მიჩვეული), მაღაზიიდან ხვნეშით გავიდა. კარი წესიერად არ გაუხურავს, ნახევრად ღია დარჩა.

ღია კარში ზამთრის სუსხიანი ქარი შემოიჭრა და თოვლის ფიფქი შემოიტანა. ქარსა და თოვლს ჩიტი შემოჰყვა — ბეღურა ჩიტი.

მისი შემოფრენა მარტო გოგონამ შენიშნა.

— კარი მაინც დაეხურა! — თქვა ნაწყენი კილოთი ვიღაცამ. გოგონამ კართან მიირბინა. თან თვალი დახლს შიგნით ჭერამდე გამართული თაროებისკენ რჩებოდა. იქ, მაღლა, ბოლო თაროზე ბეღურა შემომჯდარიყო და უცხო გარემოში, ადამიანებთან სიახლოვეს მოხვედრილი, მოუსვენრად აქეთ-იქით იყურებოდა.

გოგონამ იცოდა, ჩიტი მაღაზიაში გამოემწყვდეოდა და კარის დახურვას აყოვნებდა, თვალს არ აცილებდა თაროზე წამოსკუპებულ ფრთოსანს.

— დახურე, რაღას უცდი? — მიაძახა ახალგაზრდა ქალმა.

— დახურე, შვილო, თორემ მაღაზიაში ისედაც ცივა, ვიყინებით! — თქვა სათვალიანმა კაცმა.

— იქ ჩიტია! გოგონამ თითი თაროსკენ გაიშვირა და კარი დახურა.

გამყიდველმა გოგონას თითს თვალი გააყოლა და იკითხა:

— ეხლა შემოფრინდა?

— დიახ, ის „ფრონტელი“ თვითმარქვია გარეთ რომ გაბრძანდა, ალბათ მაშინ! — გაიცინა სათვალიანმა.

— ეშიება საცოდავს!

— სიცივემ შემოაგდო მაღაზიაში, გარეთ ყინვა ძალლიერით იკბინება.

— აქ რაღას შეჭამს, თაროები გამოცარიელებულია!

— იპოვნის რამე საკენკს, მშიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ მოკვდება! — მოისმოდა ადამიანთა რიგიდან.

გამყიდველმა რამდენიმე წონა კარტოფილი რიგის თავში მდგომ ქალს ბადურაში ჩაუყარა და ხალხს მიმართა:

— ერთი წუთი მადროვეთ, ჩიტს გარეთ გავუშვებ, თორემ ამას წინათაც საიდანღაც შემოფრენილიყო მაღაზიაში. დასვენების დღის შემდეგ ვნახე, მთლად დაესვარა თაროები, მწვანილი აღარ ინახებოდა!

გამყიდველმა დახლის ქვემოდან ყვითელი, ბოლოშემოცვეთილი ცოცხი გამოაძვრინა და ჯერ ისევ კართან მდგომ გოგონას გასძახა:

— ოქრო გოგო, გამოაღე კარი!

გოგონამ კარი გამოაღო და რიგში ისევ თავის ადგილას მიირბინა, დადგა იქ, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და ცნობისმოყვარე თვალებით გამყიდველს ყურება დაუწყო, რას იზამდა.

იმან ჩიტს დაბლიდან ცოცხი აუქნია.

ჩიტი თაროდან აფრინდა და მოპირდაპირე მხარეს ფანჯრის მინას მიაწყდა.

— მაით არა, იქით, იქით, კარისკენ! — მისძახოდა გამყიდველი და ჩიტს ცოცხს უქნევდა.

აქ ხალხმაც გამოიდო თავი. რიგს რამდენიმე ქალი და კაცი გამოეყო, მოჰყვნენ ხელების ქნევას და „აქშა, აქშას" ძახილს.

შეშინებული ჩიტი სწრაფად დაფრინავდა. ეხეთქებოდა მინებს, თაროებს, ჭერზე დაკიდული ვენტილატორის ფრთაზე სცადა დაჯდომა, არ აცალეს, ისევ აქეთ-იქით მოჰყვა ფრენას, ვერა და ვერ მიაგნო ღია კარს, რომ იმ ორომტრიალისათვის თავი დაეღწია.

— მიდით, მიდით, დაიღლება, დავიჭერთ და ისე გავუშვათ გარეთ! — ყვიროდა გამყიდველი.

და ისევ ხელების ქნევა და „აქშა, აქშა".

ჩიტი მართლა დაიღალა, აღარ შეეძლო მარდად ფრენა. ძალა თანდათან ეცლებოდა, მხოლოდ ერთ წამს ჯდებოდა მაღაზიის თაროზე, რომ სული მოეთქვა და ისევ დამფრთხალი, ფრთების უღონო, ნიათგამოცლილი ფარფატით დაფრინავდა, განწირული ხმით ჰყიოდა.

მერე სწორედ ისე მოხდა, როგორც გამყიდველმა თქვა: ჩიტი ერთხელ კიდევ მიეხეთქა ფანჯრის მინას და ძირს ჩამოვარდა. ფრენა აღარ შეეძლო. სკუპ-სკუპით ფილაქანზე

სხვა ვინმე დაიჭერდა, გოგონამ იყოჩაღა, ჩიტს მარჯვენა ხელი დასტაცა, თითებშუა მოიქცია და მკერდზე მიიკრა, ნუ გეშინიათ, ჩასჩურჩულა.

ბეღურა საშინლად იყო დამფრთხალი. ნისკარტი ფართოდ დაეღო და გამალებით სუნთქავდა. გოგონა თითებით მისი პაწაწინა გულის აჩქარებულ ცემასაც გრძნობდა.

რაკი ჩიტი დაჭერილი იყო და მისი გარეთ მალე თუ გვიან გაბრძანებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გამყიდველმა მაღაზიის კარი დახურა და კმაყოფილი სახით სასწორთან დადგა, ცოცხი ძირს დააგდო და ფეხით დახლქვეშ შეაცურა. ხალხიც მილაგ-მოლაგდა, აშლილი რიგი მოწესრიგდა.

გოგონა კარისკენ წავიდა. ბეღურა გარეთ უნდა გაეშვა, მაგრამ, თითქოს ვიღაცამ უკან დასწიაო, შეჩერდა, ჩიტს დახედა და შეკრთა. იმას კისერი დაგრძელებოდა, თავი გოგონას საჩვენებელ თითზე ჩამოვარდნოდა, ნისკარტი მოემუწა და თვალები დაეხუჭა. გოგონა ველარ გრძნობდა ჩიტის გულის ცემას.

გოგონამ იმ ახალგაზრდა ქალთან მიირბინა, ვისთან ერთადაც მაღაზიაში მოვიდა.

— დედა, შეხედე ჩიტს!

— რა იყო, ნინიკო?

— მოკვდა!

— უი, რას ამბობ!

— დამახედე, შვილო! — თქვა სათვალიანმა კაცმა და სათვალე შეისწორა, ჩიტს დააკვირდა.

— თავს იმკვდარუნებს, — გაიცინა გამყიდველმა.

— ალბათ მართლა თავი მოიმკვდარუნა! — გაუღიმა გოგონას დედამ.

— არა, დედა, წეღან ხელში რომ ავიყვანე, ამის გულის ცემას ვგრძნობდი, აი ასე: ბაგ, ბაგ, ბაგ!

— ეშმაკობს, დასვი ძირს, თუ არ აფრინდეს! არა, ძირს ნუ დასვამ, მაგის ხელახლა დევნის დრო არ არის, საცაა, შესვენების საათი დაიწყება. კარი გამოაღე და გარეთ გაუშვი! — ამბობდა გამყიდველი და კარტოფილით სავსე ტომარას დანით პირს ურღვევდა.

გოგონას არ სჯეროდა გამყიდველისა, მაგრამ ჩიტი მაინც ძირს, ფილაქანზე დასვა. ის ისევე უძრავად დარჩა. ოდნავ ცალ მხარეს გადაიწია, თავი გვერდზე მოექცა და გაშეშდა.

— მკვდარია! — ხელი ჩაიქნია სათვალიანმა კაცმა.

— მართალია, — თქვა გამყიდველმა. დახლი მიატოვა და ჩიტთან მივიდა. აიღო, დახედა, ფრთები გაუფარჩხა, გადაატრიალ-გადმოატრიალა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა ჩიტს. მკვდარიაო, დაასკვნა და კარი გააღო, გარეთ თოვლში მოისროლა.

— საბრალო, რა დაემართა ასე უცებ?

— ავად იქნებოდა!

— შიმშილი და სიცივე გამოაცლიდა ძალას! — ნაირ-ნაირ აზრს გამოთქვამდნენ იმ ამბის მხილველნი.

— არა, ხალხო, არა! ჰაიჰუით რომ დავდევდით ამოდენა ხალხი ერთი ბეწო არსებას, შიშით გული გაუსკდებოდა. ვითომ საქმე გავაკეთეთ, რა! — ჯავრობდა ხელჯოხიანი მოხუცი ქალი.

— მართალია, გული სათუთია, მით უმეტეს ჩიტის გული! — ოხვრით წარმოთქვა სათვალიანმა კაცმა, პალტოს ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სათვალის მინებს წმენდა დაუწყო.

გოგონა უსმენდა მათ ლაპარაკს და დაღვრემილი, წიწილასავით აბუზული იდგა დედის გვერდით. თავი დაეხარა და თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა.

მაღაზიაში მდუმარებამ დაისადგურა, თითქოს ყველა ერთად დამუნჯდა, ხმას აღარავინ იღებდა. მარტო ალუმინის ქვაბში ჩაყრილი კარტოფილის ხრიგინი და სასწორის პინაზე შემოდგმული გირების რაკუნი არღვევდა გამეფებულ სიჩუმეს.

გარეთ კი თეთრი ზეწარივით დაფენილ ფაფუკ თოვლს შიგ ჩაფლული ფრთებგაფარჩხული ჩიტი შავ ლაქასავით დატყობოდა.

# ინფორმაცია განსჯისათვის

## ბავშვთა ფრონტი

### თამაში და საქმე

ალმა-ათაში, საბჭოთა ბავშვთა ფონდის საქალაქო განყოფილებაში, მივიდა ქალაქის სხვადასხვა საშუალო სკოლების მერვეკლასელთა ჯგუფი. ბავშვებმა სერიოზულად განაცხადეს, რომ ჩამოაყალიბეს ალმა-ათის ბავშვთა ფრონტი, როგორც პიონერიის ალტერნატივა, რომ მათ აქვთ თავიანთი პროგრამა და ჰყავთ ბევრი მომხრე. ამტკიცებდნენ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკური გაზეთი „დრუჟნიე რებიატა" მხარს უჭერს მათ და უკვე დაბეჭდა წერილები საერთო სათაურით: „SOS", რაც ნიშნავს: ყველაზე მწვავე სიგნალები. ამ პუბლიკაციების შედეგად შესაძლებელი გახდა დანაშაულის ოავიდან აცილებაო, — დაუმატეს ბოლოს.

როგორც გაირკვა, ამონაჭერი გაზეთიდან, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლ. ტოკბანოვისა და ტ. ორლოვას წერილი — „შევინახოთ ქამრები და სახტუნელა თოკები" — ბავშვებს ჩაუგდიათ იმ ვაი-დედას საფოსტო ყუთში, რომელიც თავის შვილებს უმოწყალოდ სცემდა. ქალს ეს წერილი წაუკითხავს და იმ დღიდან „აღზრდის ამ მეთოდზე" ხელი აუღია.

შემდეგ ბავშვებს „ლიტერატურულ გაზეთში" უნახავთ წერილი, რომელშიაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ სვდებიან ავსტრალიის სკოლებში ახალმოსულს. „რის კეთება გიყვარს ყველაზე მეტად?" — ეკითხება მასწავლებელი ერთს; „შენ შესანიშნავად შეასრულე დავალება", — აქებს მეორეს; „შენ შეგეძლო უკეთ გაგეკეთებინა, ოღონდ არ ცდილხარ", — ეუბნება მესამეს. ამიტომ ხომ არ არის, რომ ყველა ბავშვს აგრერიგად უნდა სკოლაში სიარული, უყვარს მის ირგვლივ მყოფნი, აქვს სურვილი, ხვალ ყველაფერი გააკეთოს უკეთ, ვიდრე დღეს?

გაზეთიდან ამონაჭერი ფრონტის აქტივისტებმა სასკოლო კედლის გაზეთში მოათავსეს და გაზეთი იმ ეზოში გამოკიდეს, სადაც მათი მასწავლებლები ცხოვრობენ.

ბავშვებმა უამბეს, როგორ ამზადებენ ღია წერილებს მშობლებისა და მასწავლებლებისადმი. სულ ახლახან კი ფრონტს თავისი „ნდობის ტელეფონი" გაუჩნდა, იგი ფრონტელებს გაერთიანებს რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც ლიტერა-



საქართველოს
... წიგნი
ბიბლიოთეკა

ტურულ კლუბ „იამბში" მოაწყვეს თავიანთი შტაბბინა ფრონტის აქტივისტებმა.

უფროსებმა ნახეს, როგორ გულთბილ წერილებს უგზავნიან ისინი პასუხად თავიანთ გულგატეხილ თანატოლებს და გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ მათ. განა სულერთი არ არის, რა სახელი ერქმევა მათ გაერთიანებას? კლუბი ახლა აწყობს შეხვედრებს ექიმებთან, ფსიქოლოგებთან, სოციოლოგებთან.

ფრონტის შტაბ-ბინაში სულ უფრო მეტი და მეტი წერილი მოდის. წერილები მარტო ალმა-ათიდან და ყაზახეთის სხვა რეგიონებიდან როდი მოდის, წერილებს ღებულობენ რუსეთიდან, ყარა-ყალფაქეთიდან, ბალტიისპირა რესპუბლიკებიდან.

სულ უფრო საიმედოდ მუშაობს „ნდობის ტელეფონი", ამ ტელეფონზე პასუხობენ თანატოლებსა და მათ მშობლებს ბავშვთა ახალი ორგანიზაციის აქტივისტები.

საბავშვო ფრონტი ამყარებს ურთიერთობას სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მაგალითად ყაზახეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და გულმოწყალების ფონდის ალმა-ათის განყოფილებასთან. იგი მზადაა. ითანამშრომლოს. მხოლოდ და მხოლოდ ითანამშრომლოს სხვებთან და არა გამუდმებით შეასრულოს მათი მითითებები. მოთხოვნები და დავალებანი.

თავისი დამოუკიდებლობით ბავშვთა ფრონტი თანდათან იხვეჭს ავტორიტეტს და თანატოლთა მხარდაჭერას და არა მარტო თანატოლებისა: ბავშვების საქმიანობაზე პატივისცემით ლაპარაკობენ ფსიქოლოგები, მშობლები, წესრიგის დამცველი ორგანოების მუშაკები.

მაგრამ ზოგიერთს მაინც უჩნდება კითხვა: ხომ არ შეიქმნა ბავშვთა ფრონტი ისევე, როგორც თავის დროზე — პიონერული ორგანიზაცია, უფროსების ინიციატივით?

— ერთ საღამოს ტელევიზიით უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამართულ კამათს რომ ვუსმენდი, უცებ თავში მომივიდა აზრი ბავშვთა არაპიონერული ორგანიზაციის შექმნისა, — მყვება ბავშვთა ფრონტის თავმჯდომარე, ალმა-ათის 120-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი ალექსანდრე ხუდიაკოვი, — მთელი ღამე ვერ დავიძინე, სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ იმოქმედებდა ჩვენი ორგანიზაცია. პირველ რიგში მან უნდა დაიცვას ბავშვთა ინტერესები და უფლებები, მაგრამ ბავშვების უმეტესობამ არც იცის, რა უფლებები აქვს. მე თვითონაც არ ვიცოდი. მაშასადამე, ეს უფლებები უნდა გაარკვიო და მერე გაუწიო პროპაგანდა.

დილით სკოლაში მარტო ამაზე ვფიქრობდი და კიდეც მოვხაზე წესდების მსგავსი რაღაც. შემდეგ ამის შესახებ ვუამბე მეგობრებს კლუბ „იამბში". ყველამ მხარი დამიჭირა. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე,, რომ ჩვენთან ბავშვი ყველას შეუძლია დაამციროს, შეურაცხყოს. ისინი უმწეონი არიან მასწავლებლებისა და მშობლების წინაშე. ბევრი განსჯის შემდეგ შევადგინეთ მოქმედების პროგრამა, შემდეგ იგი განვიხილეთ კლუბის ხელმძღვანელთან, საღამოს კი შინ მშობლებს ვუამბე. მამაჩემი იურისტია, იგი დაგვეხმარა პროგრამისა და წესდების რედაქტირებაში, მოგვაძებნინა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის ტექსტი.

ბავშვთა ფრონტის პროგრამაში განსაზღვრულია მთავარი ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვა, უფროსებსა და ყველა ასაკის მოზარდებს შორის ადამიანური ურთიერთობისათვის ბრძოლა, ზედმეტი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვის შემცირება. ფრონტი ილაშქრებს აღზრდის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების, ბავშვთა იძულებითი შრომისა და მოზარდებში ხულიგნობის წინააღმდეგ, იბრძვის ბავშვთა უფლებების გაფართოებისათვის, მათ შორის, შესაფერისი შრომის სახეობათა შერჩევისათვის.

რა არის ყველაფერი ეს — ბავშვების პოლიტიკური თამაში თუ სერიოზული ინტერესი, რომელიც სრულიად ლოგიკურად უჩნდება თითოეულ ჩვენგანს ამ მშფოთვარე, პოლიტიკურად დამუხტულ დროს? და თუ ეს თამაშია, შესაძლოა, იგი ძალიან სასარგებლოც იყოს, და არც არაფერი ავნოს ბავშვებს?

ამ კითხვებზე მხოლოდ დროს ძალუძს პასუხის გაცემა.

ო. ბაბიი

## სტუმრად წითელ შევარდნებთან

„წითელი შევარდნები" ბავშვთა სოციალისტური ორგანიზაციაა ავსტრიაში. იგი 15 ათას გოგონასა და ბიჭუნას აერთიანებს.

ავსტრიაში ბევრი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. მათი ნაწილი, უკვე საუკუნეებია, ამ მიწაზე სახლობს, ნაწილი კი აქ სამუშაოს საძებნელადაა ჩამოსული.

ერთხელ ფრანცმა მოისმინა „შევარდნების" ჯგუფელი ორი ბიჭუნას საუბარი:

„გაიგე ახალი ანეგდოტი თურქებზე? არა?" და ბიჭი მოჰყვა უხამს ანეგდოტს, რომელიც აბუჩად იგდებდა სხვა ეროვნების ადამიანებს, ორივემ ხმამაღლა გაიცინა. ფრანცის აღშფოთება უსაზღვრო იყო, და არა მარტო ფრანცისა — „შევარდნების" სხვა წევრებმაც შეარცხვინეს ისინი, ბრძოლა გამოუცხადეს ამგვარ ანეგდოტებს. ჯგუფის შემდეგ სხდომაზე კი გადაწყვიტეს, მოეწყოთ საღამო. მიიწვიეს იუგოსლაველი ბავშვები, ავსტრიელი თურქების კლუბის წევრები, ეგვიპტელები. მოამზადეს მათი ეროვნული კერძები, ისმოდა ხალხური მუსიკა, საღამოზე მოპატიჟებულმა ბურგომისტრმა სერბიული ხალხური ცეკვაც კი შეასრულა.

## გადაწყვიტეს, არ დაელოდონ უფროსებს

ბავშვები სამ-სამ კაციან ჯგუფებად დაიყვნენ და ჩამოუარეს კინოთეატრებს, დრამატულ თეატრებს, საკონცერტო დარბაზებს, მოამზადეს პატარ-პატარა წერილები. ჯგუფის უფროსმა მათში უხეში ორთოგრაფიული შეცდომები გაასწორა და წერილები ხოლიდურ გაზეთებში გააგზავნა. ასე გაიგეს უფროსებმა ბავშვების აზრი იმის შესახებ, რომ ბავშვებს აკლიათ კულტურის, ხელოვნების მუშაკთა ყურადღება. შევარდნელები არა მარტო ჩიოდნენ, ისინი წინადადებებსაც აყენებდნენ: საუკეთესო ადგილები თეატრებში — ბავშვებს, რაც შეიძლება ნაკლები ფილმები მკვლელობებზე, ძალადობაზე, საშინელებებზე; ჩატარდეს სათამაშოების გამოფენები, საჭიროა მეტი ტელეგადაცემა, წიგნი, თამაში მშვიდობაზე და არა ომზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წითელშევარდნელებმა გადაწყვიტეს არ დაელოდონ, ვიდრე უფროსები მათ ყველა წინადადებას შეასრულებენ, ისინი თვითონვე ცდილობენ, მოაწყონ მხიარული, საინტერესო შეხვედრები.

მე აშკარად მომეწონა შევარდნელთა აქტივობა, მათი პოზიცია. თქვენ რას იტყვით?

ს. შეგლოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქრისტიანობის წარმოშობა

ქრისტიანული რელიგია, თითქმის ოცი საუკუნეა, იპყრობს მორწმუნეთა და არამორწმუნეთა ყურადღებას და სპეციალისტთა კვლევის ობიექტად გვევლინება.

ქრისტიანობა წარმოიშვა I საუკუნეში იმ ებრაელთა შორის, რომლებიც სამშობლოს გარეთ ცხოვრობდნენ. იგი სწრაფად გავრცელდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, უმეტესად კი — მცირე აზიასა და ეგვიპტეში, ადვილად შეაღწია საბერძნეთსა და რომში, II საუკუნიდან — გალიასა და ჩრდ. აფრიკაში. III საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიები უკვე საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ყალიბდებიან, ხოლო IV საუკუნეში თავისუფალი რწმენის უფლებებსაც ღებულობენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის ლოგიკური დასასრული იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მაგრამ იმისათვის, რომ ქრისტიანობას დამოუკიდებლობის სტატუსი მიეღო, საკმაოდ რთული გზის გავლა იყო საჭირო.

იმდროინდელ რომის იმპერიაში ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა სახელმწიფო შედიოდა. აღმოსავლეთით იგი ევფრატამდე აღწევდა, დასავლეთით — ატლანტის ოკეანემდე, სამხრეთით — საჰარის უდაბნომდე და ნილოსის ნაპირებამდე, ხოლო ჩრდილოეთით დუნაისა და რეინის სანაპიროებს აერთიანებდა. მაშასადამე, რომი მსოფლიო იმპერია იყო, რომლის ნების გამოხატულებასაც ემსახურებოდა მის შემადგენლობაში შემავალი ყველა ქვეყანა.

რომის დაპყრობითმა ომებმა იტალიაში ჭარბი რაოდენობით დააგროვა მონები, რომლებიც მძიმე ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებულნი. მონის შრომის მასობრივად გამოყენებამ მეთემე-მიწათმოქმედი მოსახლეობა ფაქტობრივად მოსწყვიტა მიწას. ფიზიკური შრომა თანდათანობით სამარცხვინო გახდა თავისუფალი რომაელებისათვის. წინა პლანზე წამოიწია გონებრივ შრომასთან დაკავშირებულმა პროფესიებმა, რომლებიც სულ უფრო პრესტიჟულნი ხდებოდნენ და მხოლოდ წარჩინებულთა მონოპოლიას წარმოადგენდნენ. საზოგადოებაში ჩამოყალიბება იწყო უქონელ თავისუფალ მოქალაქეთა და დეკლასირებულთა მრავალრიცხოვანმა ფენამ, რომელიც მონების შრომით და სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწყალებით ცხოვრობდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დაპყრობილი ქვეყნებიც, რომაელთა ლაშქრობები მათ სრულ გაღატაკებას იწვევდა. იმპერია სულ უფრო მეტად მდიდრდებოდა პროვინციების ხარჯზე.

იმპერიის სიძლიერეს ხელს უწყობდა რომის კოლონიზაცია. ერთადერთი სიკეთე, რაც ამ პროცესს ახლდა, მშვიდობის დამყარება იყო, რამაც გარკვეული როლი შეასრულა კოლონიათა ფიზიკურ გადარჩენაში. მაგრამ გარედან მოტანილმა სიმშვიდემ უკიდურესად გაამწვავა შიგასოციალური წინააღმდეგობანი. გახშირდა მონათა აჯანყებები, რომელთა მასშტაბები ხშირად საგონებელში აგდებდა რომაელ ხელისუფალთ. ასეთი იყო, მაგალითად, სპარტაკის აჯანყება, რომელმაც საბოლოოდ შეარყია რომის მონათმფლობელური წყობილების საფუძვლები. თუ სპარტაკის აჯანყებამ საგონებელში ჩააგდო ქვეყნის პატრიციები და მმართველები, დამარცხებამ დაბალი ფენების საყოველთაო გულის გატეხა გამოიწვია. თავი იჩინა საყოველთაო სიძულვილმა და დემორალიზაციამ. ეს განსაკუთრებით იჩენდა თავს დიასპორათა მოსახლეობაში, რამდენადაც ისინი ეკონომიკურ და პოლიტიკურ უუფლებობასთან ერთად ეროვნულ უუფლებობასაც განიცდიდნენ. მოსახლეობის დაბალ ფენებში გაძლიერდა გულგრილობა, რომელიც წარჩინებულთა საზოგადოებაშიც გავრცელდა. ამას კი შედეგად მოჰყვა მორალური გადაგვარება. რომაელ წარჩინებულთა ზნედაცემულობამ უკიდურესად საშიში ხასიათი მიიღო.

ასეთ ვითარებაში ადვილად გასაგები და მისაღები უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის ათი მცნება, როგორც საჭირო და აუცილებელი იმ ზნეობრივი განწმენდისათვის, რომელიც რომის სახელმწიფოში უზნეობის მასობრივად გავრცელების პირობებში განსაკუთრებით ღირებული ხდებოდა.

რწმენის შერყევის შეჩერება რომაელმა ხელისუფლებმა ძველი ტაძრების შეკეთებითა და მსხვერპლშეწირვის რიტუალის გაძლიერებით სცადეს. მაგრამ ეს დროებითი ღონისძიება იყო. აღმოსავლური კულტებიც — ისიდა და მითრაც თავიანთი რიტუალებით, წეს-ჩვეულებებით, შინაარსით ვიწრონაციონალურ ჩარჩოებში დარჩნენ და არ გამოდგებოდნენ ვეებერთელა სახელმწიფოს ყველა ფენის ინტერესების ამსახველად. ამასთან დაკავშირებით შემდგომში სწორად შენიშნავდნენ, რომ „როგორც კი ეროვნულ ღმერთებს აღარ შეუძლიათ თავიანთი ერების დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვა, ისინი თვითონვე იტე-

ხენ კისერს“. სწორედ ასე დაემართა რომის სახელმწიფო ღვთაებებსაც. „ამქვეყნიური“ ღმერთების უძლურებაში დარწმუნებულმა მოსახლეობამ თვალი ზეცას მიაპყრო და იქიდან ზეციური მხსნელის — მესიის მოსვლას ელოდა. თანდათანობით მწიფდებოდა აზრი ღვთაებრივი წარმოშობის მქონე არსების განსხეულებაზე. თუმცა ასეთი მოტივი მთლად უცხო როდი იყო ანტიკური სამყაროსათვის. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელმა თავი ამონის შვილად გამოაცხადა, რის გამოც იგი „ძე ღვთისად“ შერაცხეს, იულიუს ცეზარი თავისი გვარის საწყისად ქალღმერთ ვენერას თვლიდა, ავგუსტუსს სჯეროდა, რომ იგი დედამისს აპოლონის ტაძარში ჩაესახა სასწაულებრივად. ამით მათ სურდათ, თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება ღვთით ნაბოძებად მოენათლათ, მემკვიდრეობით განემტკიცებინათ და მეტი ავტორიტეტი მოეპოვებინათ.

აშკარად გამოიკვეთა ისეთი ახალი რელიგიის შექმნის მოთხოვნილება, რომელიც კი არ დაყოფდა, არამედ შეაერთებდა უდიდესი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ერებს, მოშლიდა ნაციონალურ, კლასობრივ, ქონებრივ განსხვავებებს და ღვთის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანად გამოაცხადებდა.

სხვანაირად ალბათ ვერ აიხსნება ქრისტიანობის ცნობილი დებულება: „არ არის არც ბერძენი, არც ებრაელი, არც წინდაცვეთა, არც არაწინდაცვეთა, ბარბაროსი, სკვითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველგან და ყველაფერში არის ქრისტე“. მნიშვნელოვანწილად ქრისტიანობის ასეთმა საყოველთაო ხასიათმაც უზრუნველჰყო შემდგომში მისი სწრაფი გავრცელება.

მაგრამ ასეთი რელიგიის ჩასახვა არ მოხერხდებოდა ისე, თუ მას თავისი მთავარი მოქმედი პირი არ ეყოლებოდა. ახალი ღმერთი განსხვავებული უნდა ყოფილიყო ძველი პანთეონისაგან როგორც თვისებებით, ისე ცხოვრების წესითაც და მიზნითაც. ახალი რელიგიის ფუძემდებლად მაშინდელმა სამყარომ იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ღმერთკაცად მოავლინა. თუ მის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ბიოგრაფიული ცნობები, მართალია, ნაწილობრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის იმდენია საერთო, რომ თავისუფლად შეგვიძლია გავაერთიანოთ. სახარებები, სხვა ქრისტიანულ ლიტერატურასთან ერთად, ახალი აღთქმის კრებულშია წარმოდგენილი და ვრცელ მასალას მოიცავს.

ლუკას სახარების მიხედვით, იესოს მშობლები მარიამი და იოსები, ეროვნებით ებრაელნი, მიწიერი, ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილან. მათი ურთიერთდამოკიდებულება ცოტა უჩვეულოდ გამოიყურება. ერთხელ, როდესაც მარიამს ანგელოზი გამოცხადებია და უთქვამს — „გიხაროდეს, მადლიანო, შენთან არს უფალი, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.... ესერა შენ მუცლად იღო და ჰშვე ძე და უწოდე სახელი მისი იესო... და მეუფევდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისად არა იყოს დასასრული“,—გაოცებული ქალი ანგელოზს ეკითხება, თუ როგორ შეიძლება მან მოავლინოს ბავშვი, თუკი მამაკაცთან ურთიერთობა არ ჰქონია. ანგელოზი უხსნის, რომ სულიწმინდა „გარდმოვიდა მასზედ“ და მაღალი ძალა ჰფარავს.

იოანეს გამოცხადების მიხედვით, ქრისტეს შობის დღეს დიდი სასწაული მომხდარა: „...გამოჩნდა ცათა შინა დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე. და მთოვარე იყო ქუეშე ფერხთა მისთა და თავსა ზედა მისსა გვირგვინი ვარსკვლავთა ათორმეტთაი... და შვა ძე წული... და წარტაცებულ იქნა შვილი მისი ღმერთისა მიმართ და საყდრისა მიმართ მისისა“.

ქრისტეს ასეთი სასწაულებრივი ჩასახვისა და ამ ქვეყნად მოვლენის ამბავი რწმენის სფეროს განეკუთვნება და პიროვნებაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა. რელიგია კი მას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად აცხადებს.

როდის და სად უნდა დაბადებულიყო ქრისტე? სახარებებში პირველ საკითხზე პასუხი ბუნდოვანია. მათეს სახარებაში წერია, რომ იესო დაბადებულა მეფე ჰეროდეს მმართველობის დროს, ლუკას თანახმად კი იესო დაბადებულა კეისარის მიერ მსოფლიო აღწერის ბრძანების გამოსვლის დღეებში, რაც პირველი აღწერა ყოფილა კვირინიუსის მმართველობაში (იგი სირიას მართავდა). მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მეფე ჰეროდე ძვ. წ. 4 წელს გარდაცვლილა, ხოლო კვირინიუსი რომის იმპერატორის ნაცვლად ჩვ. წ. 6 წელს დაუნიშნავთ. ამ ორ თარიღს შორის სხვაობა ათი წელია, რაც ლოგიკურად არაფრით აღარ ემთხვევა ზემოთ მოტანილ ფაქტს. იქნებ ამიტომაც, ზოგიერთი წყარო იესოს დაბადების მხოლოდ თვესა და რიცხვს ასახელებს — 25 დეკემბერს. მეცნიერებაში დადგენილია, რომ პირველი სამი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობამ თითქმის არაფერი იცოდა თავისი ღმერთკაცის ამ ქვეყნად დაბადების თარიღის შესახებ. უფრო მეტიც, ეს თარიღი 532 წელს VI საუკუნეში ხელოვნური გაანგარიშების მიხედვით შეუქმნია ბერ დიონისეს.

ქრისტიანული შობის დღესასწაული IV საუკუნის მეორე ნახევარში დაწესებულა და პირველად 354 წლის 25 დეკემბერს აღუნიშნავთ. რატომ მაინცდამაინც 25 დეკემბერს? ეს რიცხვი კარგა ხნის წინათ მიიჩნიეს ძველი კულტურის დაბადების დღედ. ქრისტიანული „შობის“ წანამძღვრებიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა რწმენებშია გაფანტული. ასეთი ყოფილა, მაგალითად, მითრას „შობის“ დღე, რომელსაც, ქრისტეს მსგავსად, ადამიანთა ხსნა ჰქონდა დაკისრებული.

მსგავსი მოტივები ქრისტიანობისათვის ახალი არ ყოფილა. მან ახალ მოძღვრებას კარგად მიუსადაგა ის, რაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. საეკლესიო კალენდარში კი შობის დღესასწაულის შეტანა იმ წარმართულ დღესასწაულების შეზღუდვას [illegible]ისწო-

ნებდა, რომლებიც 25 დეკემბერს აღინიშნებოდა.

სახარებებში ქრისტეს ნაზარეველსაც უწოდებენ. იმ დროის ებრაელთა ისტორიის მიხედვით, იუდაიზმი იცნობს „ნაზორეველთა“ (იგივე ნაზარეველთა) სექტას. მისი წევრები ყოფილან ისინი, ვისაც სიცოცხლე დროებით ან სამუდამოდ ღვთისთვის ჰქონდათ შეწირული. ისინი არ იკრეჭდნენ თმას, არ სვამდნენ ღვინოს და არ ეკარებოდნენ მიცვალებულს. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ქრისტე შეიძლებოდა სწორედ ამ გაერთიანების წევრი ყოფილიყო და მის მიმართ „ნაზარეველის“ ხმარებაც ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

იუდაიზმში სხვა სექტებიც მოქმედებდნენ, რომელთაც ქრისტეს პროტოტიპი მესიად წარმოედგინათ. ასეთი ყოფილა ზელოტების სექტა — მისი წევრები ზეციურ მხსნელში მებრძოლ გმირს ხედავდნენ, ხმლით ხელში ქვეყანას რომის უღლისაგან რომ გაათავისუფლებდა. ესეელები კი სულიერ მესიას ელოდნენ.

სახარებებში აღწერილი ის ფაქტი, რომ იესო ქრისტე სასახლეში კი არა, მწყემსების გომურში დაიბადა, ერთგვარად განაპირობებდა მის მიმართ დაბალი ფენების თანაგრძნობას.

მართლა არსებობდა თუ არა იესო ქრისტე, როგორც ადამიანი? ქრისტეს ღვთაებრიობასა და ადამიანურ წარმოშობას, საერთოდ მისი ცხოვრების ამსახველ მასალებს მრავალი ისტორიული და ფილოსოფიური სკოლა სწავლობდა. მათ შორის რამდენიმე უნდა დავასახელოთ: ტიუბინგენის სკოლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დ. შტრაუსმა დაწერა „იესოს ცხოვრება“, სადაც მან პირველმა გამოიყენა ქრისტეს თავგადასავალთან დაკავშირებული „მითის“ ცნება. თუმცა ამით მთლიანად არ უარუყვია ქრისტეს ისტორიულობა. მითოლოგიური სკოლის მიმდევრები ქრისტეს მითიურ პერსონაჟად თვლიდნენ და კატეგორიულად უარყოფდნენ მის არსებობას, ხოლო შ. დიუპუი მას მზის ღმერთადაც კი მიიჩნევდა. ამ სკოლის მიმდევართა შეცდომა ის იყო, რომ ისინი ქრისტიანობას მთლიანად მითოლოგიის სამოსელში ახვევდნენ და ვერ ითვალისწინებდნენ მისი წარმომშობი ისტორიული ეპოქის ობიექტურ მიზეზებს.

მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდნენ ისტორიული სკოლის წარმომადგენლები, რომელნიც იესო ქრისტეს რეალურ პიროვნებად აცხადებდნენ.

**რუსუდან წიქვაძე**



საიდუმლო სერობა. ლეონარდო და ვინჩი

# იცი თუ არა, რომ...

● ქათმის ასაკის დადგენა შეიძლება მისი კვერცხის ნაჭუჭის სიმაგრის მიხედვით, რომელიც კლებულობს ასაკის მატების კვალობაზე.

● აშშ-ში შექმნეს ტელეფონის აპარატი, რომელიც ავტომატურად თარგმნის იაპონური საუბრის ტექსტს ინგლისურად.

● გამოიგონეს ფოტოელემენტი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ზღვის წყლისაგან წყალბადის მიღება ელექტროენერგიის წყაროს გარეშე.

● საბჭოთა კავშირში ერთ მოქალაქეზე მოდის 10,4 კგ შეგროვილი მაკულატურა, იაპონიაში კი — 84 კილოგრამი...

● საპლანეტათშორისო სადგური „ვოიაჯერ-2“, რომელიც აშშ-მა 12 წლის წინათ გაუშვა, კიდევ 50 წლის განმავლობაში გადმოსცემს ინფორმაციას კოსმოსის სიღრმეებიდან.

● ყოველ ხილულ ვარსკვლავზე მოდის ასიდან ათასამდე ვარსკვლავი, რომლებიც არ გამოასხივებენ სინათლეს.

● საყოფაცხოვრებო ნაგვისაგან მიღებული ბიოლოგიური აირი ხავსებით გამოსადეგია ავტომობილის საწვავად.

● მზის აქტივობის თანამედროვე ციკლი გაგრძელდება, სულ ცოტა, კიდევ 680 მილიონი წლის განმავლობაში.

● სისხლ-ძარღვთა დაავადების შეტევები ყველაზე ხშირად დილის 10-დან 11 საათამდე ხდება.

● ზოგიერთ მეტეორიტში აღმოჩენილია ალმასები, რომლებიც ზეახალი ვარსკვლავების აფეთქებისაგან წარმოიშვა.

● ტრანსპორტის ხმაური მამაკაცებზე უფრო ქალებს აღიზიანებს.

● რაიმე საგანი რომ გაიაზროს, თავის ტვინს საამისოდ ნახევარი წამი სჭირდება.



თინათინ გაგოშიძე საავტორო კონცერტზე თავისი სათაყვანო ადამიანების — შოთა მილორავასა და ანდრია ბალანჩივაძის გვერდით

ო. ნადარეიშვილის ფოტო

# საყვარელი ადამიანის ხსოვნას

შოთა მილორავა — ეს სახელი ჩემთვის წმინდა სახელად დარჩება, იგი პაპაჩემის თანაკლასელი იყო და ჩვენს ოჯახში ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე. ერთ საღამოს მან მოისმინა ჩემი კომპოზიციები, ძალიან მომიწონა და მისი დაჟინებით შემიყვანეს ფალიაშვილის სახელობის სპეციალურ სამუსიკო ათწლედში. იქ ჩემი ბედი მიანდეს შესანიშნავ პედაგოგს თინათინ სარჯველაძეს, კომპოზიციას კი პატივცემული ალექსი შანიძე მასწავლის, რომელიც დიდი მზრუნველობით მეპყრობა. ასე გავიდა დრო. ამჟამად უკვე მეხუთე კლასში ვარ. ამ ხნის განმავლობაში კი ბატონ შოთას ჩემი არც ერთი კონცერტი არ გამოუტოვებია. ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდა ჩემს წარმატებებს და მარწმუნებდა, რომ მუსიკოსმა მხოლოდ ბეჯითი შრომით შეიძლება მიაღწიოს წარმატებებს.

შარშან თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ქართველ კომპოზიტორთა ხსოვნის საღამო, რომლის ორგანიზატორიც ბრძანდებოდა ბატონი შოთა. მისი თხოვნით ამ საღამოზე შევასრულე საკუთარი ნაწარმოები — პატარა პიესა „ინდიმინდი“, რომელიც მელიტონ ბალანჩივაძის ხსოვნას ვუძღვენი. ბატონი შოთა აღფრთოვანებული დარჩა იმით, რომ ცნობილი პროფესიონალების გვერდით მეც მოწონება დავიმსახურე.

წლეულს, მარტში, სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ქართველ კომპოზიტორთა საღამო, სადაც საბავშვო პიესების ციკლიდან შევასრულე შოთა მილორავას „პრელუდია“.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთი თვის თავზე ასეთი თავზარდამცემი ამბის მოწმენი გავხდებოდით... ბატონი შოთას გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, იმ დღეს სულ მარტო ყოფნა მინდოდა. თვალწინ მისი მოღიმარი, ხალისიანი, სიკეთით სავსე სახე მედგა და ჩემდა უნებურად მის ხსოვნას მივუძღვენი პატარა აკროსტიქი:

შარავანდედი გვირგვინად
 დაგდგომია თავს.
ო, რამდენი ანგელოზი გახვევია
 გარს.
თუმცა ნისლმა გადაგფარა, მაინც
 ნათლად ჩანხარ.
ალიონზე წაგვიხველ და მართლა
 აღარ გვნახავ?

ამჟამად ვმუშაობ ვარიაციებზე, რომელიც მსურს მივუძღვნა ჩემთვის და მთელი ქართველი ერისათვის საყვარელი ბატონი შოთა მილორავას ხსოვნას.

**თინათინ გაგოშიძე,**
თბილისი, ზ. ფალიაშვილის სახელობის სპეციალური სამუსიკო სასწავლებელი,
V კლასი.

# ცეკვავს „ივერია“

მოსკოვის მეტროპოლიტენის „სვიბლოვოს“ სადგურზე ამოვედი თუ არა, ქართული საცეკვაო მელოდია შემომესმა. დოლის ხმა იქვე მდგარი თანამედროვე სტილით ნაგები ერთსართულიანი შენობიდან გამოდიოდა. ამ ხმას მივყევი. თურმე იმ შენობაში ქართული ცეკვის სტუდია „ივერიას“ დაუდევს ბინა.

ვესტიბიულისა და სარეპეტიციო დარბაზების კედლებზე ქართული ჭედურობის ნიმუშები, ტაძრებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოებია. სპეციალურ სტენდზეა გამოფენილი წლების განმავლობაში მოპოვებული ჯილდოები, დიპლომები და ქების სიგელები.

ბავშვებს, რომლებიც აქ ქართული ცეკვის ხელოვნებას ეუფლებიან, აცნობენ საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას. მოზარდთა

საყვარელ წიგნებად ქცეულა „დედა ენა“, „ვეფხისტყაოსანი“, ილიას, აკაკის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას ნაწარმოებები. თითქმის ყველას აქვს წაკითხული ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, ბავშვები დიდი მონდომებით სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას, კვირაში ორჯერ უშვებენ ქართულ კედლის გაზეთს.

სტუდიის დამაარსებელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი რევაზ ჯანიაშვილი გავიცანი. იგი სპეციალობით ინჟინერია, მოწოდებით კი — ჭეშმარიტი პედაგოგი. საქმისათვის თავდადებულმა, მიზანსწრაფულმა, მდიდარი ფანტაზიითა და შემოქმედებითი ძიებით ავსავსე კაცმა არა მარტო შექმნა ქართული ცეკვის ანსამბლი-სტუდია, არამედ კოლექტივი ერთ მტკიცე ოჯახად აქცია.

— წელს ჩვენი სტუდია 33 წლის გახდება, — მეუბნება რ. ჯანიაშვილი. — რა დამავიწყებს პირველ ნაბიჯებს! მოსკოვის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ქართველმა სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, ქართული ცეკვის ჯგუფი შეგვექმნა და მოსკოველებისათვის გაგვეცნო იმ დროისათვის არცთუ ისე პოპულარული ქართული ცეკვები. ცეკვის მასწავლებლობა სტუდენტმა, შემდეგ ცნობილმა ქორეოგრაფმა გ. ოდიკაძემ ითავა.

მალე ჩვენი ხელოვნება მთელმა ინსტიტუტმა გაიცნო.

ერთ დღეს რექტორმა მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან წერილი მიიღო, სთხოვდნენ, ნაწილისათვის შეფობა გაეწიათ სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედებით. რექტორმა წერილის შინაარსი ჩვენ გაგვაცნო. ჩვენც არ დავაყოვნეთ და ნაწილში რამდენიმე კონცერტი გავმართეთ.

მასპინძლებს მოვეწონეთ და გვითხრეს, ახალ ობიექტებს, მათ შორის სკოლასაც ვაშენებთ და იქ ყველა პირობას შეგიქმნით ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისათვისო.

შენობა დამთავრებული არც კი იყო, რომ რეპეტიციებს შევუდექით. ახალი სკოლის დირექტორმა, ჩვენი რეპეტიციები რომ ნახა, გვთხოვა, ქართული ცეკვა ჩემს მოწაფეებსაც შეასწავლეთო. სიამოვნებით დავთანხმდით.

მეორე დღეს დირექტორმა 14 ბიჭუნა მოიყვანა. იმთავითვე ეტყობოდათ, ძნელად აღსაზრდელები იყვნენ. არ გვესიამოვნა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა.

ბიჭუნები მწკრივში ჩავაყენეთ. ახმიანდა დოლი და აკორდეონი. ცეკვა „ფერხულის“ რიტმზე ფეხაწყობით გავლა პირველად გაუძნელდათ. მთელი სიმკაცრით ვეპყრობოდით ბავშვებს, ვტუქსავდით, ვინც ნაბიჯს აურევდა, მწყობრიდან ვითხოვდით. ისე გავწურეთ ბიჭუნები, რომ გვეგონა, მეორე დღეს სათოფეზეც არ მოგვეკარებოდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა — თოთხმეტის ნაცვლად თვრამეტი ბიჭუნა და თხუთმეტი გოგონა მოვიდა.

რვათვიანი რეპეტიციების შემდეგ რეპერტუარში რამდენიმე ქართული ცეკვა გვქონდა. უკვე შეგვეძლო სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა, მაგრამ სად იყო ფორმები! სხვა გზა არ დაგვრჩა და თვითონვე შევკერეთ კოსტიუმები... პირველმა კონცერტმა მოლოდინს გადააჭარბა...

ჩვენი ანსამბლით მალე სხვა სკოლებიც დაინტერესდნენ. მოსკოვის განათლების საქალაქო განყოფილებამ, რომლის თავკაცებმაც ჩვენი კონცერტი ნახეს, წერილი აფრინეს თბილისში თხოვნით, ახალბედა ანსამბლს სათანადო ფორმებითა და ინსტრუმენტებით დაეხმარეთო.

და აი, 1957 წლის 29 მაისს გავმართეთ პირველი ოფიციალური კონცერტი. სწორედ ეს დღე ითვლება ჩვენი სტუდიის დაარსების თარიღად. სტუდიას „ივერია“ დავარქვით.

განვლილი 33 წლის მანძილზე სტუდია დაამთავრა ათი ათასამდე მოსკოველმა, ისინი დღეს ექიმები, პედაგოგები, ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები თუ ხელოვნების მოღვაწენი არიან. არ გვივიწყებენ ხოლმე, სიამოვნებით იხსენებენ სტუდიაში სწავლის წლებს, ესწრებიან რეპეტიციებსა და კონცერტებს, ტკბებიან ქართული მუსიკის ჰანგებით. ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენთან მუშაობს ცეკვის მასწავლებლად.

მოსკოვის ქართული ცეკვის სტუდია დაყოფილია სამ ანსამბლად — „კოლხიდა“, „ივერია“, „ნერგები“, რომლებშიც ასაკის მიხედვით ამჟამად 545 ბავშვი მეცადინეობს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სტუდიაში მიღება კონკურსის წესით ხდება — ერთ ადგილზე საშუალოდ ექვსი ბავშვი მოდის ხოლმე.

„ივერიის“ რეპერტუარში დღეისათვის 20-ზე მეტი ქართული ცეკვაა.

კმაყოფილი ვეთხოვები სტუდიასა და მის ხელმძღვანელს. ქუჩაში გამოსულს კვლავ ჩამესმის ქართული ცეკვის მღელვარე მელოდია...

ტარიელ ხავთასი






ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

## დრო უკვდავია

დრო მოდის, მოდის
და უკვდავია,
შენთვის კი მიდის
და აღარ მოვა...
გულს კი რამდენი
ნატვრა ჰქონია,
ზამთარმა ბადე
ისევ მოქსოვა...
შენ წუთისოფელს
ბრმასავით ენდე
და, უკეთესი
მერმისის ცდაში,
ვერც კი გაიგე,
როგორ მუქარით,
ჩამოგიქროლა
სიბერემ რაშით.




ლელა კეღელაშვილი, 11 წლის,
სიღნაღი, ანაგა.

შეშინებულმა ჩარაზე კარი,
მთებს შორის თეთრი
ნისლი ჩამოწვა...
დრო მიდის, მაგრამ
კვლავ დაბრუნდება,
შენ კი წახვალ და
ვერასდროს მოხვალ.

## გამოთხოვება

ჩაძირულს ფიქრთა კორიანტელში,
გამეღვიძება დილაადრიან,
თვალს გავახელ და... გაქრა სიზმარი,
ავი სულები სადღაც გარბიან.
მთვარეს მზე შეცვლის, როგორც
ყოველთვის,
ცაში ფრინველთა გუნდნი დაჰქრიან,
ჩემი სხეული ნელ-ნელა, ზლაზვნით
ემშვიდობება ლოგინს ნათბილარს.

## ნაცნობ ორღობეს ჩაუცვამს შავი

ნაცნობ ორღობეს მივყვები ღამით,
ღამე სახეზე ძაძებს მაფარებს,
გადმოკიდულან მაყვლის ბარდები,
არ მაცილებენ გიშრისფერ თვალებს.
შიშით მივარღვევ სახლისკენ ბილიკს,
ჩემი აჩრდილიც მომდევს ფეხდაფეხ.
ასე მგონია, საცაა ჭინკა
დამეწევა და შემომხვევს მკლავებს.
აგერ, გამოჩნდა ჩემი ჭიშკარიც,
ვგრძნობ, გული ძგერას როგორ
უმატებს.
მოხვედი, შვილო? — მესმის დედის
ხმა
და სადღაც ქრება ჭინკაც უმალვე.

ნინო ბუჩაშვილი,
საგარეჯო, გიორგიწმინდის
საშუალო სკოლა.

## ზოოპარკში

არ გინახავთ, ზოოპარკში
მედიდური იერით
როგორ დადის გალიაში
მხეცთა მეფე ძლიერი?
იმის გვერდით ვეფხვი ცხოვრობს,
მეფესავით მამაცი,
კატასავით ჭრელია და
გაცილებით ლამაზი.

თამრიკო კობერიძე,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, 11 კლასი.

## ჩემი იმერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილხართ იმერეთში? თუ ყოფილხართ, ერთხელ მაინც შენიშნავდით, რა ლამაზია მზის ამოსვლისას ეს დალოცვილი მხარე. მზე რომ ამოიწვერება და ტყეებს ოქროთი და ზურმუხტით მოავარაყებს, მათ დანახვას არაფერი სჯობს. ისეთი მუქი და საშიში აღარ ჩანს დაბურული ტყიანები როგორც ღამით, პირიქით — ყველაფერი ხასხასებს, ელვარებს, კოპწიავდება.

მზის ჩასვლაც თავისებურად ლამაზია ჩემს მხარეში. მზეს თითქოს ეძნელებაო წასვლა, სახლებისა და ხეების ჩრდილებს გრძლად, გვერდულად ერთმანეთზე აწვენს, დიდხანს ჩადის, თავისი ოქროსფერი სხივებით ბოლომდე უნდა გული გაუთბოს დედამიწას...

რომ იცოდეთ, რა ლამაზია მაშინ იმერეთი... თუმცა საქართველოში თავისი კუთხის სილამაზით ვის არ შეუძლია დაიტრაბახოს?!

მაია კაპანაძე,
ბოლნისი, 1-ლი საშ. სკოლა, IX კლასი.

## გაზაფხულის სურნელი

გაზაფხული მორცხვი პატარძალივით შემოიპარება ხოლმე, ნაზად გაეთამაშება მწვანე ყვავილას, ტყემლებს თეთრად გადაპენტავს, შემდეგ ცეცხლივით მოედება ბუნების ყველა უბანს და ატმებსაც ალმურს წაუკიდებს.

გაზაფხულმა ძალა მოიცა. ზამთარსაც უკვე აუკრავს გუდა-ნაბადი და მთისაკენ მიიპარება; იქ მაღალ მთებში, ყინულის საიდუმლო სასახლეებშია მისი სამუდამო სასუფეველი...

გაზაფხული თავის წიაღში გიხმობს, მაინც საით გაიწევს გული, გაზაფხულის პირველი მახარობლების სანახავად? რა თქმა უნდა ტყეში. ბუნების გაღვიძების ნიშნებს ყველაზე მეტად სწორედ აქ შეხვდები. სადაც აქა-იქ უკვე აუხელიათ თვალები ლურჯთვალა იებსა და ყელმოღერებულ ენძელებს. სად შეიძლება კიდევ გაზაფხულის ხილვა?

ყველგან! ყველგან იგრძნობა გაზაფხულის საამო სურნელი. ბუნების გამოცოცხლებას ყვითელი ყვავილებით ესალმება შინდი. მურყნარმაც გაშალა მხრები, ოდნავ შეეხება მის ტოტს და მტვრიანების ოქროს ღრუბელი ავარდება ჰაერში...

გაივლის კიდევ ცოტა დრო და ადრემოყვავილე ხეები ფოთლებითაც მოიჩითებიან, სხვებს კი ყვავილობის ჟამი დაუდგებათ. დატრიალდება ტყეში მათრობელა სურნელი. და როცა ტყის პირები თუ ბუჩქნარები ყვავილთა ნამქერში ჩაიძირება, ბაღვენახები აყვავებული ხეხილის ბაირაღებად აფრიალდებიან, მაშინ ტურფა გაზაფხულიც მკვიდრად დაბრძანდება თავის სადედოფლო ტახტზე...

**მაია ჯერვალიძე,**
წითელწყარო, ქვემოქედის საშუალო სკოლა, X კლასი.

## სხვიტორში

სხვიტორის გზაზე გადავუხვიეთ. სულ რამდენიმე წუთიც და პოეტის მშობლიურ სოფელს ვესტუმრებით... აი ისიც. მანქანა ჭიშკართან შევაჩერეთ და ჩამოვქვეითდით. ეზოში შევაბიჯეთ. ყველაფერი ადრინდელი — ეზო, მისი მშობლიური სახლი, კარის ეკლესია, დიდ კაკლქვეშ ქვის გრძელი მაგიდა, რომელზეც ალბათ არაერთხელ უსადილია დიდ მგოსანს; 1905 წელს აკაკის მიერ გაშენებული ვენახი, ისევ ის მოჩხრიალე ჩიხურა, რომელშიც ბავშვობისას ბანაობდა, ღორჯოს იჭერდა, ისევ ის ბალახი... ყველაფერი ცოცხლობს, მაგრამ აკაკი აღარ არის...

შემოგვეგება აკაკიზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, დიდი სამამულო ომის მონაწილე ევტიხი სამხარაძე. შეგვიყვანა დიდ დარბაზში, რომლის კედლებიდანაც გვიმზერდა სხვადასხვა ასაკის მგოსანი. მისი შეხვედრების ამსახველი ფოტოსურათები: „ტარას შევჩენკოსთან", „ჩერნიშევსკისთან", „დიდ ილიასთან", „მაქსიმ გორკისთან", „მოგზაურობა პარიზში". აქვეა სურათი „აკაკი ანეტა იურკევიჩთან სიკვდილის წინ", როდესაც ის პოეტს „გამზრდელს" უკითხავს, როცა მგოსანს უთქვამს: „მართლაც რომ კარგად დამიწერიაო"...

გამაკვირვა იმან, რომ მუზეუმში არ შემორჩენილა პოეტის ხელნაწერები. როგორც ბატონი ევტიხისაგან შევიტყვე, ხელნაწერები თბილისის ლიტერატურულ მუზეუმთან გაუცვლიათ აკაკისავე ტანსაცმელში, რომელიც ახლა მის ოთახში ინახება. ამ ოთახში დაიბადა მგოსანი, აქვე გაატარა მან სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ამ ოთახში ყველაფერი აკაკისეულია: რკინის საწოლი, ბუხარი, კარადა მისი ლაბადით, კოსტიუმით და ფეხსაცმლით, ძველი მაგიდა, რომელზეც ალბათ არაერთი შედევრი შეუქმნია პოეტს, მასზე დგას სამელნე, რომლის სახურავი და აკაკის სათვალე, სამწუხაროდ, დაუკარგავთ (მოუპარავთ). კედლის თაროებზე ინახება პოეტის წიგნები, ადრე მათი რიცხვი 700 ყოფილა, დღეს შემორჩენილია მხოლოდ 2000. ბუხრის თავზე დგას საათი, რომელიც მაშინ გაუჩერებიათ, როცა პოეტის გული გაჩერებულა.

ოთახიდან აივანზე გავედით, აქედან ხელისგულივით მოსჩანს პოეტის სოფელი. იქვე, კედელზე წარწერაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს სახლი აშენებულია 1834 წელს ბერძნების მიერ, პოეტის მამის, როსტომ წერეთლის სურვილით. კედელზე ამოჭრილია ხელმოწერა: К. Р. Ц. (князь Ростом Церетели).

ამ მცირე ექსკურსიით ძალიან ვისიამოვნეთ. გულდასაწყვეტად ისღა დაგვრჩა, რომ ძალიან ცოტას გამოფენის საშუალება აქვთ ფართობის უკმარისობის გამო, აკაკის სახლ-მუზეუმს კი საექსპოზიციოდ, სულ ცოტა, შვიდი ასეთი დარბაზი სჭირდება. ბატონმა ევტიხმა გვითხრა, ოქტომბერში, პოეტის 150-ე წლისთავზე, რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს, გვინდა ახალ შენობაში მოვაწყოთ გამოფენაო... მისი მშენებლობა აკაკის დედისეულ ბაღში მიმდინარეობს.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. ბუმბერაზ მთებს იგი თავზე წითელი გვირგვინივით დაედგათ. პოეტის ეზოში გაბნეული მზის უკანასკნელი სხივები იკრიფებოდა, როცა ბატონ ევტიხის დავემშვიდობეთ და აკაკის ეზოდან გამოვედით.

**ნინო ანთაძე,**
თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, IX კლასი.



კოსმოდრომზე, სტარტის წინ

ბია ბაბილოძე. 6 წლის. ქ. ოზურგეთი



# ორი გროში

ელქა ბენედეკი — ზღაპრები — მხატვარი ედ. ამბოკაძე

იყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთს სახელად იანჩი ერქვა, მეორეს — დანი.

ერთხელ იანჩიმ ორი გროში ისესხა დანისაგან. გავიდა ხანი. ამაოდ თხოვდა დანი იანჩის თავის ორ გროშს. იანჩი ყოველთვის ასეთ პასუხს აძლევდა ხოლმე, — ღმერთი გადაგიხდისო.

როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ, სულ იმ ორ გროშზე ჰქონდათ დავა. დავას დანი იწყებდა ხოლმე:

— იანჩი, მომეცი ჩემი ორი გროში.

— ღმერთი გადაგიხდის. — პასუხობდა იანჩი.

— იანჩი, — ეუბნებოდა დანი, — თუ ჩემ ორ გროშს დამიბრუნებ, ხომ კარგი, არადა, ღმერთმანი, ნახე, თუ სუდარა არ გადაგხადო, როცა კუბოში ჩაგასვენებენ.

— გადამხადე რა, აი, დარდი!

გავიდა ხანი. იანჩიმ მაინც არ დაუბრუნა ის ორი გროში დანის. დანი კი იმუქრებოდა, რომ, თუ ღმერთის შემწეობით იანჩიზე მეტ ხანს იცოცხლებდა, მიცვალებულს სუდარას გადახდიდა. ერთხელაც იანჩიმ იფიქრა: „მოდი, ერთი ვნახო, მართლა იმუქრება დანი, თუ მხოლოდ ბაქიაობსო“.

ადგა, თავი მოიავადმყოფა და ლოგინში ჩაწვა, მერე ცოლს უხმო და მწუხარედ უთხრა: — დედაკაცო, ხომ ხედავ, ჩემი აღსასრულის ჟამი დადგა; ვკვდები, ერთი თხოვნა მაქვს, როცა მოვკვდები, ეკლესიაში წამასვენონ და ჩემი ცხედარი იქ დაასვენონო.

მერე დახუჭა თვალი და სუნთქვა შეიგუბა. ყველას ეგონა, მოკვდაო. დაასვენეს კატაფალკაზე და ეკლესიის გზას გაუყენეს, შეასვენეს ეკლესიაში და დაღამებამდე იქ დატოვეს. დანისაც მეტი არ უნდოდა, არც აცია, არც აცხელა და, როგორც კი ცხედარი მარტო დარჩა, ეკლესიაში შეიპარა და კუბოს მიუახლოვდა, რომ მიცვალებულისათვის სუდარა გადაეძრო. სწორედ ამ დროს ყური მოკრა, რომ ეკლესიის კართან ვიღაც უცხოები ჩურჩულებდნენ. საუბარმა მიახვედრა, რომ ქურდები იყვნენ, ეკლესიაში შესვლა უნდოდათ, რათა ნაძარცვი ქონება შიგნით მშვიდად გაეყოთ.

შეშინდა დანი, სწრაფად საკურთხევლის უკან დაიმალა, დაიწყო ლოდინი, თუ რა მოხდებოდა. მართლაც შემოვიდნენ ქურდები. ზუსტად თორმეტნი იყვნენ. დაყარეს ეკლესიის იატაკზე უამრავი ფული, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და შეუდგნენ გაყოფას. ბოლოს ჯერი ერთ ხმალზე მიდგა და არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ გაეყოთ.

— მოდი, ეს ხმალი იმისი იყოს, ვინც მკვდარს შიგ გულში გაუყრის. — თქვა მეთაურმა.

ქურდებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ერთსაც არ ეყო გამბედაობა ამ შემზარავი საქციელის ჩასადენად.

— აბა, არც ერთს არ გყოფნით გამბედაოდა?! — ჰკითხა ქურდების მეთაურმა. — მაშინ მე გავუყრი!

ის იყო, ხმალი ასწია და მოიმარჯვა დასარტყმელად, რომ იანჩი კუბოდან წამოხტა. გაცოცხლებული მკვდრის დანახვაზე ქურდებსაც აღარ დაუხანებიათ, მაგრამ შეფუცხუნებულები ეკლესიიდან გარეთ გაცვივდნენ და ფულიც, ხმალიც და ურიცხვი ძვირფასეულობაც შიგნით დატოვეს. მაგრამ შორს არ გაქცეულან. ითათბირეს და ჩუმად უკან მიბრუნდნენ. ეკლესიის კართან დადგნენ და ყური მიუგდეს, აბა შიგნით რა ხდებაო.

ამასობაში დანი საკურთხევლის უკნიდან გამოხტა, იანჩისთან ერთად ეკლესიის იატაკზე დაჯდა და ერთმანეთს შორის ფულის გაყოფა დაიწყეს. ფული თანაბრად გაიყვეს, ისე, რომ არც ერთ მათგანს ერთი გროშით მეტი არ აუღია.

გაყოფას რომ მორჩნენ, დანი იანჩის მიუბრუნდა:

— აბა, იანჩი, ახლა მაინც დამიბრუნე ჩემი ორი გროში!

— არაფერსაც არ დაგიბრუნებ.

— ბოლოს და ბოლოს, მომცემ თუ არა ჩემს ორ გროშს?

— არა, არ მოგცემ.

ამ საუბარს გარეთ მყოფმა ქურდებმა მოკრეს ყური და ძალზე შეშინდნენ.

— აბა, ჩქარა აქაურობას გავეცალოთ, თორემ ვერ უყურებთ, ეკლე-

სიაში იმდენნი არიან, რომ თითო კაცს ორი გროშიც კი არ ხვდებაო. — უთხრა ქურდებს მეთაურმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა. დანარჩენებიც მიჰყვნენ!

ამასობაში იანჩი და დანი ეკლესიიდან გამოვიდნენ და შინისაკენ გაუდგნენ გზას, დიდძალი ფული მიჰქონდათ შინ. მაგრამ დანიმ არც ახლა არ დაივიწყა თავისი ორი გროში.

— იანჩი, მომეცი ჩემი ორი გროში!

— არ მოგცემ! — ეუბნებოდა იანჩი.

არც არასოდეს მიუცია. ალბათ დღესაც იმ ორ გროშზე დაობენ, თუ, რა თქმა უნდა, ჯერ არ დახოცილან.



# მკვდარი თაგვები

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღარიბი კაცი. ერთხელ კაცმა აბგაში პური, პატარა ნაჭერი ღორის ქონი და ღვინით სავსე მათარა ჩაიდო და ვენახისკენ გასწია. შევიდა თუ არა ვენახში, პური და ღორის ქონი აბგიდან ამოიღო და მადიანად დაიწყო ჭამა. ჭამას რომ მორჩა, ღვინით სავსე მათარას დაავლო ხელი და სულმოუთქმელად გამოსცალა. აბგაში აღარაფერი იყო, მათარაც დაცარიელდა და ღარიბმა კაცმაც შინ წასვლა გადაწყვიტა.

შინისაკენ მიმავალმა გზის პირას დაყრილი მკვდარი თაგვები დაინახა. შეჩერდა, დაფიქრდა, რა უბედურება შეიძლებოდა შემთხვეოდათ საწყალ თაგვებსო. მერე მიხვდა, რომ ტყუილად იდგა, რადგან მკვდარ თაგვებს ხომ ვეღარ გააცოცხლებდა და გზა განაგრძო. მაგრამ ცოტა ხანში ისევ უკან მიბრუნდა, სამ მკვდარ თაგვს ხელი დაავლო და აბგაში ჩააგდო, შინ წავიღებო. მიდიოდა გზაზე ღარიბი კაცი და თან ფიქრობდა, თუ როგორ გაახარებდა თავის კატას ამ მკვდარი თაგვებით.

შეაღო სახლის კარი და თაგვები სულ მთლად გადაავიწყდა. აბგა ძირს დააგდო და ვახშმობას შეუდგა, ამ დროს კატა აკრუტუნდა და ფეხებზე გლასუნი დაუწყო.

— ვაიმე, ვაიმე, ახლაღა გამახსენდა, რომ სამი მკვდარი თაგვი მოვუტანე კატას საჭმელად. აბა, შვილო, გაიქეცი და აბგიდან ამოიღე. — უთხრა ღარიბმა კაცმა თავის ქალიშვილს.

გოგონა გაიქცა, აბგაში ხელი ჩაჰყო, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, სამივე მკვდარი თაგვი გამქრალიყო. მათ მაგივრად გოგონამ სამი ბრწყინვალე ტალერი ამოიღო აბგიდან. მაშინვე მამასთან მიირბინა და გახარებულმა უთხრა: — შეხე, მამავ ბატონო, აბგიდან სამი მკვდარი თაგვის ნაცვლად, სამი ტალერი ამოვიღეო.

— ღმერთო ჩემო, მართლა ტალერია! — წამოიძახა გაოცებულმა ღარიბმა. მერე ერთხანს ჩაფიქრდა, მალე მკვირცხლად წამოხტა და იმ ადგილისკენ გაიქცა, სადაც მკვდარი თაგვები ნახა. მირბოდა და გახარებული ფიქრობდა, იქნებ იმ სამი თაგვივით დანარჩენებიც ტალერებად იქცნენო, მაგრამ მკვდარი თაგვები სადღაც გამქრალიყვნენ.

თაგვები რომ არ გაუჩინარებულიყვნენ, ჩვენი ზღაპარი აქ არ დასრულდებოდა.

უნგრულიდან თარგმნა
ვანო იმერლიშვილმა






## ქიმია

### „თოვლი იწვის“

რკინის კონსერვის ქილაში თოვლი ჩაყარეთ, ჩატკეპნეთ და ჩაალრმავეთ ქილის სიმაღლის 1/4-მდე, ღრმულში კალციუმის კარბონატის 3-4 პატარა ნატეხი მოათავსეთ და თოვლით დაფარეთ. მიიტანეთ ანთებული ასანთი, თოვლი აინთება.

ცდის ახსნა: კალციუმის კარბონატი რეაგირებს თოვლთან, გამოიყოფა აცეტილენი, რომელიც იწვის.

### „მსროლელი ბოთლი“

ბოთლში 40-50 გრ მარმარილოს ნატეხები ჩაყარეთ და 60 მლ განზავებული მარილმჟავა დაუმატეთ. ბოთლს საცობი დაუცეთ. ცოტა ხანში გაისმის სროლის ხმა და საცობი ამოვარდება.

ცდის ახსნა: რეაქციის შედეგად გამოიყოფა ნახშირორჟანგი, რომელიც ხმაურით აგდებს საცობს.

### „იუპიტერის ხე“

ქიმიურ ჭიქაში ნახევრამდე ჩაასხით კალიუმის ქლორიდის ხსნარი და შიგ კალიუმიანი წკირი ჩაუშვით, ფრთხილად ჩაუმატეთ სუფთა წყალი ისე, რომ სითხე წყალს არ შეერიოს. კალიუმიან წკირზე ბრჭყვიალა კრისტალები გამოიყოფა.

### „სისხლის წვეთები“

ხელი დაისველეთ რკინის ქლორიდის ხსნარით, შემდეგ რაიმე საგანი (დანა ან მინის წკირი) კალიუმის როდანიდის ხსნარში დაასველეთ და სველ ხელთან მიიტანეთ. წარმოიქმნება „სისხლიანი ჭრილობა“, იატაკზე კი „სისხლის“ წვეთები დაეცემა.



# ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ხელოვნების ისტორიკოსი, ფილოლოგი, რუსთველოლოგი, ლინგვისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ტექსტოლოგი, ეპიგრაფიკოსი, გეოგრაფი, ნუმიზმატიკოსი... ეს ჩამოთვლა კიდევ უფრო შორსაც წაგვიყვანს, თუ უდიდეს ქართველ მეცნიერსა და მამულიშვილს ექვთიმე თაყაიშვილს გავიხსენებთ. ქართველმა საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, რომ, მიუხედავად არაჩვეულებრივი მდიდარი მეცნიერული ინტერესებისა, ექვთიმე თაყაიშვილი იყო კაცი, რომელსაც მარტო მეცნიერების ჩარჩოებშიც ვერ მოაქცევდი. ის იყო მოღვაწე ამ სიტყვის ყველაზე ფართო და მაღალი გაგებით.

ამ დიდი ქართველის აქტიური მონაწილეობით დაიძრა არაერთი საქვეყნო საქმე — დაარსდა თბილისის საეგზარქოსო მუზეუმი და საარქეოლოგო კომიტეტი, შეიქმნა წიგნის გამოცემათა ამხანაგობა, ამოქმედდა ქართული ისტორიისა და მწერლობის მოყვარულთა წრე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1907 წელს დაფუძნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც პირველივე დღიდან გარს განათლებული ქართველობა შემოიკრიბა.

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მუშაობასთან გახლავთ დაკავშირებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის უძველეს ძეგლთა მოხილვა და შესწავლა. ამ ბალღობიდან ფეხმტკივანმა კაცმა მართლაც რომ საკუთარი ფეხით შემოიარა დღეს თურქეთის საზღვრებში მყოფი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქრისტიანული ძეგლები. ე. თაყაიშვილის ეს შრომა მით უფრო საგულისხმოა, რომ შემდგომ წლებში ამ უნიკალურ ტაძართა შესწავლა და პატრონობა ქართველ მოღვაწეთაგან, გასაგები მიზეზების გამო, აღარ და აღარ მოხერხდა. ე. თაყაიშვილი ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, აკი თვითონაც წერს: 1917 წლის რევოლუციამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც ვაწარმოებდი თხრას საქართველოში.

მაგრამ უამრავ ინტერესთა და გატაცებათა შორის ამ იშვიათი ბუნების კაცს ჰქონდა ერთი, ყველაზე დიდი გატაცება, რომელსაც კიდეც ანაცვალა მთელი თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება. ეს იყო გატაცება ქართული ხელოვნების სიძველეებით, რომელთა შეგროვებასაც, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს, იგი დიდი რუდუნებით ეწეოდა და ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შემდგომ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დადგა ქვეყნის ეროვნული განძეულობის ევაკუირებისა და უცხოთა ხელყოფისაგან დაცვის საკითხი, არავის უძებნია ამ საქმისათვის ექვთიმე თაყაიშვილზე უფრო ერთგული და თავდადებული კაცი. განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის მიერ 10 მილიონ 471 770 ოქროს მანეთად შეფასებული ეროვნული საუნჯე თავის მცველ ექვთიმე თაყაიშვილთან და მის მეუღლესთან ნინო პოლტარაცკაიასთან ერთად 1921 წლის მარტში ნაჩქარევად გაუყენეს შორეული საფრანგეთის გზას, ვიდრე 1945 წლის 11 აპრილს, მცველთან ერთად, ისევ თავის მრავალტანჯულ სამშობლოს დაუბრუნდებოდა.

თბილისისა და ქუთაისის სამუზეუმო განძეულობა და სახაზინო ვალუტა, უმნიშვნელოვანესი ნივთები ბორჯომის დიდი მთავრის სასახლისა და ხობის მონასტრის განძეულობიდან... 249 ყუთში ჩატვირთულ ამ ძვირფასეულობას თან ახლდა გრძელი სია, რომლის მეორე პირიც საქართველოში ინახებოდა. ამ 249 ყუთიდან იმთავითვე გამოუყვია 39 ყუთი უნიკალური ეროვნული განძეულობით და შესანახად მიუბარებია იგი საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებისათვის, დანარჩენი ზურაბ ავალიშვილსა და იოსებ ელიგულაშვილს მოუთავსებიათ პარიზის ბანკ „გარდმებლში". საგანგებო კომისიის მიერ „სარეალიზაციოდ" მიჩნეული 128 ყუთის „საბანკო ვერცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეულობა“ (ზოდები) კი 1921-24 წლებში გადაუდნიათ და გაუყიდიათ მილიონ 200 ათას მანეთად. სწორედ ამ ფულის ნაწილით შეუძენიათ ქართველ ემიგრანტებს მამული და სახლი პარიზთან ახლოს, სოფელ ლევილში, სადაც მოგვიანებით ქართველთა პატარა დასახლებაც გაჩნდა. ამ სახლის მეორე სართულზე მიუჩინეს ორი ოთახი ცოლ-ქმარ თაყაიშვილებს. მათთანვე დააწყვეს განძეულის მცირე ნაწილი. ეს გახლდათ საეკლესიო ნივთებითა და არქეოლოგიური მასალით დატვირთული 15 ყუთი, ოთახების კედლები კი 7 ყუთით ჩამოტანილი 91 სურათით შეამკეს.

ე. თაყაიშვილის ლევილის ბინაში ინახებოდა ბორჯომის, დიდი მთავრის ბიბლიოთეკის წიგნებით სავსე 27 ყუთიც. ეს გახლდათ იმდენად სრულყოფილი ბიბლიოთეკა, რომ ე. თაყაიშვილი წერდა: ევროპის რომელი უნივერსიტეტისთვისაც უნდა შეგვეთავაზებინა იგი, სულ ცოტა, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდით ულაპარაკოდ.

მთელი 24 წელიწადი გაგრძელდა ეს იძულებითი ემიგრაცია. ამ ხნის განმავლობაში განძეულს არ დაჰკლებია არც ბრიტანეთისა და ნიუ-იორკის მუზეუმების ხარბი თვალი და, ასე განსაჯეთ, მას შინაური მტერიც კი გამოუჩნდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ასულის სალომე მინგრელსკაია-ობოლენსკაიას სახით, რომელმაც ჯერ კიდევ ომამდე, 1934 წლის 8 მარტს მიმართა პარიზის სასამართლოს, ქართული ეროვნული განძეულის საგრძნობი ნაწილის ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრე მე ვარო. მთელი შვიდი წლის განმავლობაში ებრძოდა შინაური მტრისგან მოსულ ამ საშიშროებას ე. თაყაიშვილი. მერე ის იყო, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ახლა „გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა“. საამისო მოლაპარაკებაც დაიწყო, მაგრამ, იგონებდა შემდგომში ე. თაყაიშვილი, მომხრეები ვიშოვე. გერმანიაში „გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი“ და მტრებს წამოწყება ჩაეშალათო...

მიუხედავად იმისა, რომ ე. თაყაიშვილსა და მის მეუღლეს, საფრანგეთში ცხოვრების მთელი პერიოდის, და განსაკუთრებით, ბოლო წლების მანძილზე, მატერიალურად ძალზე უჭირდათ, მათ წინაშე არც ერთ წუთს არ დამდგარა უამრავი მსურველისთვის საგანძურის თუნდაც სულ უბრალო ნივთის მიყიდვის საკითხი. ჯერ კიდევ 1922 წლით დათარიღებულ გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ბატონი ექვთიმე წერს: „რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გვქონდა, ახლა სოფლად (ლევილში) ვართ... ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვექნება“. მეუღლის — ნინო პოლტარაცკაიას გარდაცვალებამ კიდევ უფრო დაამძიმა მეცნიერის ყოველდღიურობა. ე. თაყაიშვილი დაავადმყოფდა, მით უფრო, რომ მუდმივი უფულობის წყალობით, თითქმის სულ უსადილოდ რჩებოდა. იყო კვირეები, როცა თავი მხოლოდ მარჩენალი თხისგან ჩამოწველილი ნახევარი ლიტრი რძითა და ცოტაოდენი პურით გაჰქონდა. ისეთი დროც დაუდგა, როცა ეს ამაყი კაცი იძულებული იყო, სადილ-ვახშამზე თითო თავი კერძით შემწეობა ეთხოვა მეზობლებისთვის.

ყველაზე საზარელი კი მაინც ის იყო, რომ უსახსრობა მუშაობაში აბრკოლებდა. ნიკო მარისადმი 1925 წელს გამოგზავნილ ერთ წერილში იგი მორიდებით ჩივის: „იწერები, რა გაკლია წიგნები, მომწერეო, მე იმდენი რამე მაკლია, რომ მრცხვენია, ყველაფრით შეგაწუხო“. აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი მეგობრის ი. სონღულაშვილისადმი მიმართული წერილიდან: „მე აქ წყლიდან ამოვარდნილ თევზს ვგავარ. ბევრი უბედურება გადავიტანე... მოკლებული ვარ საშუალებას, თავის დარგში განვაგრძო მუშაობა... “

ე. თაყაიშვილის კეთილშობილებასა და უანგარობას, უეჭველია, მისივე ახალგაზრდობიდან კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება. ამის საბუთად გამოდგება ისიც, რომ იგი თავისი ანდერძის აღმასრულებლად აირჩიეს XIX საუკუნის ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

დიახ, ცხოვრებამ უმძიმესი გამოცდა მოუწყო ამ უდიდეს მეცნიერსა და უდიდეს ადამიანს, რომელიც, მიუხედავად ეროვნული განძეულის მცველის ტვირთისა, მიუხედავად ხელმოკლეობისა, თავისი პირადი ცხოვრებითა და ფართო საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობით, თავისი ნებისმტანობითა და ოპტიმიზმით მისაბაძი იყო უცხოეთის მთელი ქართველობისთვის. ყველაზე საოცარი იყო, რომ მუდამ შიმშილის საშიშროების ქვეშ მდგარი ეს დიდი ადამიანი, იქ, იმ შორეულ ქვეყანაშიც „არ იშლიდა“ ქართული ხელოვნების ძეგლების სიყვარულს. იგი მთელი ამ წლების მანძილზე ეძებდა, პოულობდა და იძენდა ევროპაში მიმოფანტულ ქართულ ეროვნულ სიძველეებს, ადგენდა მათ აღწერილობას, ბეჭდავდა მოგონებებსა და სტატიებს ქართველ მეცნიერებსა და მოღვაწეებზე. საფრანგეთში ცხოვრების დროს გამოსცა ე. თაყაიშვილმა „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღწერილობა“, შეადგინა ვრცელი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, დააარსა „ქართული სამეცნიერო წრე“ და „ქართული აკადემიური კავშირი“, რომელთაც ჰქონდათ კულტურულ-სამეცნიერო მუშაობის საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა. იმდენი კი ველარ მოახერხა, სამშობლოში დაბრუნების ბედნიერი დღისათვის ერთი „გამოსაჩენი კოსტიუმი“ შემოენახა.

ალბათ არც არსებობს კაცი, ასე რომ მიესადაგებოდეს თავისივე სიტყვები: „სახელს არ ეძებდი, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭე და შენი სახელი და ხსოვნა უკვდავი იქნება“.

# ნესტან-ჯავარის გმირობა

ვახტანგ სიდამონიძე

XVI საუკუნე იდგა. ქართლი ყიზილბაშთა სათარეშოდ გადაქცეულიყო. შაჰ-თამაზის ურდოები ოთხჯერ ზედიზედ შემოიჭრნენ ქართლში, აიკლეს ქვეყანა, დააწიოკეს. სარჩო-საბადებლის გატაცებას ვინღა ჩიოდა, ათასობით ტყვე მიჰყავდათ — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ბავშვებიც კი.

ქართლის გმირი მეფე ლუარსაბ პირველი მამაცურად იგერიებდა ურიცხვი მტრის მოძალებას. ბოლოს იძულებული გახდა, ატენის ხეობის მოსახლეობა და თავისი დედა-დედოფალი ნესტან-ჯავარი ატენის დიდ ციხეში შეეხიზნა. მტრის ჭარბი ძალები მალე ამ ციხესაც შემოადგნენ და იერიშები მიიტანეს. თუმცა კი ვერაფერს გახდნენ, გმირი მეციხოვნენი მამაცურად იცავდნენ ხალხის თავშესაფარს.

მტერი არხეინად გრძნობდა თავს, ალყაშემორტყმულ ციხეს რაღაც ოც ნაბიჯზე მდინარე ტანა ჩამოუდიოდა, ასე რომ, მტრის ლაშქარი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იყო. ციხეში შეხიზნული 30 ათასი კაცი თუ ქალი კი მხოლოდ ერთი ჭის ამარა იყო დარჩენილი, აბა, ამდენ ხალხს რა წყალი ეყოფოდა! მტერს უკვირდა, მეციხოვნეებს, ციხის ათასობით ხიზანს რა წყალი ჰყოფნისო. მაგრამ რა იცოდა, რომ ქართველთა ციხეში წყარო დიოდა და ეს ასულდგმულებდათ იქ მყოფთ. დედოფალს ვერცხლის სურა მუდამ წყაროს წყლით სავსე ჰქონდა, ყველა გაჭირვებულს უწილადებდა ხოლმე მაცოცხლებელ წყაროს წყალს.

ციხის ალყა ერთობ გაძნელდა და გაგრძელდა. მტერმა ვერა და ვერ დასძლია მეციხოვნეთა წინააღმდეგობა. სამაგიეროდ, ვერაგულ ხერხს მიმართა. გადაწყვიტა, შეეპყრო ვინმე ადგილობრივი კაცი და სიკვდილის მუქარით ეთქმევინებინა ატენის ციხის წყაროს ამბავი და გადაეკეტა იგი ციხიონთათვის. მალე, მართლაც, მტერს ამის საშუალება მიეცა.

მტერმა შეიპყრო ციხიდან გამოპარული ერთი ატენელი კაცი, რომელიც თურმე ატენის წყაროს მკაზმველი ყოფილიყო. მოსთხოვეს წყაროს საიდუმლოს გამხელა, სიკვდილით დაემუქრნენ. ლაჩარმა ტყვემ აღუთქვა, ოღონდ ნუ მომკლავთ და ციხეს აგაღებინებთო.

— როგორ და რა ხერხითო? — ჰკითხა ყიზილბაშთა მეთაურმა. თან ისიც უთხრა: უვნებლობის ფიცი მოგვიციაო. ხალხის მოღალატემ უამბო: მეციხოვნეებსა და ხიზანთ ჭის წყალი გამოელიათო. ჩრდილოეთის მხარეზე ფარულ ადგილას კლდიდან მომცრო წყარო გამოდის და ციხეში შედის, ეს წყარო ჩემი მოკაზმულია და იმის გზას მიგასწავლითო, დაუწყვიტეთ ეს წყარო და ციხეც დაეცემაო.

მეტი რა უნდოდა მტერს — ატენის წყაროს სხვა მხარეს უყვეს პირი.

ციხემ ვეღარ გაუძლო მაცოცხლებელი წყაროს მოწყვეტას და მალე დაეცა. მტერმა ტყვედ იგდო ქართლის დედოფალი, ციხის ხიზანნი და ყველანი სპარსეთისაკენ გაირეკა.

საქართველოსა და სპარსეთის საზღვარს რომ მიადგნენ, მდინარე არეზის პირას, დედოფალმა ნესტან-ჯავარმა ქართულ მიწაზე გადაღვარა თავის ვერცხლის სურაში შენახული წყაროს წყალი, მერე ბეჭედში შეგულვებული საწამლავი დალია და მაშინვე სული განუტევა.



# ივარჯიშეთ ჯანმრთელობისათვის






არაფერია ჯანმრთელობაზე უფრო ძვირფასი!

როცა ჯანმრთელი ხარ, ხალისიანად და მხიარულად გრძნობ თავს, მაშინ სწავლაც ადვილი და სასიამოვნოა, შრომაც და დასვენებაც, მეგობარიც გიხარია და არც მტრისა გეშინია.

არსებობს ვარჯიშის მრავალგვარი სისტემა, რომლებიც, თუ მათ სწორად და სისტემატურად ასრულებ, რკინისებური ჯანმრთელობის გარანტიას იძლევიან.

ერთი ამათგანია ძველისძველი ჩინური ტანვარჯიშის კომპლექსი ბადუანძინი. იგი ამაგრებს ორგანიზმს, ეფექტურად მოქმედებს მის ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე, ადამიანის ფსიქიკაზე. ამ კომპლექსის ვარჯიშები არ ვნებენ ადამიანის სხეულის არც ერთ ორგანოს, რადგან, ყოველი მოძრაობა მშვიდად, შენელებული ტემპით, მკვეთრი დაძაბვის გარეშე სრულდება.

ვარჯიში უნდა შეასრულოთ დღეში ორჯერ, დილას და საღამოს. ყოველი წინა მოძრაობა ნარნარად გადადის მეორეში. ივარჯიშეთ უზმოდ ან საკვების მიღებიდან ერთი საათის შემდეგ. თუ გარეთ, სუფთა ჰაერზე გასვლის საშუალება არა გაქვთ, ვარჯიშის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი სამზარეულო

განყოფილება მიჰყავს
ნ. ავალიანს

## ნამცხვარი „ძეხვი"

ნამცხვარი, რომლის რეცეპტსაც ახლა შემოგთავაზებთ, სულ იოლი დასამზადებელია და თანაც ცეცხლთან ტრიალი თითქმის არ დაგჭირდებათ.

რაც შეიძლება წვრილად დანაწევრებულ 300 გრამ პეჩენიას შევურიოთ ნახევარ ჭიქაზე ოდნავ მეტი კარგად გარეცხილი და გამშრალებული ქიშმიში, 1 ჩაის ჭიქა წვრილად დაჭრილი ნიგოზი, 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი.

ცალკე ჯამში კარგად გამდნარ კარაქში გავხსნათ სამი სუფრის კოვზი კაკაო.

კალკის ქაღალდზე კოვზით გადავიტანოთ ადრე გამზადებული დანაწევრებული მასა, ხელით მივცეთ მას ძეხვის ფორმა და კიდეები კარაქში გახსნილი კაკაოს მასით კარგად დავუმუშაოთ ისე, რომ ძეხვის კანის შთაბეჭდილება შეიქმნას. ძეხვის ფორმამიცემული ნამცხვარი მჭიდროდ გავახვიოთ კალკის ქაღალდში და შევდოთ მაცივარში. 2-3 საათის შემდეგ იგი კარგად გამაგრდება. სუფრაზე მიტანის წინ დავჭრათ ძეხვისებურად.

ახლა კი გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც დიასახლისობაში ძალიან წაგადგებათ:

თუ გსურთ ხორცი ხანგრძლივად და კარგად შეინახოს, შეახვიეთ იგი ძმარში ან მარილწყალში დასველებულ ნაჭერში.

დაჭრილი ძეხვი არ გახმება და შენახვისას არ გაფუჭდება, თუ მას გადანაჭრებზე წაუსვამთ ცხიმს ან კვერცხის ცილას და ან გვერდით ლიმონის ან სტაფილოს ნაჭრებს მიუწყობთ.

ზაფხულში უმაცივროდ რძის შენახვა არ გაგიჭირდებათ, თუ რძიან ბოთლს გაახვევთ სველ ტილოში და ჩადგამთ ცივი, მარილიანი წყლით სავსე ქვაბში.

ყველი ცხიმოვნებას დიდხანს შეინარჩუნებს, თუ მას, შაქრის ნატეხთან ერთად, ჩავდებთ თავდახურულ ჭურჭელში.

არ შეიძლება პურეული ნაწარმის მაცივარში შენახვა, რადგან იგი შთანთქავს სინესტეს და იძენს რაუსიამოვნო სუნსა და გემოს, სწრაფად ობდება. ამასთან, მასში ჭარბად გროვდება შხამიანი ნივთიერებები.

პური დიდხანს არ გახმება, თუ დახურულ ჭურჭელში, რომელშიც მას ვინახავთ, ჩავდებთ გაწმენდილ კარტოფილს ან ვაშლს, ან მოვათავსებთ ცოტა მარილს.

ახალი კიტრი რამდენიმე დღეს ქორფად შეინახება, თუ მას სამ-მეოთხედ წყალში თავდაყირა (ყუნწებით მაღლა) ჩავაწყობთ. წყალი უნდა გამოიცვალოს ყოველდღე.

მურაბის თავახდილი ქილა უმჯობესია შევინახოთ მაცივარში. მურაბა უფრო სასიამოვნო და არომატული გემოსი გახდება.



დაწყებამდე კარგად გაანიავეთ თქვენი ოთახი.

ჯერ მცირეოდენი მოთელვაა საჭირო.

ფეხები „გაშალეთ" მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად დადგით. ხელები თეძოებზე შემოიწყვეთ და ატრიალეთ თეძოები ნ-ჯერ მარჯვნივ, ნ-ჯერ — მარცხნივ. ხელები დაუშვით თავისუფლად, მარცხენა ფეხი მარჯვენის ქუსლს მიადგით და მთელი კორპუსით მარჯვნივ მიტრიალდით. ეს მოძრაობა 10-ჯერ უნდა გაიმეოროთ. ამის შემდეგ შებრუნდით მარცხნივ, მარჯვენა ფეხი მარცხენის ქუსლს მიადგით და იგივე მოძრაობა 10-ჯერ მარცხნივ მიტრიალებით გააკეთეთ. ფეხები ერთმანეთს მიადგით, ოდნავ მოხარეთ, ხელები მუხლებზე დაიწყვეთ და შეასრულეთ ბრუნვითი მოძრაობა სამ-სამჯერ მარჯვნივ და მარცხნივ. ამით მოთელვა დამთავრებულია.

### ცას მიყრდნობილი ხელები

დადექით სწორად, ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე უფრო ახლოს, ოდნავ მოხარეთ მუხლებში, ტერფები დადგით პარალელურად. სხეულის წონა ნაწილობრივ ფეხის წვერებისკენ გადაიტანეთ. მზერა პირდაპირია.

ხელის თითები გადახლართეთ ხელისგულებით ზემოთ, მერე დაუშვით და გამართულად დაიჭირეთ. ჩაისუნთქეთ და ხელები თვალის დონეზე ასწიეთ. თითების გამოუხსნელად ხელისგულები ქვემოთკენ შეატრიალეთ და ხელები ძირს დაუშვით, თან ამოისუნთქეთ. მერე, ისე, რომ მდგომარეობა არ შეუცვალოთ, ხელები თავზემოთ ასწიეთ, თან ჩაისუნთქეთ. ხელისგულები ზემოთ აატრიალეთ, მაქსიმალურად გაიჭიმეთ, მუხლები გამართეთ და ახედეთ ხელებს. ამის შემდეგ ხელები ოდნავ მოხარეთ იდაყვებში, თითები ერთმანეთს მოაშორეთ და ამოსუნთქვასთან ერთად მორკალული ხელები გვერდებიდან ნელ-ნელა დაუშვით ძირს, ამავე დროს ოდნავ მოიხარეთ მუხლებში. ამოსუნთქვის შემდეგ თითები ისევ ჩახლართეთ ერთმანეთში.

ვარჯიში შეასრულეთ ნარნარად, ნელა, მშვიდად, ხელების მოძრაობა შეუთანხმეთ სუნთქვას. შეასრულეთ ვარჯიში რვაჯერ, სასურველია, როგორც ვთქვით, დილას და საღამოს.

ჟურნალის უახლოეს ნომრებში გაეცნობით ბადუანძინის სხვა ვარჯიშებსაც.



● კარის ანჯამა მარჯვედ რომ შეიზეთოს, ზედა ნაწილში პატარა ნახვრეტი გაუკეთე.

● თუ მინის პოლიეთილენის სახურავს რამდენიმე ადგილას ბურღით გახვრეტ, პატარა საცერი გამოგივა.

● შპალერის კიდის ჩამოსასწორებლად მაკრატლის ნაცვლად უმჯობესია ბასრი დანა იხმარო.

● როცა ელექტროგამტარის გადაბმულ ბოლოებს საიზოლაციო ლენტს (პხვ) შემოახვევ, ბოლო ხვიას გახურებული სარჩილავი გადაუსვი, ხვიები ერთმანეთს შეადუღდება და შეერთების ადგილის საიმედოობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.



● ფარდის გადაწევ-გადმოწევისას ფარდის რგოლები ხშირად სხლტება ხოლმე კაუჭს. ამ უსიამოვნებას ადვილად აირიდებ, თუ კაუჭს წვერზე პოლიქლორვინილის მილის ნაჭერს ჩამოაცვამ.



● თუ სათვალის ჩარჩო დიდია და ცხვირიდან გივარდება, შეგიძლია იოლად გახვიდე რეზინის პაწია ნაჭრებით, რომელთაც წებო „მომენტით“ საჭირო ადგილებში დააწებებ. ეს ადგილები ნახაზზეა ნაჩვენები.



● სააბაზანოში ცივი წყლის მილებზე მუდამ კონდენსირდება ხოლმე ტენი, ეწვეთება იატაკს და ზრდის ბინის ტენიანობას. ეს უსიამოვნება რომ აირიდო, საკმარისია მილს ორი-სამი ფენა ბინტი შემოახვიო.



● რამდენიმე ადგილას სადგისით გახვრიტე შამპანურის ბოთლის საცობი, წამოაცვი შემრევის თავს და მარტივ, მაგრამ საიმედო სამზარეულო შხაპს მიიღებ.



● თუ იატაკი წყლიანი ემულსიის თეთრათი გაგეთხვარა, ნუ დაღონდები — თეთრა გამხმარიც რომ იყოს, მისი მორეცხვა თავისუფლად შეგიძლია ძმრიანი ჩვრით.




● თუ წყალსადენის ონკანი მწყობრიდან გამოვიდა, მის სპილენძის ტარს ნუ გადააგდებ — მისგან მშვენიერი რბილპირიანი ჩაქუჩი შეგიძლია გააკეთო.



# საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა


საუბარი კობა იმედაშვილთან . . . . . 2
დ. ლობჟანიძე — გასროლა ნაკრძალში . . . 3
ვ. ხორნაული — ლექსები . . . 7
ნ. ფავლენიშვილი — ერის მომავალი მოითხოვს . . 9
გ. გეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება . . . . 10
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . . 13
ვ. ახლამაზიშვილი — ორი მოთხრობა . . . . 15
ინფორმაცია განსჯისათვის . . . 17
რ. ჩიქვაძე — საუბრები რელიგიაზე . . . 19
იცი თუ არა, რომ... . . . . . 21
თ. გაგოშიძე — საყვარელი ადამიანის ხსოვნას . . 22
ტ. ხავთასი — ცეკვავს „ივერია“ . . . . . . 23
აისი . . . . . . 24
ე. ბენედეკი — ზღაპრები . . . . . . 26
სახალისო ქიმია . . . . . . 27
მაღალი ზნეობის გაკვეთილი . . . . . 28
ვ. სიდამონიძე — ნესტან-ჯავარი . . . 30
ივარჯიშეთ ჯანმრთელობისათვის . . . . . 30
ჩვენი სამზარეულო . . . . . 31
გამოგადგება . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ლ გვერდზე ნახატი ზაურ დეისაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ბელინსკის ქ. № 2, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24.05.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.07.90 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1229. ტირაჟი 117000 ეგზ., უე 08066.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ბელინსკის ქ. № 2.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „ნაკადული“, 1990 წ.



## კროსვორდი

შვეულად: 1. მრწამსი, რწმენა; 2. საგრილებელი; 3. საცალფეხო ხიდი; 4. ლათინური ამერიკის ქვეყანა; 6. აზრი, ჩანაფიქრი; 7. ჭადრაკის ფიგურა; 8. მიკროორგანიზმი, რომელიც ჟანგავს აზოტოვან მარილებს; 11. ელჩის გამოწვევა სხვა სახელმწიფოდან თავის ქვეყანაში; 13. მდინარე როსტოვის ოლქში; 14. ქალაქი ჩერნოვცის ოლქში, უკრაინის სსრ; 15. შეჩვენება, დაწყევლა; 21. დაბა კემეროვოს ოლქში, რუსეთის სფსრ; 22. სახმელეთო შეიარაღებული ძალები; 23. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 24. პურეული მცენარე; 25. რაიმე სითხის შესანახი ჭურჭელი; 26. ტრამალი.



თარაზულად: 3. მდინარე ბრესტის ოლქში, ბელორუსიის სსრ; 5. სიწუწკე; 9. კინოფილმის სხვა ენაზე გახმოვანება; 10. ი. ჩადუნელის რომანის გმირი; 12. ძველ საბერძნეთსა და რომში დიონისეს და ბახუსის დღესასწაული; 16. მუქი ლურჯი ფერის ხელოვნური ორგანული საღებავი; 17. განცხადება, პლაკატი; 18. კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 19. სიგრძის ერთეული; 20. მცენარე; 26. ცხვრის ნაშიერი; 27. ქიმიურ რეაქციაში მონაწილეობა; 28. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება; 29. ძრავას საცხი ზეთი.

შეადგინა
**ლევან გოჩაშვილმა,**
ქარელი, 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

## თავსატეხი



შეავსეთ თარაზული უჯრები აკაკის ლექსთა სათაურებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ „სულიკო“.

შეადგინა შოთა ხოდაშნელმა

გამოიცანი,
რამდენი კვადრატია
ნახაზზე?



შეადგინა
**ქეთინო ხუციანიძემ,**
თბილისი, 161-ე სკოლა.

## გამოცანები

ცოცხალს უთქვამს უსულოსთვის
თავის ქნევით, ნიშნისგებით:
რაც ვიყავი, ის ხარ ახლა,
და რაც მე ვარ, ის იქნები.

●

ჩემს ბოსტანში ხარობს იგი:
გული—თეთრი, ტანი—მწვანე.

თუმც ასხია მკვახე ხილი,
შესაჭმელად მივეტანე.

●

ფეხი — ჩალის,
თავი — ბუზის,
ნახტომი კი —
კენგურუსა.

ნ. მარიხია

●

რომ გამოიცნო რაც არის
კვლავ დაფიქრება გიშველის,
ზაფხულში იცვამს ცხრა პერანგს,
ზამთარში არის შიშველი.

●

მიყვარს მზე და
თბილი მიწა,
ტყავს გამაძრობ?
თვალს აგიწვავ,
რა ვიქნები,
გამოიცანი!

●

ასეთი რამე ნახულა
ფეხებზე ქუდი ახურავს.
**ალ. ხუციშვილი**

## შარადები

„ვინც მოყვარესა არ ეძებს“,
რა არის იგი თავისა?
კიდური მარცვლის გარეშე
გამოგადგება საწყისად.
მას იმერეთის ქალაქი
დაურთე შემდეგ ნაწილად. —
მზის გულზე დამწიფებული
უფრო ტკბილია ასწილად.

●

სიფრთხილეს რაც არ ასტკივა,
გაორკეცებით მითხარ,
და შუა ხმოვნის მოშლასაც
ნუ დააყოვნებ დიდხანს,
რომ გასცე სწორი პასუხი
შარადის ბოლო კითხვას.

**შ. ამირანაშვილი**

## პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

თარაზულად: 3. შექსპირი; 7. ციცარი; 9. მაწონი; 10. ვენერა; 12. არწივი; 16. პრემია; 18. ბილიკი; 20. მოლი; 21. მცხეთა; 22. მაყალი; 23. ნავა; 24. ნიკელი; 27. სკივრი; 30. ნიბლია; 32. ყლორტი; 33. ფასისი; 34. შანიძე; 35. ანდამატი.

შვეულად: 1. ლექცია; 2. არქივი; 4. ბროლი; 5. ჩანგი; 6. ბადე; 8. ორბი; 11. აპოლონი; 13. რომანსი; 14. ვაიმარი; 15. დილოგია; 17. მაცნე; 19. ლილვი; 25. კალო; 26. ლერწი; 28. კასრი; 29. ვისი; 30. ნიშანი; 31. აფექტი.

### გამოცანები

საკუთარი პორტრეტი, ნემსი და ძაფი, ფუტკრები, წელიწადი, მთვარე, ყოჩი, წინდის ჩხირები.

### შარადები

ორი, კომპოზიტი; ალავერდი ვერდი; მწერი, დავა, თვე, და, დათვი; კომპოზიტი, მწევარი;


6 211/95

# ა წ ყ უ რ ი ს ც ი ხ ე

აწყურის ციხეს უძველეს დროს ჩაეყარა საფუძველი, ჩვენამდე შემორჩენილი ნაგებობა კი შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ციხის შიგა შენობები ძალზე ძნელად მისადგომ კლდეებზეა ნაგები. ბუნებრივი სალი კლდეები და მტკიცედ ნაშენი კედლები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

აწყურის ციხე ძნელბედობის ეპოქებში ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში, მაგრამ ბოლომდე ქართულ ციხე-სიმაგრედ დარჩა.

აი, ერთი ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“: „და მერმე აიყარნეს [თურქმანნი] და მოადგნენ ციხესა და ქალაქსა აწყურისასა. ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა, ამას ზედა გამოვიდნენ და მიენდვნენ...“

ინდექსი 76857